ალმა მატერ

უნივერსიტეტი

15 ოქტომბერი, პარასკევი, 2010 წ. №11 (2107)

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი გამოდის 1927 წლიდან

27 დეკემბერს თსუ-ში რექტორის არჩევნები გაიმართება

ნატო ოგოლაძე

27 დეკემბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი რექტორს აირჩევს. ამჟამად რექტორის მოვალეობის შესრულებას წარმატებით ართმევს თავს ბატონი სანდრო კვიტაშვილი, რომლის კარგი მენეჯერის უნარჩვევებზე, ოჯახურ ტრადიციებზე, პიროვნულ თვისებებსა და კომუნიკაბელურობაზე უნივერსიტეტის პროფესურის დიდი ნაწილი დადებითად საუბრობს და ხელისუფლების გადაწყვეტილებას – მისი უნივერსიტეტში რექტორის მოვალეობის შემსრულებლად დანიშვნის შესახებ სწორი არჩევანისკენ გადადგულ ნაბიჯს უწოდებს.

თსუ-ის აკადემიური საბჭოს დადგენილებით, რექტორის პოსტის დასაკავებლად კანდიდატების რეგისტრაცია 5 ნოემბრიდან 25 ნოემბრის ჩათვლით გაიმართება. არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად კანდიდატებმა უნდა წარმოადგინონ: უმაღლესი განათლების დამადასტურებული მოწმობის ასლი, უნივერსიტეტის განვითარების სამოქმედო გეგმა და კონცეფცია, პირადობის მოწმობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი, ავტობიოგრაფია, 2 ფოტოსურათი, ცნობები ნასამართლეობისა და ნარკოლოგიური შემოწმების შესახებ. **„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში შესული ცვლილების თანახმად, უმაღლესი სასწავლებლის რექტორის თანამდებობის დასაკავებლად აკადემიური ხარისხის ქონა აუცილებელი აღარ არის.**

თსუ-ის აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით უკვე გამოცხადდა კონკურსი თსუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად. ამჟამად თსუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოვალეობას ბატონი დავით ჩომახიძე ასრულებს, რომელსაც, წარსული სამუშაო ბიოგრაფიიდან გამომდინარე, ხელმძღვანელ პოსტზე მუშაობის დიდი გამოცდილება აქვს და ადმინისტრაციის თანამშრომლებთან, პროფესურასთან თუ სტუდენტებთან ურთიერთობისას მეტად არაჩინოვნიკური და პროფესიული მიდგომა აქვს. ადმინისტრაციის ხელმძღვანელის შესარჩევად კანდიდატთა რეგისტრაცია 11 ოქტომბერს დაიწყო და 21 ოქტომბრის ჩათვლით იწარმოებს. კონკურსის საფუძველზე შერჩეული თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კანცლერის კანდიდატურა წარმომადგენლობით საბჭოს 5 ნოემბრამდე წარედგინება.

მანამდე კი თსუ-ის წარმომადგენლობითი საბჭო ახალ წევრებს აირჩევს. მოქმედ წარმომადგენლობით საბჭოს უფლებამოსილების ვადა 3 ნოემბერს უმთავრდება, შესაბამისად, სენატის არჩევნები აკადემიურმა საბჭომ 26 ოქტომბერს დანიშნა. არჩევნები ექვსივე ფაკულტეტზე გაიმართება: ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი 10 წევრს აირჩევს, მათ შორის: აკადემიური პერსონალი — 7 წევრი, სტუდენტი — 3 წევრი; იურიდიული ფაკულტეტი — 5 წევრს: აკადემიური პერსონალი — 2 წევრი, სტუდენტი — 3 წევრი; მედიცინის ფაკულტეტი — 4 წევრს: აკადემიური პერსონალი – 3 წევრი, სტუდენტი — 1 წევრი; სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი 6 წევრს: აკადემიური პერსონალი – 4 წევრი, სტუდენტი — 2 წევრი; ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი 8 წევრს: აკადემიური პერსონალი — 6 წევრი, სტუდენტი — 2 წევრი; ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი — 6 წევრს: აკადემიური პერსონალი — 3 წევრი, სტუდენტი — 3 წევრი.

თსუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა და რექტორის არჩევნების ჩატარებას 31 აგვისტოს შექმნილი საარჩევნო კომისია უზრუნველყოფს.

ფორუმებზე სტუდენტთა გამოთქმული პრეტენზიების „გადახარშვას“ რექტორი შეეცადა

რას საქმიანობენ სტუდენტთა მომსახურების ცენტრები

მაია ტორაძე

„პრეტენზიები კი არა, ნევროზი მაქვს უკვე აკიდებული... სემინარები... ცხრილები... რა უბედურებაა, დავიღალე უკვე მესამე სემესტრია... დეპრესია მაქვს ცხრილებზე, არ მძინავს წესიერად, რომ ის ჯგუფები ავირჩიო, რომელიც მინდა. ჯერ ცხრილებს ველოდებოდი, მერე სემინარებს... დებენ პირიქით, ჯერ სემინარებს, მერე ცხრილებს... ხომ შეიძლება ან თვითონ გაგვანაწილონ, ან თქვან, როდის დებენ ცხრილებს და როდის — სემინარებს“ (BlessThefall).

— ეს უნივერსიტეტის ფორუმზე დადებული ერთ-ერთი მესიჯია იმ ზღვა საყვედურებიდან, რასაც სტუდენტები უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მიმართ გამოთქვამენ. მართალია, ამ საყვედურებში დამნაშავე ხან მართლა ადმინისტრაციაა, ხან სტუდენტი და ხანაც – გაუთვალისწინებელი გარემო პირობები, მაგრამ სტუდენტს ეს არ აინტერესებს. მას დროული მომსახურება და კომფორტული სასწავლო გარემო სჭირდება, რისი უზრუნველყოფაც უნივერსიტეტის ყველა დეპარტამენტმა და ფაკულტეტის ადმინისტრაციამ, ალბათ, უნდა შეძლოს.

რა თქმა უნდა, აქამდე სტუდენტთა პრეტენზიები ფორუმებზე იდებოდა ან, შესაძლოა, ფაკულტეტის შიგნით „იხარშებოდა“, მაგრამ როცა ქვემოთ მოყვანილ ტექსტს გადაავლებთ თვალს, მიხვდებით, რომ დღეს ეს პრეტენზიები პირდაპირ იმ მისამართზე მიდის, სადაც ზუსტად იციან – თუ უნდათ სტუდენტთა მაჯისცემაზე ედოთ ხელი, ხშირად უნდა გაეცნონ მათ მოსაზრებებს!

მე-2 გვერდზე

ადმინისტრაცია სტუდენტებს თანხის გადახდის პროცედურას უადვილებს
მე-2 გვერდზე

აკადემიური საბჭოს 2 წევრი კვლავ ასარჩევია
მე-5 გვერდზე

რას ემსახურება თსუ-ის მიერ დაფინანსებული მივლინებები
მე-6 გვერდზე

ტექნოპარკი მეცნიერებს ბიზნესში ჩართავს
მე-7 გვერდზე

თსუ-ის მკვლევართა მიზანი სიმსივნის საწინააღმდეგო ვაქცინის შექმნაა
მე-9 გვერდზე

ახალი კოდექსი გვაპოვნინებს თუ არა სამართალს?
მე-10 გვერდზე

სტიპენდიანტები ექვთიმე ღვთისკაცის გადარჩენილი ქართული განძის „ნაწილად“ იქცნენ
მე-10–11 გვ.

დიდი ქიმიკოსის დღემდე განვლილი გზა
მე-12 გვერდზე

ფორუმებზე სტუდენტთა გამოთქმული პრეტენზიების „გადახარშვას“ რექტორი შეეცადა

რას საქმიანობენ სტუდენტთა მომსახურების ცენტრები

პირველი გვერდიდან

ამ მასალის მომზადებისას მეც ფორუმის გაცნობა გადავწყვიტე და, ჩემდა გასაოცრად, ერთ საინტერესო დიალოგს წავაწყდი:

სტუდენტი წერს: „ამდენი ხანია რექტორმა ხელი ვერ მოაწერა ბრძანებას, რომ იმ ხალხმა, ვინც დაამთავრა წელს, ბაკალავრის ხარისხი მიიღოს. ერთი ხელის მოწერა რა გახდა... ვახ, არადა მჭირდება ეგ ცნობა, რომ ბაკალავრიატი დავამთავრე და ერთი თვეა ვიხვეწები, რომ მომცენ“ (4 სექტემბერი, K.N.).

იქვე მოცემულია პასუხი: „ყველა ბრძანებას მოვაწერე დღეს დილით ხელი და, საერთოდ, ჩემთან ხელმოსაწერი დოკუმენტები, განსაკუთრებით ხარისხის მინიჭების ბრძანებები, არ ჩერდება და არ ყოვნდება. თუ რამე პრობლემაა, გამაგებინეთ (თუნდაც ფორუმით)“ (7 სექტემბერი, sandrok).

დიდი მიხვედრა არ სჭირდება, რომ ერთი კონკრეტული სტუდენტის მოთხოვნას უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებელი ეხმაურება, რამაც, როგორც ჩანს, იმ სტუდენტში გულწრფელი საუბრის სურვილი გამოიწვია და დაწვრილებით აღწერა თავისი „გასაჭირი“: „აქამდე მეუბნებოდნენ, რომ რექტორის ხელმოწერა აკლდა. გუშინ გავიგე, რომ მზად არ იყო ხელმოსაწერი დოკუმენტი, არადა ერთი თვე ჰქონდათ.

ჯერ დეკანატმა გადაგზავნა გვიან, შემდეგ სასწავლო დეპარტამენტში გააჭიანურეს გადამოწმება, გუშინ ვისთან არ მივედი, მაგრამ ვერავინ გამცა ნორმალური პასუხი – რატომ არ მაძლევენ აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ ცნობას დროულად, არადა ეს ცნობა თუ არ მივიტანე, სწავლას ვერ გავაგრძელებ იმ სასწავლებელში, სადაც მინდა. ვადა 10 სექტემბერს იწურება. დღესაც დავრეკე სასწავლო დეპარტამენტში და ისევ უარი მითხრეს იმ მიზეზით, რომ ჯერ არ დაწყებულა ასეთი ცნობების გაცემა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის 2010 წლის კურსდამთავრებულებზე, არადა მაქვს იმ ცნობის ასლი, რომელსაც ვითხოვ და რომელიც გაიცა ზუსტად ამ წლის კურსდამთავრებულ სტუდენტზე“ (7 სექტემბერი, K.N.).

სტუდენტთა მომსახურების ცენტრებმა ფუნქციონირება მიმდინარე წლის 26 აპრილიდან დაიწყეს. მომსახურების ცენტრის ფუნქციებში შედის სტუდენტების კითხვებზე პასუხის გაცემა პირადად, ტელეფონით და ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, ასევე, კონსულტაციის გაწევა – ვის უნდა მიმართონ მათ ამა თუ იმ პრობლემის მოსაგვარებლად.

სტუდენტის შეშფოთება გასაგებია და, ალბათ, მართლა უნდა გადაიხედოს მათი ნებისმიერი მოთხოვნის დროულად შესრულების პროცედურა, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ გარკვეული ნაბიჯები ამ მიმართულებით ჯერ კიდევ გაზაფხულზე გადადგა, როცა სტუდენტთა მომსახურების ცენტრები შექმნა.

როგორც სტუდენტთა ერთი ნაწილის გამოკითხვით დავადგინეთ, ამ ცენტრების არსებობის შესახებ ბევრმა მათგანმა არ იცის და კითხვებზე პასუხს ისევ დეპარტამენტიდან დეპარტამენტში ეძებს. მაგრამ ვისაც კი ცენტრის თანამშრომლებთან ურთიერთობა ჰქონია, კმაყოფილია:

„მაინტერესებდა, სწავლის გადასახადის გაყოფა შეიძლებოდა თუ არა. ჩემი მისვლის დღეს ეს არ იყო დაშვებული, მაგრამ შემდეგ ეს საკითხი ჩემს სასარგებლოდ გადაწყდა. ამიტომ, პრეტენზია არ მაქვს მომსახურების ცენტრთან“ (სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის II კურსის სტუდენტი);

„პრობლემები მქონდა საგნების არჩევასთან დაკავშირებით — ბაზას არ მიხსნიდა. მივაკითხე სტუდენტთა მომსახურების ცენტრს VI კორპუსში და ყველა პრობლემა მომიგვარეს“ (სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის II კურსის სტუდენტი);

„ცნობა მჭირდებოდა სასამართლოში წარსადგენად და 3 დღის ვადაში მომცეს. კმაყოფილი ვარ, რადგანაც სტუდენტს აღარ სჭირდება სხვადასხვა დეპარტამენტში სირბილი და სტუდენტთა მომსახურების ცენტრის თანამშრომლებიც ყურადღებით გვექცევიან“ (III კურსის სტუდენტი);

დებულების მიხედვით, სასწავლო პროცესში არსებული პრობლემების შესახებ ცენტრი სტუდენტებისაგან მიღებულ ინფორმაციას ადმინისტრაციას ან ფაკულტეტის დეკანატს აწვდის. მასვე ევალება სტუდენტების საინფორმაციო ბაზის შემუშავება და მისი სისტემატური განახლება, სტუდენტებთან კომუნიკაცია სასწავლო პროცესის ვადების, უნივერსიტეტში სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ახალი წესების, რეგულაციების, ინსტრუქციების შესახებ.

საკითხის შესწავლამ დაგვანახა, რომ სტუდენტებს სტუდენტთა მომსახურების ცენტრებთან თანამშრომლობის შედეგად გაუადვილდათ ცხრილში არსებული პრობლემების, კრედიტების აღებისა და სასწავლო კურსზე რეგისტრაციის საკითხების მოგვარება. აქვე ხდება სტუდენტებისთვის ცნობების (ფორმა 20) და მათი წერილების პასუხად მომზადებული დოკუმენტების გაცემა, სტუდენტთა ინფორმირება მათი მოთხოვნით დამზადებული ცნობებისა და დოკუმენტების მზაობის შესახებ.

ცენტრები უნივერსიტეტის ექვსივე ფაკულტეტზე ფუნქციონირებს. გამოკითხვის შედეგად გაირკვა, რომ ისინი დღეში, საშუალოდ, 50-60 სტუდენტს ემსახურებიან. სტუდენტთა კითხვები ეხება სასწავლო პროცესის დარეგულირებას, საგნების არჩევას, აკადემიური რეგისტრაციის გავლას. ცენტრები, გამოყოფილ ტუტორებთან ერთად, მათ ეხმარებიან სასწავლო ცხრილების შედგენაში, სხვადასხვა პრობლემის მოგვარებაში... მაგალითად, მედიცინის ფაკულტეტზე, სწავლების სპეციფიკიდან გამომდინარე, ხშირად ისმოდა საყვედური იმის გამო, რომ სტუდენტები ვერ ასწრებდნენ წლის განმავლობაში 65 კრედიტის დაგროვებას. სტუდენტთა მომსახურების ცენტრის უშუალო წინადადების საფუძველზე ამ კონკრეტული ფაკულტეტის სტუდენტებს მიეცათ საშუალება — I სემესტრში 32 კრედიტი აიღონ, მეორეში 33 ან პირიქით...

ცენტრები სტუდენტებს ეხმარებიან ინდივიდუალური პრობლემების მოგვარებასა და საჭირო ცნობების მიღებაშიც. ამ ეტაპზე ფაკულტეტებზე შექმნილმა ცენტრებმა გარკვეულ პრობლემად დაასახელეს პირველკურსელი ვაჟებისთვის სამხედრო კომისარიატში წარსადგენი ცნობების გაცემა, რაც უნივერსიტეტისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ფერხდება.

ის პრობლემები, რაზეც ფორუმზე ხშირად მიუთითებენ სტუდენტები, სტუდენტთა მომსახურების ცენტრების მეშვეობით ადვილად გვარდება. უბრალოდ, საჭიროა უფრო ყურადღებით გაეცნონ ცენტრების მუშაობას და იცოდნენ, ვის მიაკითხონ საჭიროების შემთხვევაში.

სტუდენტმა უნდა დაიჯეროს, რომ ვიცით — უნივერსიტეტი სტუდენტისაა!

გამოსავალი

ადმინისტრაცია სტუდენტებს თანხის გადახდის პროცედურას უადვილებს

შურთხია ბერეშვილი

სტუდენტობის სიხარულს, არც თუ იშვიათად, სწავლის საფასურის გადაუხდელობა აფერმკრთალებს. საქართველოში სწავლა ფასიანია იმ ახალგაზრდებისთვის, ვინც, ცოტა არ იყოს, იზარმაცა და სახელმწიფო დაფინანსება ვერ მოიპოვა. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლის საფასური სწავლების ყველა საფეხურზე განისაზღვრება სემესტრული გადასახადით და ყველა ფაკულტეტზე 1125 ლარს შეადგენს.

ადმინისტრაციული რეგისტრაციის გავლის შემდეგ სტუდენტს საშუალება აქვს მონაწილეობა მიიღოს სასწავლო პროცესში, შესაბამის სემესტრულ, შუალედურ თუ დასკვნით გამოცდებში. შესაბამისად, თუ სტუდენტი სწავლის პროცესში ვერ დაფარავს გადასახადს, ის ვერ გაივლის აკადემიურ რეგისტრაციას და შეუჩერდება სტუდენტის სტატუსი. მართალია, სწავლის საფასურის გადახდა განსაზღვრულ ვადებში უნდა მოხდეს, მაგრამ უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა ითვალისწინებს სტუდენტების მატერიალურ-ფინანსურ მდგომარეობას და მათ თანხის გადახდის პროცედურას სხვადასხვა გზით უადვილებს.

რა პრობლემების გადალახვა უწევთ სტუდენტებს გადასახადთან დაკავშირებით, რა პროცედურებს გადიან ადმინისტრაციული რეგისტრაციის დროს და რა შეღავათებს აწესებს უნივერსიტეტის ადმინისტრაცია?

— ამ საკითხზე სასწავლო დეპარტამენტის ხელმძღვანელი რუსუდან ჩიქოვანი, საფინანსო დეპარტამენტის სპეციალისტი მაია კობახიძე და თავად სტუდენტები საუბრობენ.

რუსუდან ჩიქოვანი, სასწავლო დეპარტამენტის ხელმძღვანელი:

— 2010-2011 სასწავლო წელს, ისევე როგორც წინა წლებში, სტუდენტებს საშუალება აქვთ გადასახადი სამ ეტაპად გადაიხადონ. აკადემიური საბჭოს დადგენილების საფუძველზე, სტუდენტები იხდიან სემესტრულ გადასახადს, მაგრამ ვითვალისწინებთ რა მათ სოციალურ პირობებს,

უკვე მეორე წელია, საშუალება ეძლევათ, თანხა, ეტაპობრივად, დადგენილ ვადებში გადაიხადონ. თანხის სრულად გადაუხდელობის შემთხვევაში სტუდენტი არ დაიშვება სემესტრულ დასკვნით გამოცდებზე, ასევე, იგი კარგავს გადახდილი თანხის უკან დაბრუნების, ან მომდევნო სემესტრში გამოყენების უფლებას.

მაია კობახიძე, საფინანსო დეპარტამენტის სპეციალისტი:

— რექტორის ბრძანების საფუძველზე, სწავლის საფასურის გადახდის ვადებმა ამჯერადაც გადაიწია. აღსანიშნავია, რომ სწავლის საფასურის გადაუხდელობის შემთხვევაში სტუდენტზე არ ვრცელდება საჯარიმო სანქცია. თანხის დროულად გადახდა სტუდენტს საშუალებას აძლევს — თავიდანვე აირჩიოს სასურველი საგანი თუ ლექტორი. სტუდენტებს საშუალება აქვთ, ყოველ წელს გაიუმჯობესონ გრანტი და მოიპოვონ დაფინანსება. ასევე, არსებობს სხვა შეღავათებიც, მაგალითად, სოციალურად დაუცველი სტუდენტების. მაღალმთიანი რეგიონების ოჯახების, მრავალშვილიანი ოჯახების, აგვისტოს ომში დაღუპულთა ოჯახების, აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის ლტოლვილთა დიდ ნაწილს მერია და განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ნაწილობრივ აფინანსებს.

რა თქმა უნდა, სტუდენტების დიდ ნაწილს უჭირს თანხის გადახდა, მაგრამ უნივერსიტეტი ყველანაირად ცდილობს, მათ ხელი შეუწყოს. აღსანიშნავია, რომ თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში სტუდენტს შეუძლია 5 წლის მანძილზე შეინარჩუნოს სტუდენტის სტატუსი.

ამ თემასთან დაკავშირებით გამოკითხულ სტუდენტთა უმეტესობა აღნიშნავს, რომ მათ ერთ-ერთ მთავარ პრობლემად სწავლის გადასახადი რჩება, მაგრამ ისინი სხვადასხვა საშუალებით მაინც ახერხებენ მის მოგვარებას.

ანა რეხვიაშვილი, იურიდიული ფაკულტეტის II კურსის სტუდენტი:

— მართალია 70 %-იანი დაფინანსება მაქვს, მაგრამ ერთბაშად ამ თანხის დაფარვაც ჩემთვის პრობლემა იყო, ამიტომ მეორე წელია სტუდენტური სესხით ვსარგებლობ და ჯერ არანაირი პრობლემა არ შემქმნია.

გიორგი ჭანტურია, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი:

— გარკვეული პრობლემების გამო თანხა დროულად ვერ შევიტანე, მაგრამ იმედია, უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა სწავლის საფასურის გადახდის ვადას კიდევ გააგრძელებს და ჩემს მდგომარეობასაც გაითვალისწინებს.

რობერტ კავთიაშვილი, იურიდიული ფაკულტეტის II კურსის სტუდენტი:

— მიმაჩნია, რომ სწავლის საფასურის ეტაპობრივი გადახდა ჩვენთვის შეღავათია. 30% - იანი დაფინანსება მოვიპოვე, სტუდენტური სესხით ვერ ვისარგებლე, მაგრამ ეტაპობრივად შევძელი თანხა დროულად შემეტანა ბანკში.

სტუდენტები ამბობენ, რომ გადასახადის გამო სწავლაში ხელი არ ეშლებათ... მათთვის მთავარია, არჩეული საგნები დროზე ჩააბარონ და კარგი შეფასება დაიმსახურონ.

წვეულება ყველაზე მაღალრეიტინგული პირველკურსელებისთვის

22 სექტემბერს თსუ-ის სტუდენტურმა თვითმმართველობამ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩარიცხულ საუკეთესო რეიტინგის მქონე 80 პირველკურსელს უმასპინძლა. წვეულებას ექვსივე ფაკულტეტის დეკანი, ადმინისტრაციის წარმომადგენლები და თსუ-ის რექტორის მოვალეობის შემსრულებელი სანდრო კვიტაშვილი დაესწრნენ. სტუდენტებს მათთან პირადად გასაუბრების საშუალება მიეცათ და საინტერესო შეკითხვებზე ამომწურავი პასუხებიც მიიღეს.

ნატო ოგოლაძე

თსუ-ის სტუდენტურმა თვითმმართველობამ წვეულებაზე პირველკურსელებს ორწლიანი მუშაობის ანგარიშიც წარმოუდგინა. დარბაზში გამოფენილი ფოტოები თვითმმართველობის მიერ გამართულ სხვადასხვა ღონისძიებებს და პროექტებს ასახავდა. წვეულებაზე საზეიმო ვითარებაში ტორტიც გაიჭრა.

„გვინდოდა მათთვის ლამაზი და სამახსოვრო სიტუაცია შეგვექმნა, ხოლო ფოტოების საშუალებით წარმოგვედგინა ჩვენი ორწლიანი მუშაობის ანგარიში. პირველკურსელებს ჩვენთან გაწევრიანებას და სტუდენტური ცხოვრების საინტერესოდ წარმართვას ვთავაზობთ. გვინდა, რომ პირველკურსელები მაქსიმალურად დავიახლოოთ და თავი უნივერსიტეტის ნაწილად ვაგრძნობინოთ. ვპირდებით, რომ ის პროექტები, რომლის ამსახველი ფოტომასალაც გამოვფინეთ სტენდებზე, აუცილებლად გაგრძელდება“, — გვითხრა თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტმა დაჩი გუბაძემ.

წვეულებაზე თსუ-ის რექტორის მოვალეობის შემსრულებელმა სანდრო კვიტაშვილმა პირველკურსელებს სიტყვით მიმართა. მან ახალგაზრდებს უნივერსიტეტში ჩარიცხვა მიულოცა და შეპირდა, რომ მათი სტუდენტური ცხოვრება, როგორც სწავლის, ასევე, გართობის მხრივ, საკმაოდ საინტერესო იქნება.

„სასიამოვნოა, რომ წელს ჩვენი უნივერსიტეტი, ყველანაირი მონაცემით, პირველ ადგილზე აღმოჩნდა. ჩვენთან საუკეთესო შედეგების მქონე აბიტურიენტები მოვიდნენ და ვეცდებით, რომ ისინი ჩამოყალიბებული მეცნიერები, პროფესიონალი სპეციალისტები და ნამდვილი მოქალაქეები გახდნენ. თსუ ლიდერია სხვა უმაღლეს სასწავლებლებს შორის და ეს არა მარტო პროფესორ-მასწავლებლების, არამედ სტუდენტების დამსახურებაცაა. მიხარია, რომ უნივერსიტეტში უამრავი სასიკეთო რამ ხდება, როგორც მეცნიერების, ასევე, სტუდენტური ცხოვრების კუთხითაც.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩარიცხვა უკვე დიდი წარმატებაა და მინდა, ეს ყველა პირველკურსელს მივულოცო. ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ, რომ სტუდენტებისთვის აქ გატარებული წლები ბედნიერი და წარმატებული იყოს,“ — განაცხადა სანდრო კვიტაშვილმა.

სტუდენტურ თვითმმართველობაში გაწევრიანების სურვილი უკვე არაერთმა პირველკურსელმა გამოთქვა. წვეულებაზე მიწვეულმა სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ თსუ-ში სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით გამართული ღონისძიებები ახალგაზრდებისთვის დიდი სტიმულის მიმცემია. მათ თსუ-ის სტუდენტურ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობის მიღების სურვილი გამოთქვეს.

„ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ სწავლას პირველ, უძველეს ქართულ უნივერსიტეტში ვაგრძელებ, როდესაც მივიღე შეტყობინება, რომ 80 საუკეთესო სტუდენტს შორის მოვხვდი, ძალიან გამიხარდა. მინდა, რომ აქტიური სტუდენტი ვიყო და ვგეგმავ თსუ-ის თვითმმართველობაში გაწევრიანებასაც“, — გვითხრა სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტმა მაია კომახიძემ.

თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის გარდა „ელსა-საქართველოშიც“ შეუძლიათ გაწევრიანება. თვითმმართველობის მიერ გამართულ ღონისძიებას ევროპის იურისტ სტუდენტთა ასოციაციის საქართველოს ფილიალის ხელმძღვანელი ირაკლი სამხარაძეც ესწრებოდა, რომელიც სტუდენტებს საინტერესო პროექტებში, სემინარებსა და გაცვლით პროგრამებში მონაწილეობას სთავაზობს. საწყის ეტაპზე პირველკურსელები იურისტ სტუდენტთა ასოციაციაში სასწავლო კურსს გაივლიან, რომელიც შემდეგში მათ სხვადასხვა პროექტებში მონაწილეობის მიღებას გაუადვილებს.

გაიცანით უნივერსიტეტის გამორჩეული პირველკურსელი — ანა ქორიძე

წვეულებაზე იმყოფებოდა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტი ანა ქორიძეც, რომელმაც, წელს, თსუ-ის მასშტაბით, ერთიან ეროვნულ გამოცდებში ყველაზე მაღალი ქულები მიიღო. ანამ თბილისის 57-ე საჯარო სკოლა დაამთავრა და ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩასაბარებლად დამოუკიდებლად მეცადინეობდა. იგი რეპეტიტორთან, მხოლოდ, ქართულ ენასა და ლიტერატურაში მოემზადა და შედეგად აღნიშნულ საგანში, საქართველოს მასშტაბით, ერთ-ერთი ყველაზე მაღალი შეფასება დაიმსახურა. იგი სკალირებული ქულების მიხედვით საერთო რეიტინგში რიგით მეცხრეა.

„კერძო უნივერსიტეტზე ძვირი გადასახადის გამო ვთქვი უარი, თუმცა ვთვლი, რომ სწავლის თვალსაზრისით თსუ საქართველოში ერთ-ერთი საუკეთესო უნივერსიტეტია. აქ შემიძლია მივიღო სტიპენდია და გაცვლითი პროგრამების დიდი არჩევანიცაა. სპეციალობის არჩევისას დიდხანს ვიფიქრე, რჩევა ოჯახის წევრებსაც ვკითხე და არჩევანი ინგლისურ ფილოლოგიაზე შევაჩერეთ. ამ ოთხი წლის განმავლობაში მინდა, უცხო ენები კარგად შევისწავლო. ჯერჯერობით არ გადამიწყვეტია, შესაძლოა თვითმმართველობასთან არ ვითანამშრომლო, რადგან არ მინდა, დროში შევიზღუდო. დიდი სურვილი მაქვს, მთლიანად სწავლაზე ვიყო ორიენტირებული,“ — გვითხრა ანა ქორიძემ.

პრობლემა

პირველკურსელები სტუდბილეთებს ითხოვენ

წელს თსუ-ში ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად ყველაზე რეიტინგული აბიტურიენტები ჩაირიცხნენ. ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების მოგვიანებით დაზუსტების მიზეზის გამო, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტთა რეგისტრაცია დაგვიანებით დაიწყო, რამაც პირველკურსელთა უკმაყოფილება გამოიწვია. თსუ-ის ადმინისტრაციის გადაწყვეტილებით, რეგისტრაციაში, პირველ რიგში, ის სტუდენტები გაატარეს, რომლებმაც 100%-იანი სახელმწიფო დაფინანსება მიიღეს. ამ ფაქტმა პირველკურსელთა ნაწილი გააღიზიანა. თსუ-ის ადმინისტრაციის მიმართ გაჩნდა კითხვები და პრეტენზიები. პირველ კურსზე ჩარიცხულ სტუდენტთა გამოკითხვის შედეგად, ასევე, გაირკვა, რომ მათ არ აქვთ ინფორმაცია — თუ როდის გადაეცემათ სტუდბილეთები და პირადი საუნივერსიტეტო ელ-ფოსტა.

ნატო ოგოლაძე

„რეგისტრაცია ძალიან გვიან დაიწყო, რამაც დისკომფორტი შეგვიქმნა. პირადი ელ-ფოსტის შესახებ, რაც თსუ-მ გამოგვიყო, არანაირი ინფორმაცია არ მაქვს. აღსანიშნავია, რომ ჯერ-ჯერობით არ გადმოუციათ სტუდბილეთებიც,“ — გვითხრა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტმა ნათია ქავთარაძემ.

„უნივერსიტეტში რეგისტრაცია გვიან დაიწყო, თუმცა ყველაფერმა კარგად ჩაიარა, არანაირი შეფერხება არ მქონია საგნების არჩევის დროსაც. ადმინისტრაციის შესაბამისი სტრუქტურების წარმომადგენლებმა ყველა კითხვაზე ადეკვატურად მიპასუხეს და საკუთარი სამოქმედო გეგმის გარკვევაშიც დამეხმარნენ. რაც შეეხება ელ-ფოსტას, ამის შესახებ არაფერი გამიგია,“ – აღნიშნა იურიდიული ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტმა ავთანდილ ღონღაძემ.

რატომ დაიწყო პირველკურსელების რეგისტრაცია დაგვიანებით? რატომ მოხდა პირველ რიგში 100%-იანი გრანტის მქონე პირველკურსელების რეგისტრაციაში გატარება? როდის ექნებათ პირველკურსელებს სტუდბილეთები? — ამ კითხვებით ჩვენ თსუ-ის სასწავლო დეპარტამენტის ხელმძღვანელს რუსუდან ჩიქოვანს მივმართეთ:

„ჩვენ არ გვაქვს უფლება, მინისტრის ბრძანების გარეშე ვიმოქმედოთ. როგორც კი მივიღეთ ბრძანება, მაშინვე დავიწყეთ რეგისტრაცია. რაც შეეხება 100%-იანი გრანტის მქონე სტუდენტთა პირველ რიგში რეგისტრაციის დაწყებას, ეს გადაწყვეტილება ისევ სტუდენტთა სასარგებლოდ მივიღეთ. მოგეხსნებათ, რომ პირველკურსელთა სიებს მომზადება სჭირდება. ჩვენ სიების ელექტრონულ ვერსიას ვამზადებთ და გადავცემთ ბანკს. ეს მონაცემები ბანკმა უნდა დაამუშაოს და მხოლოდ ამის შემდეგ ეძლევათ სტუდენტებს თანხის გადახდის შესაძლებლობა. იმის გამო, რომ სიების მომზადების პროცესს არ შეეფერხებინა რეგისტრაციის დაწყება, გადავწყვიტეთ ეს პროცედურა იმ პირველკურსელებით დაგვეწყო, ვისაც ბანკთან ურთიერთობა არ უწევდა. ასე რომ, გავრცელებული ხმები იმის თაობაზე, რომ 100%-იანი გრანტის მქონე სტუდენტების ჯგუფებს ვქმნიდით მათთვის რაღაც პრივილეგიების მინიჭების მიზნით, მხოლოდ ჭორი გახლდათ. ეს განაპირობა მარტოოდენ ბანკთან ურთიერთობის პროცესმა“, — განაცხადა თსუ-ის სასწავლო დეპარტამენტის ხელმძღვანელმა რუსუდან ჩიქოვანმა.

როგორც სასწავლო დეპარტამენტში აგვიხსნეს, პირველკურსელებისთვის სტუდბილეთების დამზადების პროცესი განათლებისა და მეცნიერების სამინისტროდან სიების დაგვიანებით გადმოცემის მიზეზით შეფერხდა.

„ჩვენ უკვე გადავეცით ბანკს პირველკურსელთა სიები. მათი სტუდბილეთები უახლოეს ორ კვირაში მზად იქნება. სტუდენტებმა უნდა მიაკითხონ ფაკულტეტებზე არსებულ სტუდენტთა მომსახურების ცენტრებს, სადაც დაწვრილებით ინფორმაციას მიიღებენ“, — გვითხრა რუსუდან ჩიქოვანმა.

ქალაქის მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობისას დაწესებული შეღავათებით სარგებლობისთვის სტუდენტები ცალკე სამგზავრო ბარათებს მიიღებენ, რომელსაც მათთვის საქართველოს ბანკი ამზადებს. რაც შეეხება სტუდბილეთებს, მათ სტუდენტებს ლიბერთი ბანკი უახლოეს მომავალში გადასცემს. როგორც სასწავლო დეპარტამენტში გვითხრეს, სტუდენტურ ბილეთებს თან დატანებული ექნება სპეციალური ჩიპი, რისი საშუალებითაც სტუდენტები სხვა დამატებით მომსახურებასაც მიიღებენ — მათ შეეძლებათ საქართველოს ბანკში ანგარიშის გახსნა, თანხის დარიცხვა და სტუდბილეთის საშუალებით მისი გამოყენება.

გავრცელებული ხმები იმის თაობაზე, რომ 100%-იანი გრანტის მქონე სტუდენტების ჯგუფებს ვქმნიდით მათთვის რაღაც პრივილეგიების მინიჭების მიზნით, მხოლოდ ჭორი გახლდათ. ეს განაპირობა მარტოოდენ ბანკთან ურთიერთობის პროცესმა

შეგვიძლია თუ არა სასწავლო პროცესის მართვის სისტემით უპრობლემოდ სარგებლობა?

პრობლემები, რაც არც თუ ისე დიდი ხნის წინ, თითქმის ყველა სტუდენტს აწუხებდა სასწავლო პროცესის დარეგულირების თვალსაზრისით, დღეისთვის მეტ-ნაკლებად მოგვარებულია. თსუ-ის სასწავლო დეპარტამენტის სწორად წარმართულმა პოლიტიკამ სტუდენტებს საშუალება მისცა, ინდივიდუალურად აწარმოონ თავიანთი სასწავლო გეგმა, აირჩიონ საგნები და ა.შ. ახლა მათ ამ რთული პროცედურების გავლა მარტივად, ინტერნეტ-ქსელში ჩართული ნებისმიერი კომპიუტერიდან შეუძლიათ.

სტუდენტების უმეტესობა სასწავლო პროცესის მართვის სისტემით უპრობლემოდ სარგებლობს. გამოკითხულ სტუდენტთა ნაწილი აღნიშნავს, რომ ამით ისინი თავს არიდებენ ხანგრძლივ და დამღლელ პროცედურებს, რაც დადებითად აისახება სასწავლო პროცესზე.

შურთხია ბეროშვილი

თსუ-ის სასწავლო დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტის გიორგი კიკალიშვილის ინფორმაციით, სტუდენტს, რომელიც დაშვებულია სისტემაში, შეუძლია შევიდეს თსუ-ის ინტერნეტ გვერდზე საკუთარი პაროლის შეყვანის შემდეგ და თავისი სასწავლო ბარათის საშუალებით ნახოს მის მიერ არჩეული საგნები, მიღებული შეფასებები და დაგროვებული ქულები.

მას, ასევე, შეუძლია ინდივიდუალურად აწარმოოს სასწავლო გეგმა, ამასთან, მას ბაზაში შესვლისას ეცნობება, რას არ უნდა აღემატებოდეს არჩეული კრედიტების ჯამი და წარედგინება იმ საგნების ჩამონათვალი, საიდანაც უნდა აირჩიოს მიმდინარე სემესტრში შემავალი საგნები. საჭიროების შემთხვევაში აღნიშნულ საკითხზე მას კონსულტაციას უწევს ფაკულტეტის ტუტორი და პროგრამის კოორდინატორი. სტუდენტს შეუძლია გაეცნოს ფაკულტეტზე არსებულ სპეციალობათა ნუსხას, თითოეული სპეციალობის შესახებ მოკლე ინფორმაციას და შესაბამის დისციპლინათა ჩამონათვალს. მას, ასევე, შეუძლია გაეცნოს სასწავლო კურსის სილაბუსებს. სასწავლო პროცესის მართვის სისტემა სტუდენტს საშუალებას აძლევს აირჩიოს ან შეცვალოს ძირითადი (Major) და დამატებითი (Minor) სპეციალობები. (გამონაკლისს წარმოადგენს ე.წ. რეგულირებადი დარგები, რომლებიც ძირითადი და დამატებითი სპეციალობების კანონიერების საშუალებას არ იძლევა).

„სტუდენტები ყველაფერს თვითონ აკეთებენ, ჩვენ ვაკონტროლებთ ბაზებს, აღვრიცხავთ სტუდენტის აკადემიურ მონაცემებს: რომელ სტუდენტს არა აქვს დაგროვილი კრედიტები, ვინ გადასცდა დასაშვებ ზღვარს, აქვს თუ არა გადახდილი სწავლის საფასური, ამოირიცხა თუ არა სტუდენტი და ა.შ. სასწავლო პროცესის მართვის სისტემა კარგად მუშაობს, თუმცა ხანდახან უმნიშვნელო პრობლემებიც არის, მაგალითად, შეიძლება სტუდენტმა თანხა გადაიხადა, ბაზა კი მაინც არ იხსნება, ასეთ დროს, რა თქმა უნდა, ყველანაირად ვეხმარებით პრობლემის მოგვარებაში“, — აცხადებს გიორგი კიკალიშვილი.

რა პრობლემები აქვთ სტუდენტებს სასწავლო პროცესის მართვის სისტემის სარგებლობისას და რამდენად არიან ინფორმირებულნი, როგორ ისარგებლონ ამ სისტემით? — ამ კითხვით რამდენიმე სტუდენტს მივმართეთ. გამოკითხულ სტუდენტთა აზრით, მომსახურების ამგვარი ფორმა დროის დაზოგვის თვალსაზრისით მისაღებია და, რაც მთავარია, კომფორტულია.

მარიამ ინასარიძე, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის I კურსის სტუდენტი:

— უნივერსიტეტში შექმნილ ამ სისტემას საკმაოდ მალე ავუღე ალღო და გამიადვილა ყველა პროცედურის გავლა. ჩემი სასწავლო ბარათით შემყავს ჩემი კოდი, შევდივარ ბაზაში და ვპოულობ ყველაფერს, რაც მაინტერესებს. ამ გზით გავიარე რეგისტრაცია, ავირჩიე პედაგოგები... კარგია, რომ ასე გამარტივებულია ეს პროცესი. გაუგებრობის შემთხვევაში, ფაკულტეტი მეხმარება. ცხრილები სტენდებზეა გამოკრული. ნამდვილად კმაყოფილი ვარ ამგვარი მომსახურებით.

სოსო კორაშვილი, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის I კურსის სტუდენტი:

— გულახდილად რომ ვთქვა, ჯერ კიდევ კარგად ვერ გავერკვიე — როგორ ვისარგებლო ამ სისტემით. საგნების არჩევაც გამიჭირდა. ჯერჯერობით ფაკულტეტის ტუტორი დამეხმარა საგნებისა და პედაგოგების შერჩევაში. იმედია, მალე გავერკვევი და ჩემით გადავჭრი ჩემსავე პრობლემებს.

მარი ტოკლიკიშვილი, იურიდიული ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტი:

— მე და ჩემს მეგობრებს ძალიან მოგვწონს ეს სისტემა. საგნების არჩევის გარდა, კიდევ ბევრი რამის გაკეთება შეგვიძლია, ზოგჯერ ლექტორებსაც ვაფასებთ, ვეცნობით სიახლეებს. ხანდახან არის ტექნიკური პრობლემებიც, მაგალითად, ადვილად ვერ შევდივართ საიტზე, ზოგჯერ თანხა გადახდილია და საგნებს მაინც ვერ ვირჩევთ, მაგრამ სასწავლო დეპარტამენტი გვეხმარება ამ პრობლემების მოგვარებაში.

თინათინ ხაჩიძე, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის II კურსის სტუდენტი:

— როგორც კი სტუდენტი გავხდი, ფაკულტეტზე სასწავლო პროცესის მართვის სისტემით სარგებლობის შესახებ ინფორმაცია ფაკულტეტის ტუტორმა აგვიხსნა და მას შემდეგ პრობლემა აღარ მქონია. თუ რაიმე გაგვიჭირდა, ფაკულტეტის სამდივნოში ყველა კითხვაზე ამომწურავ პასუხს ვიღებთ.

ცნობარი

დაიცავი თავი უფლება-მოვალეობების ცოდნით!

ახალგაზრდები ცხოვრების მნიშვნელოვან ნაწილს სასწავლო დაწესებულებებში ატარებენ, სადაც, პროფესიული ცოდნის შეძენასთან ერთად, ქვეყნის ღირსეული მოქალაქის პასუხისმგებლობის ნორმებსაც ითავისებენ.

საინტერესოა, არიან თუ არა სტუდენტები ინფორმირებულნი იმ უფლება-მოვალეობების შესახებ, რაც მათ უნივერსიტეტში სწავლის დროს მოეთხოვებათ. ამ საკითხზე დიდი ხანია უკვე მუშაობს თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის III კურსის სტუდენტი თინათინ ახვლედიანი, რომელიც სტუდენტების გამოკითხვის შედეგებს გვიზიარებს.

თამარ დადიანი

„გამოიკითხა თსუ-ის რამდენიმე ფაკულტეტის I, II, III და IV კურსელი სტუდენტები. გამოკითხვის შედეგად დადგინდა, რომ პირველკურსელთა 97% საერთოდ არ ფლობს ინფორმაციას თსუ-ის სტუდენტის უფლება-მოვალეობების თაობაზე. მათთვის ცნობილია მხოლოდ რამდენიმე პუნქტი სტუდენტთა მოვალეობების ჩამონათვალიდან, კერძოდ, ის პუნქტი, სადაც მითითებულია, რომ სტუდენტისთვის შეუფერებელ და არაეთიკურ ქცევად ჩაითვლება თამბაქოს მოწევა თსუ-ის შენობაში, გარდა სპეციალურად გამოყოფილი ადგილებისა.

გამოკითხვის შედეგებზე დაყრდნობით, ძნელია ისაუბრო, თუ რამდენად ირღვევა სტუდენტთა უფლებები მაშინ, როდესაც სტუდენტთა უმრავლესობა ჯერ კიდევ არ არის ინფორმირებული — თუ რისი უფლება აქვს ან რა ვალდებულებების დაცვა და შესრულება მოეთხოვება,“ — აღნიშნავს თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის III კურსის სტუდენტი თინათინ ახვლედიანი. ამავე ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტის ბექა ლილუაშვილის განცხადებით, აუცილებელია სტუდენტები ფლობდნენ სრულყოფილ ინფორმაციას თავიანთი უფლება-მოვალეობების შესახებ და ამ კუთხით მათ „განათლებაზე“ უნივერსიტეტის ადმინისტრაცია უნდა ზრუნავდეს.

აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ პრობლემაზე აქტიურად მუშაობს თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობა. სტუდენტთა უფლებების დასაცავად სტუდენტურ თვითმმართველობაში შექმნილია სტუდენტთა უფლებების დაცვის დეპარტამენტი. მისი თავმჯდომარის გაგი ოხანაშვილის თქმით, დეპარტამენტი აქტიურად გააგრძელებს მუშაობას ამ მიმართულებით.

„პირველ რიგში, სტუდენტი კარგად უნდა იცნობდეს საკუთარ უფლებებსა და მოვალეობებს. სწორედ ამ მიზნით, სტუდენტთა უფლებების დაცვის დეპარტამენტი რამდენიმე დღის განმავლობაში თსუ-ის ექვსივე ფაკულტეტის პირველკურსელებს შეხვდა და ახლაც აქტიურად აგრძელებს მუშაობას სტუდენტთა სრულყოფილად ინფორმირებისთვის. ამ მიმართულებით დაგეგმილი გვაქვს რამდენიმე ღონისძიების გამართვა. უახლოეს დღეებში დეპარტამენტი გამოაცხადებს ჩანახატების კონკურსს სახელწოდებით: „თსუ და უფლებები“, რომელშიც ყველა ფაკულტეტის სტუდენტი მიიღებს მონაწილეობას“, — განაცხადა სტუდენტური თვითმმართველობის სტუდენტთა უფლებების დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარემ გაგი ოხანაშვილმა.

სტუდენტური თვითმმართველობის თხოვნით, გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტში“ ვაქვეყნებთ თსუ-ის სტუდენტთა უფლება-მოვალეობების ჩამონათვალს, რათა ამ გზითაც გახდეს შესაძლებელი სტუდენტთა ინფორმირება მათი უფლება-მოვალეობებს შესახებ.

თსუ-ის სტუდენტის უფლება–მოვალეობები

უნივერსიტეტის სტუდენტს უფლება აქვს:

ა) მიიღოს ხარისხიანი განათლება და მონაწილეობა მიიღოს სამეცნიერო კვლევაში;

ბ) კრედიტის მოსაპოვებლად სამჯერ მოისმინოს ერთი და იგივე სასწავლო კურსი.

გ) ისარგებლოს თსუ-ის მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, საბიბლიოთეკო, საინფორმაციო და სხვა საშუალებებით;

დ) მიიღოს ამომწურავი ინფორმაცია უნივერსიტეტში არსებული საგანმანათლებლო პროგრამების თაობაზე და მოითხოვოს სასწავლო კურსების სილაბუსები;

ე) მოითხოვოს ცოდნის სამართლიანი შეფასება და დადგენილი წესით გაასაჩივროს არასასურველი საგამოცდო შედეგები;

ვ) მიიღოს კვალიფიციური კონსულტაცია უფლებამოსილი პირისაგან საგანმანათლებლო პროგრამების, სასწავლო დისციპლინების და გამოცდების ჩატარების ვადებისა და ფორმატის თაობაზე;

ზ) პერიოდულად მოახდინოს აკადემიური პერსონალის მუშაობის/სტუდენტთა მომსახურების შეფასება.

უნივერსიტეტის სტუდენტი ვალდებულია:

ა) დაიცვას უნივერსიტეტის შინაგანაწესი;

ბ) დაიცვას და შეასრულოს უნივერსიტეტთან დადებული ხელშეკრულების პირობები;

გ) დაიცვას უნივერსიტეტის მიერ მომსახურებისთვის დადგენილი ვადები;

დ) გადაიხადოს სწავლის სემესტრული საფასური ადმინისტრაციული რეგისტრაციისათვის დადგენილ ვადებში და გაიაროს აკადემიური რეგისტრაცია;

ე) ერთი თვის ვადაში აცნობოს უნივერსიტეტის სასწავლო დეპარტამენტს პირად ბარათში მითითებული ინფორმაციის ცვლილებებზე;

ვ) დაიცვას ეთიკისა და ქცევის საყოველთაოდ მიღებული ნორმები;

ზ) გაუფრთხილდეს უნივერსიტეტის კუთვნილ ქონებას;

სტუდენტისათვის შეუფერებელ და არაეთიკურ ქცევად ჩაითვლება:

ა) პლაგიატი- ნაშრომში სხვისი აზრისა თუ ნაშრომის ციტირება ავტორის მითითების გარეშე;

ბ) თამბაქოს მოწევა, გარდა სპეციალურად გამოყოფილი ადგილებისა;

გ) უხეში და არაეთიკური დამოკიდებულება, ძალადობა და შეურაცხყოფა სტუდენტების, აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის მიმართ;

დ) შეფასების მიღების მცდელობა გამომცდელზე მუქარით, ფიზიკური ან ფსიქოლოგიური ზემოქმედებით, მოტყუებით, თაღლითობითა თუ სხვა დაუშვებელი ხერხებითა და ქმედებით.

აკადემიური საბჭოს 2 წევრი კვლავ ასარჩევია

29 სექტემბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა ახალი აკადემიური საბჭო აირჩია. არჩევნები იურიდიულ, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტებზე გაიმართა. ხმის მიცემის პროცედურამ მშვიდ ვითარებაში ჩაიარა, არ დაფიქსირებულა არც ერთი დარღვევა და, შესაბამისად, საარჩევნო კომისიაში არც ერთი საჩივარი არ შესულა. 800 ამომრჩეველიდან საარჩევნო უბანზე საკუთარი არჩევანის გასაკეთებლად 70%-ზე მეტი მივიდა. ხმის მიცემის პროცედურას თსუ-ის ოთხივე ფაკულტეტიდან წარდგენილი დამკვირვებლები ადევნებდნენ თვალ-ყურს.

ნატო ობოლაძე

29 სექტემბერს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სამი საარჩევნო უბანი გაიხსნა. საკუთარი არჩევანის დაფიქსირება თსუ-ის ყველა სრულ და ასოცირებულ პროფესორს, ასევე, საფაკულტეტო საბჭოებში წარმოდგენილ სტუდენტური თვითმმართველობის წევრებს შეეძლოთ. ხმის მიცემის პროცედურა დილის 10.00 საათიდან საღამოს 17.00 საათამდე მიმდინარეობდა. არჩევნებმა დარღვევების გარეშე ჩაიარა. თსუ-ის პროფესორ-მასწავლებლებისა და საფაკულტეტო საბჭოებში წარმოდგენილი სტუდენტური თვითმმართველობის წევრების არჩევანის მიხედვით თსუ-ის აკადემიური საბჭოს ახალი წევრები გახდნენ: ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტიდან – ელიზბარ ნადარაია და ალექსანდრე შენგელაია, იურიდიული ფაკულტეტიდან – მაია კოპალეიშვილი და ნოდარ სურგულაძე, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტიდან — ზურაბ დავითაშვილი და მარიამ გერსამია, ჰუმანიტარული მეცნიერებათა ფაკულტეტიდან — ნანი გაფრინდაშვილი.

„800 ამომრჩევლიდან არჩევნებში მონაწილეობა 615-მდე ადამიანმა მიიღო. დამკვირვებლების მხრიდან არანაირი დარღვევა, სიტყვიერი შენიშვნაც კი არ ყოფილა. ხმის დათვლის პროცესმაც მშვიდ ვითარებაში ჩაიარა, მას კანდიდატების წარმომადგენლები აკვირდებოდნენ. არჩევნების შედეგად აკადემიურ საბჭოს 7 ახალი წევრი დაემატა“, — განაცხადა საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ მიხეილ დევდარიანმა.

აკადემიური საბჭოს წევრობის სურვილი სულ 15-მა კანდიდატმა გამოთქვა, თუმცა არჩევნებამდე ორი დღით ადრე საკუთარი კანდიდატურა სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორმა გუგული მაღრაძემ მოხსნა. აკადემიურ საბჭოში მონაწილეობის მიღებაზე უარის თქმის მიზეზად გუგული მაღრაძემ საარჩევნო კომისიის მიმართ უნდობლობა დაასახელა. „თითქოს უნივერსიტეტში არ მოიძებნებოდა 7 ადამიანი, რომელიც მოახერხებდა არჩევნების სამართლიანად ჩატარებას. უკვე არჩევნების თარიღის გამოცხადების შემდეგ სასწრაფოდ შეიტანეს ცვლილება ფაკულტეტის საბჭოების შემადგენლობაში სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენლების გასაზრდელად, საბუთების შეტანის ბოლო დღეებში კანდიდატურები წამოაყენეს ხელისუფლებასთან დაახლოებულმა ადამიანებმა, რომლებიც მანამდე არ აპირებდნენ აკადემიურ საბჭოს არჩევნებში მონაწილეობის მიღებას“, — ასეთი პოზიცია ჰქონდა გუგული მაღრაძეს.

თავისი კანდიდატურის წარმოდგენაზე უარი განაცხადა მედიცინის ფაკულტეტის წარმომადგენელმა პაატა იმნაძემ. ერთადერთი კანდიდატის მიერ არჩევნებში მონაწილეობაზე, უარის თქმის გამო, მედიცინის ფაკულტეტზე არჩევნები ჩაშლილად გამოცხადდა. კანდიდატურა მოხსნა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორმა რამაზ ქურდაძემაც.

ამომრჩევლების აქტიურობის განსაზღვრისთვის თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის ორგანიზებით ეგზიტ-პოლებიც ჩატარდა.

„ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს არჩევნებმა მშვიდ ვითარებაში ჩაიარა. ბევრი ამომრჩეველი მოვიდა ხმის მისაცემად, რაც ძალიან სასიამოვნოა. არც ერთი საჩივარი არ შემოსულა და შესაბამისად საბჭო უკვე არჩეულია. საარჩევნო კომისია არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალი თაობა — ახალი ინიციატივის“ წევრებით დაკომპლექტდა. ეს გადაწყვეტილება თსუ-ის ძველმა აკადემიურმა საბჭომ მიიღო, რათა საარჩევნო პროცესის სამართლიანად წარმართვაში ეჭვი არავის გასჩენოდა“, — განაცხადა თსუ-ის რექტორის მოვალეობის შემსრულებელმა ალექსანდრე კვიტაშვილმა.

თსუ-ის ახალი აკადემიური საბჭოს პირველი სხდომა 4 ოქტომბერს გაიმართა. საბჭომ უკვე მიიღო გადაწყვეტილება მედიცინის ფაკულტეტსა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე განმეორებითი არჩევნების ჩატარების თაობაზე, რომელიც 20 ოქტომბერს გაიმართება. ამომრჩევლები აღნიშნული ფაკულტეტებიდან აკადემიურ საბჭოში კიდევ თითო-თითო წევრს აირჩევენ. ჰუმანიტარულ ფაკულტეტზე ხელახალი არჩევნების ჩატარების აუცილებლობა აკაკი ყულიჯანაშვილის გადაწყვეტილებამ გამოიწვია. მან აკადემიური საბჭოს წევრობაზე უარი განაცხადა. აკაკი ყულიჯანაშვილმა, რომელსაც უფლებამოსილების ვადა აკადემიურ საბჭოში 2012 წლამდე ჰქონდა, საბჭოს დატოვების მიზეზებზე საჯაროდ საუბარი არ ისურვა.

რა საკითხებზე იმუშავებენ აკადემიური საბჭოს ახალი წევრები

თსუ-ის აკადემიური საბჭო განახლებული შემადგენლობით მუშაობას 4 ოქტომბრიდან შეუდგა. საბჭოს ახალი წევრები მათ ფაკულტეტებზე არსებული ვითარებისა და, ზოგადად, უნივერსიტეტში შექმნილი მდგომარეობის გაუმჯობესებას გეგმავენ. მიუხედავად იმისა, რომ თსუ-ის ექვსივე ფაკულტეტზე მეტ-ნაკლებად განსხვავებული პრობლემებია, აკადემიური საბჭოს ყველა წევრი თანხმდება, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი დასავლური ტიპის უმაღლესი სასწავლებელი უნდა გახდეს, თუმცა, ასევე, უნდა შეინარჩუნოს ინდივიდუალურობა და მისთვის დამახასიათებელი წარსული ტრადიციები. რა კუთხით გეგმავენ საქმიანობას აკადემიურ საბჭოში მისი ახალი წევრები?

ნატო ობოლაძე

ზურაბ დავითაშვილი, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი:

— თსუ-ის აკადემიურ საბჭოში მე ჩემს ფაკულტეტს წარმოვადგენ. ფაკულტეტი იღებს გადაწყვეტილებას სწავლის პროცესთან, სოციალურ საკითხებთან ან კვლევების წარმოებასთან დაკავშირებით, მე კი ვალდებული ვარ, რომ ფაკულტეტის ეს გადაწყვეტილებანი აკადემიურ საბჭოზე წარვადგინო. რა თქმა უნდა, მაქვს პირადი უფლებებიც, მაგალითად, რექტორის არჩევის პროცედურისას, თუმცა, ამ შემთხვევაშიც, ფაკულტეტის პოზიცია უნდა გავითვალისწინო. ჩვენს ფაკულტეტზე ბევრი პრობლემაა. შეიძლება გამოვყოთ პროფესორ-მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვის საკითხი. მაღალი ხელფასის მიღება შესაძლებელია, თუ პროფესორი ორმაგი დატვირთვით ჩაატარებს ლექციებს, მაგრამ ეს ლექტორს სამეცნიერო კვლევაზე მუშაობისთვის დროს ართმევს. ამიტომ ვფიქრობ, ანაზღაურების სხვა სისტემა უნდა შემოვიღოთ, სადაც მხოლოდ საათობრივ დატვირთვაზე არ იქნება აქცენტი გაკეთებული. მძიმე ვითარებაა მატერიალური ბაზის მხრივ — არ გვაქვს საჭირო ლიტერატურის მარაგი. საუნივერსიტეტო ცენტრალური ბიბლიოთეკა, ფაქტობრივად, უფუნქციოდ არის დარჩენილი. ამ მხრივ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი „უნიკალური“ უმაღლესი სასწავლებელია, რადგან სტუდენტმა შეიძლება ისე დაამთავროს უნივერსიტეტი, რომ მის ბიბლიოთეკაში ვერც კი მოხვდეს. ანდა, დღეს წარმოგიდგენიათ მსოფლიოში ისეთი უნივერსიტეტის არსებობა, რომელსაც არ აქვს სტუდენტთა საერთო საცხოვრებელი, სპორტული ბაზები და ლაბორატორიები? ჩვენს სტუდენტებს, რომლებსაც ლექციებს შორის თავისუფალი დრო აქვთ, ფაქტობრივად უსაქმოდ არიან. ევროპის და ამერიკის უნივერსიტეტებში სტუდენტი ამ დროს ბიბლიოთეკაშია. ამ პრობლემების მოგვარებას დიდი თანხები სჭირდება და, სამწუხაროდ, უნივერსიტეტის შესაძლებლობებს აღემატება, თუმცა აღნიშნული საკითხების საბჭოზე გატანას ვგეგმავ.

მარიამ გერსამია, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი:

— აკადემიური საბჭოს არჩევნებზე აკადემიური პერსონალი და სტუდენტები ნდობაზე დაფუძნებულ მხარდაჭერას გამოხატავენ. თავად ეს პროცესი ხაზს უსვამს ჩვენი უნივერსიტეტის ავტონომიურობას, მართვის დემოკრატიულობას. უმაღლესი განათლების რეფორმის კუთხით, ბოლო წლებში, ბევრი რამ გაკეთდა. განახლებული უნივერსიტეტის წინაშე ახალი გამოწვევებია. პრიორიტეტად კვლავ რჩება განათლებისა და კვლევების ხარისხის ამაღლება. საჭიროა სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო და კვლევითი გარემოს შექმნისთვის მეტი ხელშეწყობა; ჩვენი პროფესურის და კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობის გაზრდისთვის საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერება; სამეცნიერო და სასწავლო პროცესის დაახლოება; მეცნიერების კომერციალიზაცია და ა.შ. საბოლოო ჯამში კი ვფიქრობ, რომ ჩვენი უნივერსიტეტის ერთ-ერთი მთავარი საზრუნავია — ხელი შეუწყოს ცოდნაზე დაფუძნებული საზოგადოების ფორმირებას.

მაია კოპალეიშვილი, იურიდიული ფაკულტეტი:

— ვფიქრობ, ძალიან საპასუხისმგებლოა, ჩაერთო უნივერსიტეტის მართვის ორგანოების საქმიანობაში და თავად იყო იმ პროცესების მონაწილე, რაც თსუ-ში მიმდინარეობს. ბუნებრივია, სამუშაო ბევრი გვექნება. სწორედ იმიტომ არსებობს აკადემიური საბჭო, რომ მან უნივერსიტეტის გაუმჯობესებისათვის იმუშაოს. ჩვენი პრიორიტეტი, უპირველესად, სტუდენტებისთვის ევროპული დონის განათლების მიწოდება იქნება. უნივერსიტეტი, ბუნებრივია, თავის მსვლელობას რეფორმების კუთხით არ შეაჩერებს. საზოგადოებრივი ურთიერთობები იმდენად ვითარდება, რომ თავს იჩენს სხვა რეფორმის ჩატარების აუცილებლობაც. ეს მუდმივი პროცესი გახლავთ, რადგან უნივერსიტეტმა სახელმწიფოებრიობის, საზოგადოებრივი ურთიერთობების განვითარება უნდა გაითვალისწინოს და შესაბამისად, უმაღლესი განათლების წინაშე მდგარი მოთხოვნები დააკმაყოფილოს.

ნუგზარ სურგულაძე, იურიდიული ფაკულტეტი:

— თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიის გეგმის რამდენიმე პუნქტი შეიძლება გამოვყოთ: 1. დავუახლოვდეთ ევროპულ საუნივერსიტეტო დონეს სისტემურად და კონცეპტუალურად. ეს საჭიროა იმისათვის, რომ თსუ ევროპული დონის უმაღლესი სასწავლებელი გახდეს. მიზნის მისაღწევად აუცილებელია გაცვლითი პროგრამების უფრო აქტიურად ამოქმედება, რაც გულისხმობს როგორც ჩვენი სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლების საზღვარგარეთ გამგზავრებას, ასევე, უცხოელი კოლეგების თსუ-ში მიღებასაც. 2. უნივერსიტეტმა ინდივიდუალურობა უნდა შეინარჩუნოს. უნდა გავაძლიეროთ ის სკოლები, რომლებიც უნივერსიტეტში არსებობდა და, ასევე, ხელი შევუწყოთ ქართველოლოგიური მიმართულებების განვითარებას. 3. უნდა განვავითაროთ ისეთი სამეცნიერო დარგებიც, რომელიც კომერციული თვალსაზრისით მომგებიანი არ არის, მაგრამ სახელმწიფოსთვის საჭირო და აუცილებელია. მაგალითად: ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები. ასეთი დარგების განვითარებაზე, როგორც წესი, უარს ამბობენ კერძო უნივერსიტეტები.

ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს უნივერსიტეტის მენეჯმენტის განვითარებას. კარგი მენეჯმენტის შემთხვევაში შესაძლებელია ფინანსების მოზიდვა. უნივერსიტეტს ამის შესაძლებლობა აქვს. ჩემი ინტერესები უფრო სამეცნიერო მოღვაწეობისკენ იხრება, ამიტომ მინდოდა უნივერსიტეტს ისეთი რექტორი ჰყოლოდა, რომელიც ძლიერი მენეჯერი იქნებოდა. მე ვესაუბრე რექტორის მოვალეობის შემსრულებელს და ამ საკითხთან დაკავშირებით ჩვენი მოსაზრება ერთმანეთს ემთხვევა.

უნივერსიტეტს, ასევე, შეუძლია საშუალო სკოლებში არსებული ვითარების გაუმჯობესებაზეც იზრუნოს. სასურველია შევიმუშაოთ პროგრამა, რაც უნივერსიტეტში ლიცეუმის ჩამოყალიბებაზე ან სპეციალური კურსების შექმნაზე იქნება ორიენტირებული. სკოლის მოსწავლეების ცოდნის დონის ამაღლება საშუალებას მოგვცემს, უნივერსიტეტში მოსულ პირველკურსელებს უფრო ძლიერი სასწავლო პროგრამა შევთავაზოთ. ეს საკითხი ჯერ-ჯერობით იდეის დონეზეა, მისი განხორციელება უნივერსიტეტის მენეჯმენტის სწორად წარმართვაზეა დამოკიდებული. ეს უნივერსიტეტის ზოგადი განვითარების სტრატეგიას რაც შეეხება, თუმცა არსებობს კონკრეტული საკითხებიც, რომლებიც მოგვარებაც უახლოეს მომავალში შეიძლება. მაგალითად, თსუ-ის სტამბა. უნივერსიტეტს აქვს საკუთარი სტამბა, რომელიც განახლებას საჭიროებს. მისი ამუშავება საშუალებას მოგვცემს, დავბეჭდოთ უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლების სამეცნიერო ნაშრომები და, ასევე, სხვადასხვა სახის წიგნები, რაც დამატებითი შემოსავლის წყარო გახდება.

ალექსანდრე შენგელაია, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი:

— 4 წლის განმავლობაში აკადემიური საბჭოს წევრი ვიყავი და ახლა მეორედ ამირჩიეს. დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ჩვენი ფაკულტეტის წევრებს ნდობისა და მხარდაჭერისთვის. აკადემიური საბჭო უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოა და ასრულებს ძალიან მნიშვნელოვან როლს უნივერსიტეტის განვითარების პროცესში. ვფიქრობ, გეგმები საერთო გვაქვს — უნივერსიტეტის განვითარება, განათლებისა და სამეცნიერო კვლევების ხარისხის დონის კიდევ უფრო გაუმჯობესება... ჩვენი მიზანია, უახლოეს მომავალში კავკასიაში საუკეთესო, ევროპაში კი ერთ-ერთი ცნობადი უნივერსიტეტი გავხდეთ.

მე-6 გვერდზე

რა საკითხებზე იმუშავებენ აკადემიური საბჭოს ახალი წევრები

მე-5 გვერდიდან

როგორც ჩემი ფაკულტეტის წარმომადგენელს, მიმაჩნია, რომ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი უნივერსიტეტში მეცნიერების ერთ-ერთი ავანგარდია, სადაც საერთაშორიოსო დონის კვლევა მიმდინარეობს. ჩვენ უკვე ვართ კონკურენტუნარიანი მსოფლიო მეცნიერების ასპარეზზე, რაც უნდა დაფასდეს. ვგულისხმობ პროფესორ-მასწავლებელთა ანაზღაურების გაზრდას, მათ სტიმულირებას, რათა მომავალში მეტ წარმატებას მიაღწიონ. ძალიან მნიშვნელოვანია ის პუბლიკაციები, რომლებსაც ჩვენი ფაკულტეტის ბევრი პროფესორი პრესტიჟულ საერთაშორისო ჟურნალებში აქვეყნებს.

ვფიქრობ, რომ საჭიროა უფრო ოპტიმალურად გამოვიყენოთ უნივერსიტეტის რესურსები, რა მხრივაც სახელმწიფომაც უნდა შეგვიწყოს ხელი. ჩვენ, როგორც საბუნებისმეტყველო დარგის წარმომადგენლებს, გვჭირდება ლაბორატორიები, დანადგარები, ტექნიკური პერსონალი, რაც შედარებით მეტ ხარჯს მოითხოვს. ჩვენ უნივერსიტეტსა და ქვეყანას საერთაშორისო დონის სამეცნიერო პროდუქციას ვაძლევთ და გაგვაქვს ქვეყნისა და უნივერსიტეტის სახელი მსოფლიო ასპარეზზე, ამდენადაა აუცილებელი სახელმწიფოს მხრიდან მეტი ყურადღება. ხელისუფლებამ უკვე დაიწყო საუბარი ზუსტი და საბუნებისმეტყველო დარგების განვითარების აუცილებლობაზე, რაც ოპტიმიზმის საფუძველს მაძლევს. იმედია, რომ აკადემიური საბჭოს მუშაობის პროცესში უკვე კონკრეტულ შედეგებსაც მივაღწევთ.

ნანა გაფრინდაშვილი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი:

— აკადემიური საბჭოს წევრობა ჩემთვის დიდი პატივი და მოვალეობაა. ჩვენიუნივერსიტეტი ახლა მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე დგას. ვეცდები, ჩემს კოლეგებთან ერთად, ყველანაირად შევუწყო ხელი ჩვენი აკადემიური ტრადიციების შენარჩუნებას და მოწინავე დასავლური გამოცდილების ათვისებას.

ჩვენთვის პრიორიტეტებია საუნივერსიტეტო მეცნიერების განვითარება და სწავლების დონის ამაღლება. ძალისხმევას არ დავიშურებთ, რათა უნივერსიტეტმა ამ თვალსაზრისით ახალ სიმაღლეებს მიაღწიოს. გვსურს, დავსვათ შიდასაუნივერსიტეტო საგრანტო სისტემის შემოღების საკითხი. წელს ჩვენმა ფაკულტეტმა პირველად მიიღო სომხურენოვანი და აზერბაიჯანულენოვანი სტუდენტები. გვინდა, დავაყენოთ ქართულ საუნივერსიტეტო სივრცეში მათი ინტეგრაციის დაჩქარების ღონისძიებების საკითხები. ძალიან მნიშვნელოვან პრობლემად მიგვაჩნია უცხო ენების სწავლების გაუმჯობესებისათვის ქმედითი ღონისძიებების გატარება. ჩვენი პროფესურა და დამხმარე პერსონალი უნივერსიტეტის ახალი ადმინისტრაციისგან ხელფასების მომატებასაც მოელის. ასე რომ, აკადემიური საბჭოს წინაშე ამ საკითხსაც აუცილებლად დავაყენებთ.

რას ემსახურება თსუ-ის მიერ დაფინანსებული მივლინებები

უნივერსიტეტის პროფესორთა, სტუდენტთა და ადმინისტრაციის წარმომადგენელთა სამივლინებო ხარჯები ბოლო დროს ხშირად ექცევა მედიის ყურადღების ცენტრში. აქედან გამომდინარე, შეიქმნა საზოგადოებრივი ინტერესი – რამდენად სწორად იხარჯება თანხები მივლინებებზე, ხმარდება თუ არა ეს თანხა სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის მონაწილეობას მაღალი დონის სამეცნიერო კონფერენციებში, შედეგიანია თუ არა მათი ვიზიტები უცხოეთში და უწყობს თუ არა ამგვარი მივლინებები ხელს უნივერსიტეტის ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან სრულფასოვან ინტეგრაციას, უცხოეთის წამყვან უნივერსიტეტებთან და მსოფლიო სამეცნიერო სივრცესთან აქტიური კონტაქტების დამყარებას.

მაია ტორაძე

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის განვითარების პროგრამაში მკვეთრად არის ჩამოყალიბებული პრიორიტეტები, რომლის მიხედვითაც საერთაშორისო სამეცნიერო სიმპოზიუმებში მონაწილეობა, წამყვან უნივერსიტეტებთან კავშირების დამყარება და მათთან ერთობლივ სამეცნიერო-კვლევით ექსპედიციებში ჩართვა სწავლისა და სწავლების თანმდევ პროცესად არის მიჩნეული. ამ მიზნით უნივერსიტეტის ადმინისტრაცია სათანადო დაფინანსებასა და სამივლინებო ხარჯებს ბიუჯეტში ყოველთვის ითვალისწინებს.

სრული სურათის წარმოჩენა, თუ რა დონის კონფერენციებში მონაწილეობენ უნივერსიტეტის პროფესორები და რა ხასიათის ვიზიტები ფინანსდება ადმინისტრაციული პერსონალისა თუ სტუდენტებისთვის, ძალიან ძნელია, მაგრამ შეგვიძლია მკითხველისთვის ნაწილობრივ მაინც თვალსაჩინო გავხადოთ, რა თანხა დაიხარჯა უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან ბოლო 6 თვის განმავლობაში მხოლოდ სამივლინებო ხარჯებზე.

უნივერსიტეტის საფინანსო დეპარტამენტის მონაცემებით, სულ, მივლინებებზე II—III კვარტალში (მათ შორის საზღვარგარეთ და საქართველოში) დახარჯულია 381 922 ლარი, აქედან — აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის მივლინებებისთვის გამოყოფილია 244 575 ლარი, ხოლო სტუდენტებისთვის — 137 346 ლარი.

როგორც პერსონალის მართვის დეპარტამენტის დოკუმენტაციაშია მითითებული, ბოლო 6 თვის მანძილზე 200-მდე ბრძანება დაიწერა საზღვარგარეთ და საქართველოში მივლინების თაობაზე.

მივლინების ადგილებად მითითებულია თითქმის მთელი მსოფლიო: სამხრეთ კორეა, ავსტრია, გერმანია, საფრანგეთი, თურქეთი, ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკა, სომხეთი, დიდი ბრიტანეთი, არგენტინა, უკრაინა, საბერძნეთი, ამერიკის შეერთებული შტატები, ბელგია, იტალია, რუმინეთი, რუსეთი, ესპანეთი, პოლონეთი, ლატვია, იაპონია და სხვა ქვეყნები. გასათვალისწინებელია, რომ ზოგ შემთხვევაშიმთლიანიხარჯებიაანაზღაურებული, ზოგჯერ მხოლოდ მგზავრობის თანხა (აკადემიური პერსონალის შემთხვევაში ეს დამოკიდებულია ფაკულტეტის ბიუჯეტზე).

მივლინების ხარჯების ანაზღაურება სათანადო დოკუმენტაციის წარდგენით ხდება. პირს, რომელსაც უნივერსიტეტიდან დაფინანსების მიღება სურს, ევალება წარადგინოს მიწვევა ამა თუ იმ სამეცნიერო კონფერენციის (ღონისძიების) საორგანიზაციო კომიტეტიდან ან უნივერსიტეტიდან, რაზეც თანხმობა უნდა განაცხადოს შესაბამისი ფაკულტეტის ან დეპარტამენტის ხელმძღვანელობამ. დაფინანსების შემთხვევაში მივლინებიდან დაბრუნებული პირი წარმოადგენს დანიშნულების ადგილზე ყოფნის დამადასტურებელი საბუთი.

ცხადია, ჩვენ ვერ განვსჯით, რამდენად აუცილებელი ან მნიშვნელოვანი იყო ეს ვიზიტები, მაგრამ იმ პროფესორებთან გასაუბრებით, ვინც სამეცნიერო კონფერენციებზე იმყოფებოდა, შეგვექმნა შთაბეჭდილება, რომ მეცნიერთა ამგვარი აქტიურობა, სამეცნიერო კონფერენციებზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელის წარმოჩენა და ახალი კონტაქტების დამყარება, საბოლოო ჯამში ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან ჩვენს დაახლოებას უწყობს ხელს.

სამეცნიერო მივლინებების შედეგების გასაცნობად, ამჯერად უნივერსიტეტის ორ ასოცირებულ პროფესორს ვესაუბრეთ. ისინი მიწვეულნი იყვნენ მაღალი რეიტინგის მქონე უნივერსიტეტების მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო კონფერენციებზე. შედეგებით თავად კმაყოფილნი არიან.

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკის მიმართულების ასოცირებული პროფესორი დალი ოსეფაშვილი სექტემბრის ბოლოს სამეცნიერო მივლინებით იმყოფებოდა დანიაში, აარჰუსის უნივერსიტეტში, რომელიც მსოფლიოს საუკეთესო უნივერსიტეტების ჩამონათვალში მესამოცე ადგილს იკავებს.

ჟურნალისტიკის მიმართულება არ არის განებივრებული პროფესორ-მასწავლებელთა უცხოეთში მივლინებებით და სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობით. ამიტომ ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესო და აღმოჩნდა ქალბატონი დალის მიწვევა ინტერდისციპლინარულ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე — „ემოცია, მედია და კრიმინალი“, რომელშიც მონაწილეობდნენ არა მხოლოდ ჟურნალისტები, არამედ, იურისტები, ფსიქოლოგები და სოციოლოგები.

კონფერენციაზე გამომსვლელთა 40 მოხსენებიდან online-სამეცნიერო ჟურნალში დაიბეჭდა მხოლოდ 15 მოხსენება, რომელთაგან ერთი, „არასრულწლოვანთა დანაშაულების გაშუქება და თანამედროვე ქართული მედია“, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორს დალი ოსეფაშვილს ეკუთვნის.

დალი ოსეფაშვილი: „ამ კონფერენციის შედეგად მომეცა სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენელ უცხოელ კოლეგებთან საინტერესო კონტაქტების დამყარების შესაძლებლობა, რითაც ჩვენი მიმართულება არ არის განებივრებული. მიუხედავად იმისა, რომ კავკასიის რეგიონში და პოსტსაბჭოთა სივრცეში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი საკმაოდ დიდი ავტორიტეტით სარგებლობს, წარმოიდგინეთ ჩემი გაოცება, როცა იქ, როგორც შორეული ქვეყნის წარმომადგენელს, კონფერენციაში მონაწილეობისათვის განსაკუთრებული მადლობა გამომიცხადეს. ჩემთვის საინტერესო იყო ისიც, რომ კონფერენციაზე დაისვა საკითხი დოქტორანტების სამეცნიერო კვლევაში ჩართვასა და ინტეგრირებაზე. მომავალში ვფიქრობ უცხოელი კოლეგების მოწვევას და ჩვენი დოქტორანტებისთვის ამ თემატიკაზე ლექციების შეთავაზებას.“

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სოციოლოგიის მიმართულების ასოცირებულმა პროფესორმა ლია წულაძემ მონაწილეობა მიიღო ოქსფორდის უნივერსიტეტის მულტიკულტურიზმის IV გლობალურ კონფერენციაში, რომლის მასალებიც სამ წიგნად დაიბეჭდა. კონფერენციაში 50 მეცნიერი მონაწილეობდა.

ლია წულაძე: „კონფერენციაზე მკაცრად განსაზღვრულია, რომ მონაწილეები არ წარადგენენ არავითარ ოწეროინტ – პრეზენტაციებს. მათი გამოსვლა სადისკუსიო ხასიათის უნდა იყოს.

კონფერენცია ძალიან საინტერესო იყო, რადგან, გარდა იმისა, რომ ბევრი ახალი რამ გავიგე ჩემს სფეროში, პირველად ვუსმინე მას დიდი ინტერესით თავიდან ბოლომდე. ყველა გამომსვლელი და ყველა თემა ერთნაირად საინტერესო იყო და ეს არის ამ კონფერენციის ყველაზე დიდი ხიბლი – თემატიკას და სადისკუსიო საკითხებს ინტერდისციპლინარული ქსელის მეშვეობით არჩევენ. საქართველოში 1 ოქტომბერს ჩამოვედი, მას მერე უკვე სამი სადისკუსიო თემა გაიხსნა. კონფერენციის ორგანიზატორები ცდილობენ, რომ V გლობალური კონფერენციისთვის დაგეგმვა აქედანვე დაიწყოს, თითოეული ჩვენგანი ჩართულნი ვართ ამ პროცესში“.

როგორც ქალბატონმა ლიამ აგვიხსნა, უნივერსიტეტმა მას მხოლოდ გზა დაუფინანსა, ყველა სხვა დანარჩენი ხარჯი ოქსფორდის უნივერსიტეტმა აანაზღაურა.

აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთა უცხოეთში მივლინებებით გამოირჩევა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტიც. ბოლო ექვსი თვის განმავლობაში ამ ფაკულტეტიდან 41 პროფესორი მონაწილეობდა სხვადასხვა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მუშაობაში, მათგან 11 უნივერსიტეტმა დააფინანსა, 30 კი საკუთარი ხარჯებით გაემგზავრა.

გასულ სემესტრში ამავე ფაკულტეტის ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის 48 სტუდენტმა მიიღო საზღვარგარეთ მივლინების დაფინანსება. როგორც ჩვენთან საუბარში ფაკულტეტის დეკანი, ქალბატონი ელენე ხარაბაძე აღნიშნავს, ამგვარ მივლინებებს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის და, ზოგადად, უნივერსიტეტის ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან ინტეგრაციისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგანაც ეს ის მიმართულებაა, რომელიც მუდმივად უნდა ფლობდეს ინფორმაციას სიახლეების შესახებ. წამყვან უნივერსიტეტებთან ურთიერთობა და ახალი კონტაქტების დამყარება კი, საბოლოო ჯამში, დიდ გამოცდილებას სძენს ფაკულტეტის აკადემიურ პერსონალს.

ამ ეტაპზე ჩვენ წარმოვადგინეთ ის ვიზიტები, რომელიც წარმატებული და უნივერსიტეტისთვის მომგებიანი იყო, მაგრამ არსებობს მოსაზრება, რომ ზოგიერთ პირთა მივლინებები ზოგჯერ პირად ინტერესებს უფრო ემსახურება, ვიდრე უნივერსიტეტის სახელის წარმოჩენას.

ჩვენ მომავალშიც გავაგრძელებთ ამ თემაზე მუშაობას, რომ ზუსტი სურათი შეიქმნას — სად და რაში იხარჯება ბიუჯეტიდან გამოყოფილი მივლინების ხარჯები და რამდენად შედეგიანია ეს ვიზიტები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის.

ტექნოპარკი მეცნიერებს ბიზნესში ჩართავს

საქართველოს არ აქვს სასარგებლო წიაღისეული, მაგრამ აქვს მდიდარი ადამიანური რესურსი, რომლის გამოყენება ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარებისთვის აუცილებელი პირობაა – ეს არის ის პოსტულატი, რაც ყველა დარგის, მათ შორის, მეცნიერებისა და განათლების განვითარებას უდევს საფუძვლად.

იმისთვის, რომ საქართველომ დამსახურებული ადგილი დაიკავოს წარმატებულ ქვეყანათა გვერდით, ხელისუფლებამ კარგა ხანია პრიორიტეტად მიიჩნია მეცნიერების განვითარების ხელშეწყობა, რისთვისაც მიმდინარე წელს 25 მილიონი ლარი გამოყო. ეს თანხა სამეცნიერო პროექტების დაფინანსებას და წარმატებულ სამეცნიერო ცენტრებთან ქართველ მეცნიერთა კონტაქტების გაღრმავებას უნდა მოხმარდეს.

მაია ტორაძე

20-21 სექტემბერს თბილისში საზღვარგარეთ მოღვაწე ქართველ მეცნიერთა საერთაშორისო ფორუმი გაიმართა. ფორუმის ორგანიზატორები იყვნენ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი და დიასპორას საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი. მის მუშაობაში 25 უცხოეთში მოღვაწე და 70-მდე ადგილობრივი ქართველი მეცნიერი მონაწილეობდა.

ფორუმი გახსნა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა დიმიტრი შაშკინმა, რომელმაც მადლობა გადაუხადა ქართველ მეცნიერებს თანადგომისთვის და აღნიშნა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს განსაზღვრული აქვს სამეცნიერო პრიორიტეტების შემუშავება საზღვარგარეთ მოღვაწე ქართველ მეცნიერებთან ერთად. მან დადებით მოვლენად მიიჩნია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაარსება და ყურადღება გაამახვილა იმ ინიციატივებზე, რაც მომავალში ქართველ მეცნიერთა წარმატებასა და მსოფლიო სამეცნიერო სივრცესთან მათ ინტეგრაციას შეუწყობს ხელს. მინისტრმა აღნიშნა, რომ წელს, პირველად, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბაზაზე შეიქმნება ტექნოპარკი, რომელსაც საკუთარი წარმოება ექნება და ქართველ მეცნიერთა მნიშვნელოვანი აღმოჩენების ხორცშესხმას შეძლებს.

„საქართველოს პრეზიდენტის დავალებით, მომავალი წლიდან, ყველა სახელმწიფო უნივერსიტეტი დაიწყებს უცხოელი და საზღვარგარეთ მოღვაწე ქართველი პროფესორების ჩამოყვანას, რათა სტუდენტებს მათი ლექციების მოსმენის შესაძლებლობა მიეცეთ“, — განაცხადა დიმიტრი შაშკინმა.

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დირექტორმა სულხან სისაურმა ახლად ჩამოყალიბებული ფონდის ამოცანებზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ იგი არის რუსთაველის სახელობის ქართველოლოგიისა და ეროვნული სამეცნიერო ფონდების უფლებამონაცვლე. ფონდის ამოსავალი პრინციპია – დააფინანსოს მეცნიერები ჯანსაღი კონკურენციის პირობებში.

ფორუმის მონაწილეებს მიესალმა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე ნოდარ სურგულაძე, რომელმაც თხოვნით მიმართა მეცნიერებს, აქტიური მონაწილეობა მიიღონ სამეცნიერო პროგრამების შემუშავებაში. მან, ასევე, ისაუბრა სამეცნიერო ინსტიტუტებისა და სასწავლო-კვლევითი ლაბორატორიების გადაიარაღების პროგრამაზე და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების ხელშეწყობის პერსპექტივებზე. აღნიშნა, რომ ამ კუთხით უკვე სერიოზული მუშაობა მიმდინარეობს, რისი დასტურიცაა ქართული ელექტრონული ჟურნალების, იმპაქტ-ფაქტორიანი ჟურნალების შექმნა და ქართველი მეცნიერების საზღვარგარეთ სტაჟირებისთვის გამოყოფილი გრანტები.

ფორუმზე საინტერესო დისკუსია გაიმართა ფონდის მუშაობისა და ტექნოპარკების ფუნქციონირების თაობაზე. ასევე იმსჯელეს საქართველოს როლსა და მიზნებზე მეცნიერების გლობალური პროგრესის კონტექსტში. მეცნიერებმა აღნიშნეს, რომ კონკრეტულ საუბრებს ასევე კონკრეტული და მოქმედი პროგრამები უნდა მოჰყვეს, რადგან შედეგი რამდენიმე წლის შემდეგ იქნება ხელშესახები.

ფორუმის პლენარულ სხდომებზე უცხოეთში მოღვაწე ქართველმა მეცნიერებმა გასტონ ბუაჩიძემ (საფრანგეთი, ნანტის უნივერსიტეტი), დოდონა კიზირიამ (აშშ, ინდიანას სახელმწიფო უნივერსიტეტი), ოთარ მგალობლიშვილმა (დიდი ბრიტანეთი), ქართლოს ყაჭიაშვილმა (პაკისტანი), ბესიკ კანკიამ (აშშ, მინესოტას უნივერსიტეტი), ჯემალ ხუბუამ (შვეიცარია, ევროპის ბირთვული კვლევების ცენტრი), ალექსანდრე ლეჟავამ (იაპონია იოკოჰამას უნივერსიტეტი), მარიკა პირველმა (პოლონეთი, შჩეცინის უნივერსიტეტი) და თამარ ფირცხალავამ (ინგლისი MAYO კლინიკის ფონდი) მოხსენებები წაიკითხეს. პლენარული სხდომების შემდეგ კი მათი მოსმენის პატივი საქართველოს 7 უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებს ერგოთ. კერძოდ, მათ ლექციები წაიკითხეს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში, სოხუმის უნივერსიტეტში, თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტში, გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტსა და უნივერსიტეტში „გეომედი“.

ფორუმის მონაწილეები კმაყოფილებით აღნიშნავდნენ, რომ ამგვარი შეხვედრები და კონკრეტული საუბრები მომავალი საქმიანობის დაგეგმვაში დაეხმარება როგორც საქართველოში, ასევე, საზღვარგარეთ მცხოვრებ ქართველ მეცნიერებს.

გასტონ ბუაჩიძე, საფრანგეთი, ნანტის უნივერსიტეტი:

„ჩემი მოხსენება ეხება ორ პროექტს, რომელზეც ვმუშაობ. პირველი თარგმანებს — 7 წიგნი ვთარგმნე ფრანგულად და თუ ეს თარგმანები 12-ტომეულში გაერთიანდა, კარგი სავიზიტო ბარათი იქნება საქართველოსთვის ფრანგულენოვან ქვეყნებში: კანადაში, ბელგიაში, ლუქსემბურგსა და აფრიკის კონტინენტზე. ჩემი მეორე პროექტი, რომლის სათაურია „სადღეგრძელო თევზით“, შეეხება ფიროსმანის, გუდიაშვილის და დავით კაკაბაძის შემოქმედებას. ვფიქრობ, ჩემი ქვეყნის წარმოჩენისთვის კარგი საქმე გავაკეთე“.

ჯემალ ხუბუა, შვეიცარია, ევროპის ბირთვული კვლევების ცენტრი:

„აქ დაისვა საკითხი ტექნოპარკების მუშაობის სპეციფიკასა და აუცილებლობაზე. საქმე ისაა, რომ მსოფლიოში უამრავი სამეცნიერო ინფორმაცია დაგროვდა და ეს რეალიზაციას მოითხოვს. ზოგ ქვეყანაში მუშაობს ტექნოპარკები, ზოგან – არა, მაგრამ, საკითხისადმი მიდგომა სწორია — რატომ არ უნდა იყოს რეალიზებული მეცნიერის კარგი იდეა ან აღმოჩენა? დიახ, არსებობს ფუნდამენტური მეცნიერება და არსებობს მეცნიერების გამოყენებითი მიმართულება, მაგრამ ისინი ერთმანეთს ხელს არ უშლიან, რადგანაც უერთმანეთოდ არ არსებობენ. ჩვენ ორივეს განვითარებაზე უნდა ვიზრუნოთ. კომერციალიზაცია გარკვეული ფინანსებს შემოიტანს, რაც ისევ და ისევ მეცნიერების განვითარებას მოხმარდება“.

ფორუმზე შოთა რუსთაველის ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა ორი ახალი საგრანტო კონკურსი გამოაცხადა: 1. „ერთობლივი კვლევები უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით“, რომელიც მიზნად ისახავს — ხელი შეუწყოს მკვლევართა ჯგუფს საზღვარგარეთ მოღვაწე თანამემამულეებთან ერთობლივი კვლევების განხორციელებაში; 2. „დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის თანახელმძღვანელობა“, რომლის მიზანია სადოქტორო პროგრამებში უცხოეთში მოღვაწე ქართველ მეცნიერთა ჩართვა და დოქტორანტურის პროგრამების სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტების გაძლიერება. ასევე, ახალგაზრდა მეცნიერთა ინტეგრაცია მსოფლიო სამეცნიერო სივრცეში.

საგრანტო კონკურსები სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსდება. ორივე კონკურსის საერთო ბიუჯეტი 200 000 ლარზე მეტია. კონკურსს ადმინისტრირებას შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი გაუწევს.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბაზაზე შეიქმნება ტექნოპარკი, რომელსაც საკუთარი წარმოება ექნება და ქართველ მეცნიერთა მნიშვნელოვანი აღმოჩენების ხორცშესხმას შეძლებს.

მოკლედ

გზავნილი თურქ ახალგაზრდებს — „ისწავლე საქართველოში!“

შურთხია გეროშვილი

თურქეთის რესპუბლიკიდან ჩამოსული ეთნიკურად ქართველი ახალგაზრდები საქართველოს წამყვან უმაღლეს სასწავლებლებში ისწავლიან, მათ შორის 20 სტუდენტი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გააგრძელებს სწავლას.

5 ოქტომბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში თურქ ახალგაზრდებს, რომლებმაც სურვილი გამოთქვეს მონაწილეობა მიეღოთ პროგრამაში: „ისწავლე საქართველოში“, განათლებისა და მეცნიერების მინისტრი დიმიტრი შაშკინი, დიასპორას საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრი მირზა (პაპუნა) დავითაია და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებელი ალექსანდრე კვიტაშვილი შეხვდნენ და სტუდენტებს სწავლის დაწყება მიულოცეს.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებელმა ალექსანდრე კვიტაშვილმა პროექტის მნიშვნელობაზე ისაუბრა და თურქ ახალგაზრდებს დახმარება და თანადგომა აღუთქვა. მისი თქმით, ამ პროექტის განხორციელება ხელს შეუწყობს საქართველო-თურქეთის ურთიერთობების განმტკიცებას.

თურქ სტუდენტებს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა დიმიტრი შაშკინმაც მიმართა, რომელმაც პროექტის — „ისწავლე საქართველოში“ წარმატებით განხორციელებისა და თანადგომისთვის მადლობა გადაუხადა თურქეთის საელჩოსა და დიასპორას საკითხებში საქართველოს მინისტრის აპარატს.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო და საქართველოს წამყვანი უნივერსიტეტები ერთობლივ პროგრამას — „ისწავლე საქართველოში“ 2010 წლიდან ახორციელებენ.

დიასპორას საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრი მირზა (პაპუნა) დავითაიას ინფორმაციით, პირველ სასწავლო წელს 50 ახალგაზრდა, რომელიც უგამოცდოდ ჩაირიცხა საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტში, კერძოდ, ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტში, საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიასა და შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სახელმწიფო გრანტით სრულად დაფინანსდებიან. სწავლის პერიოდში სტუდენტები სტიპენდიებსაც მიიღებენ. პროგრამა ითვალისწინებს ქართული ენის შესწავლას, რათა სტუდენტებმა შემდგომშიც შეძლონ ქართულ ენაზე სწავლის გაგრძელება.

ახალი უნივერსიტეტი

იმუნოლოგიის ლაბირინთებში გაკვალული ბილიკი

ყველაზე ახალგაზრდა მეცნიერებათა დოქტორი ქალი

მაია ტორაძე

ოჯახს, სადაც ნინო ფორაქიშვილი აღიზარდა, თავად „საუნივერსიტეტოს“ უწოდებს, რადგანაც ყველა მისი წინაპარი სისხლხორცეულად იყო დაკავშირებული უნივერსიტეტთან.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და დიდი ბრიტანეთის ვესტმისტერის უნივერსიტეტის პროფესორის, ქალბატონ ნინო ფორაქიშვილის წარმატების საიდუმლოს შესაცნობად გვერდი ვერ ავუარეთ მის დიდ ოჯახს, რომლის სათავეებთანაც იდგა ნინოს პაპა – მონპელიეს უნივერსიტეტის კურსდამთავრებული ერეკლე ფორაქიშვილი, რომელიც ბევრ ქართველ ინტელიგენტთან ერთად რეპრესიის წლებს შეეწირა... დედა — ქალბატონი ვიქტორია ბეკშანოვა-ფორაქიშვილი უნივერსიტეტის უფროსი მასწავლებელი იყო, მამა — პროფესორი ზურაბ ფორაქიშვილი კი წლების განმავლობაში ჯერ განათლების მინისტრის მოადგილე, შემდეგ კი თსუ-ის პრორექტორი გახლდათ. მას დღესაც სიყვარულით იხსენებენ უნივერსიტეტში.

ჩვენთან საუბარში ქალბატონმა ნინომ ყველა ის ადამიანი გაიხსენა, ვინც მის აღზრდასა და ჩამოყალიბებაში დიდი წვლილი შეიტანა: ბაბუა — დიდი თეატრის ცნობილი ბანი სტეფანე ბეკშანოვი, რომელიც ლეგენდარულ შალიაპინთან ერთად იდგა სცენაზე; ბებია, ასევე, ოპერის მომღერალი, ლიდია ბოროვიკი და დეიდა — ვერა ბეკშანოვა, რომელიც დიდხანს გამოდიოდა ქართულ სცენაზე და მომავალ თაობას კონსერვატორიაში ვოკალს ასწავლიდა.... ალბათ მათი დიდი დამსახურებაა, რომ ოპერა და მუსიკა ნინო ფორაქიშვილის დიდი გატაცებაა. იგი თავადაც შესანიშნავად მღერის და პიანისტის ხელოვნებას ფლობს.

ამ მართლაცდა „საუნივერსიტეტო ოჯახში“ განათლების დეფიციტი არც არასოდეს ყოფილა, მაგრამ ჩემთვის მაინც გასაოცარი იყო იმის აღმოჩენა, რომ ამ საოცარი შარმის მქონე ქალბატონს, რომელსაც ძალიან მოუხდებოდა კონსერვატორიის პედაგოგობა, 15 წლისას განუსაზღვრავს პროფესიული მომავალი და ზუსტად სცოდნია, რომ ბიოლოგი, კონკრეტულად კი, იმუნოლოგი გახდებოდა: „ეს იმიტომ, რომ ბავშვობაში ვკითხულობდი ყველაფერს, რაც ხელში ჩამივარდებოდა... მათ შორის, სპეციალურ ლიტერატურასაც. ასე წავიკითხე წიგნი იმუნოლოგიის შესახებ და გავიგე, რომ ეს იყო სრულიად ახალი მეცნიერება, რომელშიც ბევრი რამ უცხო და საინტერესო ხდებოდა. მაშინ ჩემი კლასი და სამეგობროც გატაცებული იყო ბიოლოგიით, რადგან შესანიშნავი პედაგოგი გვყავდა. ეს იყო ქალბატონი ოლგა ასამბაძე, რომელმაც ეს საგანი შეგვაყვარა“ — გვითხრა ქალბატონმა ნინომ.

როგორც ჩანს, ბავშვობის ოცნების ასრულება მას არ გასჭირვებია, რამდენადაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ თავბრუდამხვევი სისწრაფით განვითარდა მეცნიერის საინტერესო ბიოგრაფია, რომელიც არა მხოლოდ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, არამედ საქართველოს სამეცნიერო საზოგადოებისთვისაც საამაყოა.

ქალბატონ ნინო ფორაქიშვილთან საუბარში წარმატებებით თავმოწონება ნაკლებად იგრძნობა, სამაგიეროდ მისი ყველა ფრაზა და მანერა მიგანიშნებს, რომ შენს წინ დიდი მეცნიერი ზის, რომელიც ცდილობს — ღრმად ჩაგახედოს იმუნოლოგიისა და გენეტიკის ლაბირინთებში.

— ქალბატონო ნინო, საკანდიდატო დისერტაცია მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის უნივერსიტეტში დაიცავით და საკანდიდატო თემაც ახალ და ამოუცნობ მოვლენას ეხებოდა... როგორ მიხვედით იმ გადაწყვეტილებამდე, რომ მეცნიერებაში უნდა წასულიყავით?

— სანამ ლომონოსოვის უნივერსიტეტის ასპირანტურაში ჩავაბარებდი, დავამთავრე გენეტიკის მიმართულება ჩემთვის მეტად პატივსაცემ პიროვნებასთან — თემურ ლეჟავასთან, რომელიც თანამედროვე სტილის ხელმძღვანელი და მეცნიერია. მან დიდი როლი ითამაშა ჩემს მეცნიერად ჩამოყალიბებაში. შემდეგ უკვე ექიმ-ალერგოლოგ ამირან გამყრელიძის ხელმძღვანელობით სამედიცინო ინსტიტუტში სადიპლომო ნაშრომზე ვიმუშავე. ჩემი ინტერესი თავიდანვე იმუნოლოგიისკენ იყო მიმართული და რადგან ეს მიმართულება თბილისში არ არსებობდა, მოსკოვს მივაშურე, მაგრამ იმუნოლოგია იქაც მხოლოდ იმ პერიოდში იწყებდა განვითარებას. საკანდიდატო დისერტაციაზე — „იმუნური ცვლილებები ასაკთან დაკავშირებით“ ვმუშაობდი ცნობილ მეცნიერთან რემ პეტროვთან, რომელიც ახლა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ხელმძღვანელი გახლავთ. როგორც კი კანდიდატი გავხდი, მიუხედავად იმისა, რომ მოსკოვში დარჩენას მთავაზობდნენ, თბილისში ჩამოვედი და აქ დავაარსე იმუნოლოგიის კათედრა.

ამავე თემის გაგრძელება გახლავთ ჩემი სადოქტორო დისერტაცია — „მოლეკულური მექანიზმები აუტოიმუნური დაავადების დროს, დაბერების დროს და იმუნოდეფიციტების შემთხვევაში“. ეს იყო ფართომასშტაბიანი კვლევა, რომელშიც დაბერების პროცესი იმუნურ პათოლოგიებს შევადარეთ. დავაკონკრეტებ, რომ იმუნური პათოლოგიების ორი უკიდურესი მხარე არსებობს: ან უკმარისობა – რომელსაც იმუნოდეფიციტი ჰქვია, ან პირიქით – ორგანიზმის ჭარბი რეაქცია, რომლის ერთ-ერთი გამოვლინება ალერგიაა. სწორედ ჭარბ ან დეფიციტურ რეაქციებს შევადარეთ ბუნებრივი ასაკობრივი ცვლილებები. საკვლევი თემა იმდენად საინტერესო აღმოჩნდა, რომ ამან ძალიან დიდი გამოხმაურება ჰპოვა უცხოელ მეცნიერთა შორის.

— თქვენ ერთ-ერთი ის მეცნიერი ბრძანდებით, რომელმაც დასავლეთის უნივერსიტეტებთან მჭიდრო კავშირი დაამყარა. ამ კავშირების წყალობით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტშიც დაინერგა სწავლების დასავლური ღირებულებები. როდიდან დაიწყო თქვენი ურთიერთობა საზღვარგარეთის უნივერსიტეტებთან?

— 1996 წლიდან ვმუშაობდი იმუნოლოგიის ფუძემდებელთან მთელ ევროპაში, პროფესორ აივან როიტთან. 1996 წლიდან სამეფო აკადემიის მიერ მიწვეული ვიყავი ლონდონში ლექციების წასაკითხად. თავდაპირველად მათ შემომთავაზეს თანამშრომლობა კვლევაში, დღეს კი ამ უნივერსიტეტში საკმაოდ ბევრი კურსი მიმყავს.

ჩემი მიზანი ყოველთვის იყო ის, რომ ეს კონტაქტები მარტო ჩემთვის არ გამომეყენებინა. ჩვენ 1995 წელს გავიმარჯვეთ TEMPUS-ის რამდენიმე პროექტში, ანუ ევროგაერთიანების საგანმანათლებლო ორგანიზაციაში, რომელმაც ხელი შეგვიწყო — ეს კავშირები და კონტაქტები კვლევასა და სწავლებაში ორმხრივი ყოფილიყო.

დღეს ჩვენი ძირითადი პარტნიორები არიან ინგლისი, აშშ, საფრანგეთი და იტალია. ამ დროის განმავლობაში სულ ვცდილობდი, რომ პროგრამის ფარგლებში ჩემი ასპირანტები სამუშაოდ პარტნიორ ქვეყნებში ჩასულიყვნენ, რომ ეს კონტაქტები გაზრდილიყო და გაფართოებულიყო. ასე რომ, ერთგვარი „ლოკომოტივის“ როლი შევასრულე და ახლა

ნინო ფორაქიშვილმა 1975 წელს ოქროს მედლით დაამთავრა საშუალო სკოლა

1980 წელს წარჩინებით დაასრულა თსუ-ის ბიოლოგიის ფაკულტეტი მისი ვიწრო სპეციალობებია გენეტიკოსი, იმუნოლოგი;

1985 წელს მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის უნივერსიტეტის ასპირანტურის დამთავრების შემდეგ დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „იმუნური ცვლილებები ასაკთან დაკავშირებით“;

მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში სსრკ უმაღლესი სასწავლებლების კათედრის გამგეების კვალიფიკაციის ასამაღლებლად, უკვე კითხულობდა ლექციებს იმუნოლოგიასა და ალერგოლოგიაში;

1986-1992 წლებში ნინო ფორაქიშვილი იყო თსუ-ის იმუნოლოგიის კვლევითი ლაბორატორიის დამაარსებელი და გამგე. მიწვეული იყო ლონდონის უნივერსიტეტის იმუნოლოგიის დეპარტამენტში უფროს მკვლევრად;

1992 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაიცვა სადოქტორო დისერტაცია გახლდათ ყველაზე ახალგაზრდა მეცნიერებათა დოქტორი ქალი საქართველოში;

1992 წელს დააარსა იმუნოლოგიის კათედრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში;

1994 წელს მიენიჭა პროფესორის წოდება იმუნოლოგიასა და ალერგოლოგიაში;

2002 წლიდან დღემდე არის ლონდონის ვესტმისტერის უნივერსიტეტის ბიომედიცინის დეპარტამენტის აკადემიკოსი 2006 წლიდან დღემდე ხელმძღვანელობს იმუნოლოგიისა და მიკრობიოლოგიის მიმართულებას;

ნინო ფორაქიშვილი 2008 წელს მიიწვიეს ნიუ-იორკის სამედიცინო კვლევების ინსტიტუტში პროფესორ ნიკოლას კიორაკის ლაბორატორიაში;

1996 წლიდან 2005 წლამდე იყო ევროგაერთიანების INTAS-ის სამეცნიერო პროგრამის პროექტების კოორდინატორი; 1996 წლიდან დღემდე არის ევროგაერთიანების TEMPUS-ის საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორი;

ფლობს რუსულ, ინგლისურ, ფრანგულ, იტალიურ და ესპანურ ენებს.

ეს კავშირები და კონტაქტები იმდენად გაფართოვდა, რომ ძალიან ბევრი თემა თბილისსა და დასავლელ პარტნიორებთან ერთობლივად სრულდება.

— იმ უნივერსიტეტებში, სადაც თქვენ მოღვაწეობთ, თუ არიან ქართველი სტუდენტები?

— ვესტმისტერის უნივერსიტეტში, სადაც მე ვმოღვაწეობ, ქართველი სტუდენტები ჯერ კიდევ ცოტაა, მაგრამ გვაქვს ძალიან ბევრი საერთაშორისო პროგრამა, რომელშიც ქართველებიც არიან ჩართულნი. მათ შორისაა TEMPUS-ის საერთაშორისო პროგრამა, რომელსაც უკვე 10 წელია ვხელმძღვანელობ. ამ პროგრამით ჩვენ ვნერგავთ თანამშრომლობას ევროპის უნივერსიტეტებსა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის. პროგრამის ფარგლებში რამდენიმე ქართველმა სტუდენტმა უცხოეთის უნივერსიტეტებში ისწავლა.

— ზაფხულის დასაწყისში თქვენი ინიციატივით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა ძალიან მნიშვნელოვანი პარტნიორი შეიძინა ვესტმისტერის უნივერსიტეტის სახით. რას ითვალისწინებს ეს პარტნიორობა?

— გეთანხმებით, ეს მართლაც მნიშვნელოვანი მოვლენაა, რადგან იგეგმება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ვესტმისტერის უნივერსიტეტის ერთობლივი პროგრამის ამოქმედება. თავდაპირველად ჩვენთან დაინერგება ვესტმისტერის უნივერსიტეტის სამაგისტრო პროგრამები, შემდეგ კი ნელ-ნელა ერთობლივი დიპლომის გაცემაზეც ვიფიქრებთ.

ამ პროგრამის მოსამზადებლად 3 თვის წინ ჩამოსული იყო ვესტმისტერის უნივერსიტეტის სავალიდაციო კომისია, რომელმაც შეამოწმა სამაგისტრო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფა, მათ შორის, ჩვენი სასწავლო რესურსები, ანუ პედაგოგები, რომლებმაც სტუდენტებს ყველა ეს კურსი ინგლისურად უნდა ასწავლონ. კომისია კმაყოფილი დარჩა მათი აკადემიური დონით. მეამაყება, რომ ამ სამაგისტრო პროგრამის პედაგოგები: ნინო კულიკოვა, ნინო გაჩეჩილაძე, ნინო ჭიკაძე, ნუნუ მიცკევიჩი, მარინა თევზაძე, პაატა ცაგარეიშვილი – ყველა ჩემი ყოფილი ასპირანტია. კომისიამ შეამოწმა ასევე ის გარემო, რომელშიც სტუდენტებს სწავლა მოუწევთ. მიზანი ერთი იყო: თუ ვესტმისტერის უნივერსიტეტთან ერთობლივი პროგრამა დაინერგა, ისინი აქ ჩარიცხულ სტუდენტს უკვე საკუთარ სტუდენტებად მიიჩნევენ და თვლიან, რომ რა პირობებიც ვესტმისტერის უნივერსიტეტშია, იგივე პირობები უნდა იყოს თბილისის უნივერსიტეტშიც — დაწყებული სახანძრო უსაფრთხოებით, დასრულებული ინვალიდებისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნით.

სამი თვის წინ ჩამოყალიბდა რეკომენდაციები, თუ რა უნდა გაგვეკეთებინა. ამ ორი კვირის წინ, როცა ეს კომისია შედეგების შესამოწმებლად კვლავ ჩამოვიდა, მისი წევრები გაოცებულნი დარჩნენ, რადგანაც მოთხოვნების უმეტესობა სამ თვეში უკვე გათვალისწინებული დახვდათ. ამ სამუშაოებს პროგრამის რეგიონალური კოორდინატორი, ჩემი ყოფილი სტუდენტი და ასპირანტი, ახლა კი კოლეგა და ლაბორატორიის გამგე ნინო კულიკოვა უძღვებოდა.

შეგვიძლია ვთქვათ, რომ ვალიდაციის პროცესი წელს დამთავრდება და მომავალ წელს უკვე დაიწყება ამ პროგრამებზე სტუდენტების მოზიდვა, ჩარიცხვა და სწავლა.

საინტერესოა, რომ ეს პროცესი ორმხრივი აღმოჩნდა, რადგანაც ამ სამაგისტრო კურსისთვის, რომელსაც სამედიცინო მოლეკულური ბიოლოგია ჰქვია, პროგრამაში გავითვალისწინეთ საწყისი სემესტრი, სადაც გვინდა, რომ მოხდეს სტუდენტთა როგორც აკადემიური ცოდნის, ასევე, ინგლისური ენის სტანდარტიზაცია. გარდა ქართველებისა, ვიმედოვნებთ, რომ ეს პროგრამა მოიზიდავს ბევრ სტუდენტს ინდოეთიდან, ჩინეთიდან და სხვა ქვეყნებიდან. დარწმუნებული ვარ, ინტერესი დიდი იქნება, რადგანაც კურსდამთავრებულებს ვესტმისტერის უნივერსიტეტის სრული დიპლომი მიენიჭებათ და თბილისში იცხოვრებენ, რაც მათთვის დიდი ფინანსური შეღავათია. ეს იდეა იმდენად საინტერესო აღმოჩნდა, რომ ვესტრმისტერის უნივერსიტეტის ამავე პროგრამაზე აპირებენ ასეთივე საწყისი კურსის შემოღებას. ასე რომ, არა მარტო ჩვენ ვიღებთ რაღაცას იმათგან, არამედ ჩვენიდანაც მიაქვთ სიახლეები.

— საინტერესოა თქვენი თვალით დანახული უმაღლესი განათლების რეფორმირების პროცესი... როგორ ფიქრობთ, გაამართლა თუ არა ამ რეფორმამ?

— რეფორმა ყველა ქვეყანაში მტკივნეული პროცესია. მიმაჩნია, რომ ადამიანებმა ეს ცვლილებები სწორად უნდა შეაფასონ. ჩვენს ფაკულტეტზეც იყო არაერთი გაუგებრობა აკადემიურ კონკურსებთან დაკავშირებით, მაგრამ მოვახერხეთ ყველა იმ ინტელექტუალი კადრის შენარჩუნება და დაბრუნება, რომელიც მიმართულებას სჭირდებოდა. სხვათაშორის, ამაში ძალიან დაგვეხმარა ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო გრანტები და ჩვენს მიერ მოგებული საერთაშორისო პროექტები.

— რამდენადაც ვიცი, თქვენ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი სიახლის დანერგვით ხართ დაკავებული...

მე-8 გვერდზე

იმუნოლოგიის ლაბირინთებში გაკვალული ბილიკი

ყველაზე ახალგაზრდა მეცნიერებათა დოქტორი ქალი

მე-8 გვერდიდან

— დიახ, ჩვენ ახლა ვნერგავთ თსუ-ში ყველაზე უფრო თანამედროვე სწავლების მეთოდს — ეს არის დისტანციური, ანუ ელექტრონული სწავლება, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. ეს მეთოდი დასავლეთშიც კი მხოლოდ განვითარების პროცესშია. თუ ადრე ჩვენ შემოგვქონდა ისეთი ტექნოლოგიები, რაც უკვე დანერგილია განვითარებულ უნივერსიტეტებში, ამ შემთხვევაში, ამ მეთოდის განვითარება თანადროულად მიმდინარეობს. ეს არის ევროგაერთიანების TEMPUS- ის ახალი პროექტი, რომელიც დაიწყო იანვარში. პროექტით გათვალისწინებულია ახალი კურსების წაკითხვა, რაც ელექტრონულ სწავლებას მოიცავს. ეს იმას ნიშნავს, რომ სწავლების მეთოდიკაში ჩაერთვება მულტიმედიასაშუალებები და კონფერენციები თუ სემინარები უკვე ვირტუალურ სამყაროში გადაინაცვლებს. თავდაპირველად დავიწყებთ მაგისტრანტებთან ურთიერთობას, მაგრამ შემდეგ ეს ნოვაცია ხელმისაწვდომი გახდება ბაკალავრიატის სტუდენტებისთვისაც. ამ პროექტში ჩვენ ვთანამშრომლობთ სომხეთისა და აზერბაიჯანის წამყვან უნივერსიტეტებთან. ჩვენი პარტნიორებია, ასევე, ქუთაისის და ბათუმის უნივერსიტეტები. ამრიგად, თსუ-ს სახით ყალიბდება სამხრეთ კავკასიის რეგიონული ლიდერი დისტანციური სწავლების კუთხით. ამ პროგრამაში, რომლის საერთაშორისო კოორდინატორიც მე გახლავართ, ევროგაერთიანების მხრიდან მონაწილეობენ ვესტმისტერის უნივერსიტეტი (ინგლისი), ლაქვილას უნივერსიტეტი (იტალია) და ბრესტის უნივერსიტეტი (საფრანგეთი).

— თქვენ ურთიერთობა გაქვთ როგორც ქართველ, ასევე, უცხოელ სტუდენტებთან. არსებობს განსხვავება მათ შორის? სად უფრო მეტად იგრძნობა ინტერესი პროფესიის დაუფლებისადმი?

— ზოგადად, უნდა ვთქვა, რომ საბუნებისმეტყველო საგნები სერიოზულად მისახედია, რადგანაც ბოლო 2 ათეული წლის განმავლობაში სკოლიდან საუკეთესონი იურიდიულზე, ბიზნესში ან კომპიუტერულ მეცნიერებებში მიდიოდნენ. საზღვარგარეთ ეს ბაზარი უკვე გაჯერებულია. დღეს დადგა დრო, როცა საქართველოში ბიოსამედიცინო და ფარმაკოლოგიური დაწესებულებები იხსნება და ნელ-ნელა იქმნება სათანადო ბაზარიც. ამიტომ ყველა მიმართულების სპეციალისტი დაგვჭირდება და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებსაც ყურადღება უნდა მიექცეს.

მინდოდა ქალბატონი ნინოსთვის საუბრის ბოლოს მეკითხა, თუ რას ნიშნავდა მისთვის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მაგრამ მივხვდი, რომ ამ კითხვას აზრი არ ჰქონდა... ის საკუთარი ოჯახის ფესვებზე გაიზარდა. ამ ოჯახისთვის კი უნივერსიტეტი მთელი ცხოვრებაა...

თსუ-ის მკვლევართა მიზანი სიმსივნის საწინააღმდეგო ვაქცინის შექმნაა

თსუ-ის სამეცნიერო პოტენციალი ყოველთვის დიდ და მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ქართული მეცნიერების განვითარებისა და აღმავლობის საქმეში, რაც დღესაც აქტიურად და ნაყოფიერად გრძელდება. ამის ნათელი დადასტურებაა თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის იმუნოლოგიისა და მიკრობიოლოგიის მიმართულებაზე განხორციელებული პროექტები და კვლევები.

თამარ დადიანი

თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ახალგაზრდა მეცნიერთა ჯგუფი წარმატებით აგრძელებს მუშაობას საქართველოს ეროვნული-სამეცნიერო ფონდის ორ საგრანტო პროექტზე: 1. ადამიანის ქორიონული გონადოტროპინის (აქგ) β-ჯაჭვის მუტანტურ მოლეკულაზე დაფუძნებული ანტისიმსივნური და იმუნოკონტრაცეპტული ეპიტოპ-სპეციფიკური ვაქცინის შექმნა და 2. „CD4+ ციტოტოქსიური β უჯრედებით განპირობებული იმუნური პასუხები უჯრედული ქრონიკული ლიმფოციტური ლეიკემიის (B-ქლლ) დროს“.

ორივე პროექტი 2007 წელს დააფინანსა საქართველოს ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა (ამჟამინდელი რუსთაველის

ეროვნული სამეცნიერო ფონდი). მუშაობის ხანგრძლივობა 3 წელია. პროექტში მონაწილეობენ: პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელი – თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის იმუნოლოგიისა და მიკრობიოლოგიის ქვემიმართულების სრული პროფესორი ნინო ფორაქიშვილი, პროექტის მენეჯერი — თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის იმუნოლოგიისა და მიკრობიოლოგიის ქვემიმართულების ასოცირებული პროფესორი ნინო გაჩეჩილაძე, წამყვანი მკვლევარი – თსუ-ის მოწვეული პროფესორი, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ნინო ჭიკაძე, უფროსი მკვლევარი – თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის იმუნოლოგიისა და მიკრობიოლოგიის ქვემიმართულების ასისტენტ-პროფესორი ნუნუ მიცკევიჩი, უფროსი მკვლევარი – თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის იმუნოლოგიისა და მიკრობიოლოგიის ქვემიმართულების სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორიის გამგე ნინო კულიკოვა და სამედიცინო კონსულტანტი – მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი დალი ფირცხალაიშვილი.

„ადამიანის ქრონიკიული β ლიმფოციტარული ლეიკემიისა და ადამიანის ქორიონულ გონადოტროპინის ბაზაზე ანტისიმსივნური და ანტიკონტრაცეპტული ვაქცინის შექმნაზე მუშაობა წლებია მიმდინარეობს. ორივე თემატიკის ფარგლებში დიდი ხნის თანამშრომლობა გვაკავშირებს ლონდონის საუნივერსიტეტო კოლეჯის იმუნოლოგიის დეპარტამენტთან და ვესტმინსტერის უნივერსიტეტის ბიოსამედიცინო მეცნიერებების ფაკულტეტთან.

პროექტის მიმდინარეობის მანძილზე კვლევის შედეგად მიღებული შედეგები წარმოდგელია რამოდენიმე საერთაშორისო კონფერენციასა და კონგრესზე.

2000-2010 წლებში თსუ-ის იმუნოლოგიის და მიკრობიოლოგიის მიმართულების სამეცნიერო და სასწავლო პროექტების ნუსხა საკმაოდ დიდია, რაც ქართველი იმუნოლოგებისა და მიკრობიოლოგების მაღალ პროფესიონალიზმსა და კომპეტენტურობაზე მეტყველებს და იმედი მაქვს, ჩვენ, მომავალშიც ბევრი მნიშვნელოვანი კვლევისა და აღმოჩენის მოწმე, თანაავტორი და თანაზიარი გავხდებით“, — განაცხადა თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის იმუნოლოგიისა და მიკრობიოლოგიის ქვემიმართულების ასოცირებულმა პროფესორმა ნინო გაჩეჩილაძემ.

პროექტის: „ადამიანის ქორიონული გონადოტროპინის (აქგ) β-ჯაჭვის მუტანტურ მოლეკულაზე დაფუძნებული ანტისიმსივნური და იმუნოკონტრაცეპტული ეპიტოპ-სპეციფიკური ვაქცინის შექმნა“ ფარგლებში მუშაობა მიმდინარეობს ვაქცინაზე, რომელიც, საბოლოოდ, მას შემდეგ, რაც კვლევის ყველა ეტაპი დასრულდება, გამოიყენებენ სიმსივნეების თერაპიისთვის და ეს იქნება ის პრეპარატი, რომელიც ჯანმრთელი ქალის ორგანიზმს ფეხმძიმობისგან დაიცავს.

ანტისიმსივნური ვაქცინის თაობაზე საინტერესო კვლევების შესახებ

ნინო ჭიკაძე, თსუ-ის მოწვეული პროფესორი, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი:

„იმუნოკონტრაცეპტული ვაქცინის შექმნას თან ახლავს უამრავი ისეთი პრობლემა, როგორებიცაა ეთიკური, რელიგიური, საკანონმდებლო და სხვა. ჩვენი სამუშაო ჯგუფის საბოლოო მიზანი მაინც სიმსივნის საწინააღმდეგო ვაქცინის შექმნაა. ყველაფერი 13-14 წლის წინ დაიწყო, როდესაც ქალბატონი ნინო ფორაქიშვილი ლონდონის საუნივერსიტეტო კოლეჯის იმუნოლოგიის კათედრის მეცნიერებს შეუერთდა, რომლებიც იმჟამად აღნიშნული ვაქცინის პირველი პროტოტიპების შექმნაზე მუშაობდნენ. ეს მეცნიერები არიან: იმუნოლოგიის ერთ-ერთი ფუძემდებელი აივან როიტი, ტორბენ ლუნდი, პიტერ დელვესი. მალევე ქალბატონმა ნინო ფორაქიშვილმა შემოგვთავაზა ამ პროექტში თანამონაწილეობა. ლონდონიდან გამოგვიგზავნეს ვაქცინის პროტოტიპებით იმუნიზირებული ბოცვრების შრატები, ყველა საჭირო რეაქტივი და ჩვენც მუშაობას შევუდექით... აღნიშნული სამუშაოს შედეგები გამოქვეყნებულია ისეთ საერთაშორისო მაღალრეიტინგულ ჟურნალში, როგორიცაა „ვაქცინები.“ დაგროვილი შედეგების და გამოცდილების საფუძველზე კი ჩამოყალიბდა შემდგომი კვლევების იმ ნაწილის სამომავლო გეგმა, რომელიც აქ, ჩვენს ლაბორატორიაში უნდა განხორციელებულიყო. აღნიშნული გეგმის პირველი ნაწილი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ გამოცხადებულ პირველ საგრანტო კონკურსზე წარვადგინეთ, მოვიპოვეთ დაფინანსება და განვაგრძეთ პროექტზე მუშაობა. კვლევის ამჟამინდელი ეტაპი კი ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფინანსებით ხორციელდება.

მოკლედ მოგახსენებთ, თუ რას წარმოადგენს აღნიშნული ვაქცინა. ადამიანის ქორიონული გონადოტროპინი — ეს არის ჰორმონი, რომელიც ჯანმრთელი, არაფეხმძიმე ადამიანის სისხლში, ფაქტობრივად, არ არსებობს. სისხლში მისი გამოჩენა ორ შემთხვევაში ხდება: ერთი — ეს არის ფიზიოლოგიური მდგომარეობა ფეხმძიმობა, როდესაც მას ჩანასახის უჯრედები ასინთეზირებენ განაყოფიერებიდან მე-2 დღიდან და სწორედ ამ ჰორმონის გამოჩენაა ორგანიზმისათვის შეტყობინება, რომ დადგა ორსულობა და იწყება ორსულობისათვის დამახასიათებელი ფიზიოლოგიური ცვლილებები. არაფეხმძიმე ადამიანის სისხლში კი ამ ჰორმონის აღმოჩენა სიმსივნურ ზრდაზე მიუთითებს. სიმსივნური უჯრედები თვითონ ასინთეზირებენ ამ ჰორმონს, როგორც აუტოკრინული ზრდის ფაქტორს. შესაბამისად, მისი განეიტრალება ვაქცინაციის გზით აღძრული იმუნური პასუხებით ნიშნავს სიმსივნის ერთ-ერთი ზრდის ფაქტორის განეიტრალებას. ამ ჰორმონზე დაფუძნებული ვაქცინის შექმნისას პრობლემას წარმოადგენს მისი სტრუქტურული მსგავსება სხვა, ორგანიზმში ჰორმონული ბალანსის შენარჩუნებისთვის აუცილებელ ჰორმონთან, მალუთეინიზირებელ ჰორმონთან. სწორედ ეს პრობლემა იქნა თავიდან აცილებული ვაქცინის იმ პროტოტიპის შემთხვევაში, რომელიც შეიქმნა ლონდონის საუნივერსიტეტო კოლეჯში და რომლის იმუნური პასუხების შესწავლაში ვიღებთ მონაწილეობას. ჩვენ ვნახეთ, რომ აღნიშნული ვაქცინის პროტოტიპის საპასუხოდ გამომუშავებული ანტისხეულები არ უკავშირდებიან მალუთეინიზირებელ ჰორმონს, თუმცა კარგად უკავშირდებიან თვითონ ქორიონული გონადოტროპინის ბუნებრივ მოლეკულას. ვაჩვენეთ, რომ ჰორმონისა და ანტისხეულის დაკავშირების შედეგად წარმოქმნილი კომპლექსები წარმატებით შთაინთქმებიან ამგვარი კომპლექსებისგან ორგანიზმის გაწმენდაზე პასუხისმგებელი უჯრედების მიერ. ეს კი ვაქცინის ეფექტურობის და უსაფრთხოების ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა. შევისწავლეთ ჰორმონი-ანტისხეული კომპლექსის შთანთქმის მექანიზმები მოლეკულურ დონეზე. ვაქცინის პროტოტიპების საპასუხო იმუნური პასუხების შესწავლა მიმდინარე საგრანტო პროექტის მხოლოდ ერთი ნაწილია. ამ პროექტის ფარგლებში განხორციელდა მეორე ფართომასშტაბიანი კვლევაც, რომლის მიზანი იყო ქორიონული გონადოტროპინის საპასუხო ბუნებრივი ანტისხეულების არსებობის შემოწმება კეთილთვისებიანი და ავთვისებიანი გინეკოლოგიური სიმსივნეებით დაავადებული პაციენტების სისხლში. ჩვენს მიერ განხორციელებული კვლევის შედეგების მიხედვით საკვერცხის და საშვილოსნოს კეთილთვისებიანი სიმსივნეების მქონე პაციენტებს აღმოაჩნდათ ქორიონული გონადოტროპინის საწინააღმდეგო ანტისხეულების მაღალი ტიტრები. საპირისპიროდ, საშვილოსნოს და საკვერცხის ავთვისებიანი სიმსივნის მქონე პაციენტებში ეს ანტისხეულები მეტად დაბალი ტიტრით არის წარმოდგენილი. მიღებული შედეგების მიხედვით, ქორიონული გონადოტროპინის საწინააღმდეგო ანტისხეულების ტიტრის გაზომვა შესაძლოა გამოდგეს სიმსივნის ავთვისებიანობის დიაგნოსტიკაში.

სამეცნიერო ლიტერატურაში მრავლად შეხვდებით ნაშრომებს, რომლებიც ადასტურებენ, რომ ქორიონულ გონადოტროპინს ასინთეზირებს სიმსივნეების უმეტესობა და მისი კონცენტრაცია სისხლში პირდაპირ კორელაციაშია სიმსივნის ავთვისებიანობასთან. ამ ჰორმონის საწინააღმდეგო ბუნებრივი ანტისხეულების არსებობა კი სიმსივნით დაავადებულ პაციენტების სისხლში და მათი კონცენტრაციის კორელაცია სიმსივნური ზრდის ავთვისებიანობასთან პირველად ჩვენ ვაჩვენეთ. აღნიშნული შედეგების წარდგენა დაგეგმილია მე-13-ე საერთაშორისო კონგრესზე — „დებატები მეანობა, გინეკოლოგიის და უშვილობის საკითხებზე“, რომელიც ნოემბერში გერმანიაში გაიმართება.



ახალი კოდექსი გვაპოვნინებს თუ არა სამართალს?

ინტერვიუ თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორთან ლალი ფაფიაშვილთან

1 ოქტომბრიდან ძალაში შევიდა სისხლის სამართლის ახალი საპროცესო კოდექსი, რომელიც ევროპულ მართლმსაჯულებას უახლოვდება და აქამდე მოქმედი კოდექსისაგან რადიკალურად განსხვავდება.

რა სიახლეებს მოიცავს ახალი კოდექსი? შეუწყობს თუ არა იგი ხელს ქვეყანაში მიუკერძოებელი სასამართლოს დამკვიდრებას? — ამ საკითხებზე გვესაუბრება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორი ლალი ფაფიაშვილი.

მაია ტორაძე

— ქალბატონო ლალი, ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ბევრ სიახლეს ითვალისწინებს. როგორ შეაფასებთ ამ ცვლილებებს? რამდენად შეუწყობს იგი ხელს ქვეყანაში ობიექტური სამართალწარმოების დამკვიდრებას?

— საპროცესო კოდექსის ერთ-ერთი მთავარი ღირებულება გახლავთ ის, რომ მან დაამკვიდრა შეჯიბრებითობის პრინციპი გამოძიების ყველა სტადიაზე. ამავდროულად, შემოტანილია ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, დისკრეციული სისხლის სამართლებრივი დევნა და მედიაციის ინსტიტუტი. მოვიყვან მაგალითს: დავუშვათ არასრულწლოვანმა ჩაიდინა წვრილმანი ქურდობა. თქვენ იცით, რომ ეს სისხლის სამართლის კოდექსით დასჯადი ქმედებაა, მაგრამ თუკი დანაშაული ჩადენილია პირველად, ან ისეთი პირის მიერ, რომელიც არ ხასიათდება მომეტებული საზოგადოებრივი საშიშროებით, არ არსებობს საჯარო ინტერესი იმისა, რომ ამ საქმის გამოძიებაზე ფინანსური და მატერიალური სახსრები დაიხარჯოს. ასეთ შემთხვევებში, როცა სისხლის სამართლის საქმე ამის საფუძველს იძლევა და პირის რეაბილიტაცია-რესოციალიზაცია შესაძლებელია სისხლის სამართლებრივი სანქციების გარეშე განხორციელდეს, პროკურორი უარს ამბობს სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყებაზე. იგი ხელშეკრულებას დებს არასრულწლოვანთან მედიაციის შესახებ. ამ ხელშეკრულებაში გაწერილია პირობები — რა უნდა გააკეთოს არასრულწლოვანმა ერთი წლის განმავლობაში. თუ არასრულწლოვანი ხელშეკრულებას დაარღვევს და არასათანადოდ მოიქცევა, მაშინ შესაძლოა ვიმსჯელოთ სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყებაზე ან განახლებაზე.

ახალი კოდექსით გაფართოებულია სასამართლო პროცესის მონაწილეთა უფლებები, რაც იმას ნიშნავს, რომ მკვიდრდება ასიმეტრიული მოდელი, რომლის მიხედვითაც დაცვის მხარეს ბრალდების მხარესთან შედარებით ბევრად უფრო ფართო გარანტიები ეძლევა.

ახალ სისხლის სამართლის კოდექსში გაფართოვდა, ასევე, აღმკვეთი ღონისძიებების კონტექსტი და სახეები. კერძოდ, შემოვიდა გაუსვლელობის და სათანადო ქცევის ხელწერილის ფორმა და 1000 ლარამდე შემცირდა ჯარიმის რაოდენობა. გარდა ამისა, ახალი ცვლილებებით გათვალისწინებულია, რომ ჯარიმის რაოდენობა, კარგად მოქცევის შემთხვევაში, შეიძლება შეიცვალოს და შემცირდეს კიდეც.

ამავდროულად, დაზუსტებულია დაცვის მხარის ისეთი ქმედებები, რაც უკავშირდება ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების მოთხოვნას. კოდექსის მიხედვით, შეზღუდულია საგამოძიებო მოქმედებების ვადები, მთლიანად აღკვეთილია სასამართლო სტადიიდან საქმის დამატებით გამოძიებაში დაბრუნების შესაძლებლობა. აქვე შეზღუდულია მოსამართლის უფლებამოსილება და იგი მხოლოდ გადაწყვეტილების გამომტანის ფუნქციას ასრულებს. ახალი კოდექსის თანახმად, მას აღარ აქვს უფლება საკუთარი ინიციატივით გამოითხოვოს ესა თუ ის მტკიცებულება. ის უნდა იყოს დამოკიდებული მხარეებზე და მართლმსაჯულთა სასამართლოს მიერ გამოტანილ ვერდიქტზე.

ცვლილებათაგან ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და საყურადღებოა დაკითხვის ფორმის შეცვლა. ახალი წესებით დაკითხვა აღარ ხორციელდება გამოძიების სტადიაზე. გამომძიებელს ან პროკურორს გარკვეულ საკითხზე მხოლოდ დასაკითხი პირის თანხმობით შეუძლია მოითხოვოს განმარტება, მაგრამ ეს დოკუმენტი, ანუ გამოკითხვის ოქმი, რომელიც დაიწერება, საპროცესო მტკიცებულებითი მნიშვნელობისა არ იქნება. პირი შეიძლება დაიკითხოს მხოლოდ სასამართლოს წინაშე, რაც უზრუნველყოფს მისი დაცვის დამატებით გარანტიებს. ეს ძალიან მნიშვნელოვანია ბრალდებულზე ფსიქოლოგიური ზემოქმედების თავიდან ასაცილებლად და იმისთვის, რომ დაცვას და ბრალდებას თანაბარი პირობები შეექმნას.

— აქამდე დაცვასა და ბრალდებას შორის შეჯიბრებითობის პრინციპი არ მოქმედებდა?

— დიახ, მოქმედებდა, მაგრამ ეს იყო შერეული მოდელი, რაც გულისხმობდა, რომ შეჯიბრებითობა გამოძიების ეტაპზე შეკვეცილი იყო. შეჯიბრებითობას სრული მოცულობით მხოლოდ სასამართლო წარმოების ეტაპზე იყენებდნენ. გამომძიებელს ეკისრებოდა ვალდებულება როგორც გამამართლებელი, ასევე, გამამტყუნებელი გარემოებების მოძიებისა, ანალოგიური მდგომარეობა იყო პროკურორზეც.

— ახალი კოდექსის მიხედვით პირი ეჭვმიტანილად აღარ მოიხსენიება. განაჩენის გამოტანამდე ბრალდებულის სტატუსი ხომ არ არღვევს ადამიანის უფლებებს?

— პირიქით, ეს ამარტივებს სისხლის სამართლის კოდექსს, რადგან ერთი და იგივე პიროვნება ერთნაირი ტერმინით მოიხსენიება. თუ თქვენ ნახავთ საერთაშორისო სამართლის აქტებს, იქ პირს გამოძიება და სასამართლო ერთი და იგივე სტატუსით მოიხსენიებს. თუმცა არის ქვეყნები, სადაც ეჭვმიტანილის სტატუსი ჯერ კიდევ არსებობს.

ეს შესაძლოა დაბნევას იწვევდეს იმ პირებისთვის, ვინ კარგად არ არის ჩახედული საპროცესო რეგულაციებში, მაგრამ საერთო ჯამში ამგვარი სტატუსი საქმის არსს არ ცვლის.

— ხომ არ იმოქმედებს გამოძიების ხარისხზე გამოძიების ვადების შემცირება? შემჭიდროებულ ვადებში შესაძლებელი იქნება ყველა მტკიცებულების მოპოვება?

— საერთოდ დაჩქარებული სამართალწარმოება ყოველთვის სვამს კითხვის ნიშანს, მაგრამ სახელმწიფოს მოვალეობა ისაა, რომ უზრუნველყოს სწრაფი და ეფექტური მართლმსაჯულების განხორციელება. სახელმწიფოს რესურსი იმიტომ იხარჯება საგამოძიებო ორგანოებზე, რომ იქ დასაქმებული პირები უნდა იყვნენ პროფესიონალი კადრები, რომელთაც შესაძლებლობა აქვთ, მცირე დროში ეფექტური გამოძიება განახორციელონ.

მეორეც – გამოძიების ვადა ითვლება იმ მომენტიდან, როდესაც ჩვენ პირი ბრალდებულად გვყავს ცნობილი, ანუ როდესაც ის პროცესში შედის. ეს პასუხისმგებლობას ანიჭებს საგამოძიებო ორგანოებს. მათ პირის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნა უნდა დაიწყონ მხოლოდ იმ მომენტიდან, როდესაც ისინი დარწმუნდებიან, რომ პირის დაკავების საკმარისი საფუძველი გააჩნიათ.

— რა ბერკეტები არსებობს, რათა ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტმა კარგად იმუშაოს და შეცდომისგან დაზღვეული ვიყოთ?

— შეცდომისგან დაზღვეული არავინაა, მაგრამ ამ ინსტიტუტის დადებითი მახასიათებელი სწორედ ისაა, რომ საზოგადოების სტერეოტიპებს ამსხვრევს და მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში პირდაპირ შეაქვს წვლილი. ასევე, დადებითია მოვლენაა ისიც, რომ საზოგადოების მეთვალყურის როლი იზრდება — მართლმსაჯულების განხორციელებაში ის პასუხისმგებლობას ინაწილებს.

შეცდომის საშიშროება ყოველთვის არსებობს, როგორც კვალიფიციური მოსამართლის, ასევე, მსაჯულების გამოყენების შემთხვევაშიც, მაგრამ აქ მთავარი სხვა რამაა — ბრალდებულს განსჯის მისივე ტოლი პიროვნება. მსაჯულმა იცის, რომ ხვალ და ზეგ, შესაძლოა, თვითონაც აღმოჩნდეს ანალოგიურ სიტუაციაში და ამიტომ ეცდება, სამართლიანი იყოს.

გარდა შეცდომისა, აქ სხვა სახის საფრთხეც შეიძლება არსებობდეს, მაგალითად, შესაძლოა გამოიყენონ ე.წ. ვერიფიკაცია, როცა გვერდზე დებენ კანონს და აბსოლუტურად სხვა პრინციპებით სარგებლობენ. თუმცა ამგვარი ტიპის მართლმსაჯულების მომხიბვლელობა ისაა, რომ მხარეებს უფლება აქვთ თავად შექმნან საკუთარი სასამართლო, რომელსაც ენდობიან. მხარეების მიერ სასამართლოს სწორად დაკომპლექტების შემთხვევაში ზემოთ აღნიშნული საფრთხეები შეიძლება არც არსებობდეს.

აქვე შეგახსენებთ, რომ არსებობს დასაბუთებული და დაუსაბუთებელი აცილების ინსტიტუტი, რომელსაც ორივე მხარე იყენებს. მაგალითად, იმ შემთხვევაში, თუ მე არ მომწონს რომელიმე ნაფიცი მსაჯული და მაქვს ინფორმაცია მისი არაობიექტურობის თაობაზე, ვასაბუთებ და აცილებას ვაძლევ მას; თუ ამის დამადასტურებელი საბუთი არ მაქვს, მაინც მაქვს უფლება, კონკრეტულ პიროვნებას ყოველგვარი ზედმეტი არგუმენტაციის გარეშე მივცე აცილება.

ახალი კოდექსის მიხედვით, სასჯელის ზომას მოსამართლე აწესებს. ნაფიცი მსაჯულებისაგან იგი იღებს რეკომენდაციას სასჯელის დანიშვნის შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ ეს რეკომენდაცია შემამსუბუქებელი იქნება, მოსამართლე შეზღუდულია სასჯელის დანიშვნაში — მას არ შეუძლია გამოიყენოს განსაზღვრული სასჯელის 2/3-ზე მეტი, მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა თავად მიიჩნევდეს, რომ განსასჯელი მეტს იმსახურებს. იგივე შეიძლება მოხდეს დამამძიმებელი რეკომენდაციის შემთხვევაშიც – მოსამართლეს არ შეეძლება დანიშნოს 2/3-ზე მეტი სასჯელის ზომა.

— როგორც ვიცით, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოში მონაწილეობაზე უარის თქმა ისჯება. ადამიანის უფლება არც ამით ირღვევა? იქნებ მას არ სურს სასამართლო პროცესში მონაწილეობა?

— ეს გადაწყვეტილება, ალბათ, ჩვენი საზოგადოების მენტალიტეტიდან გამომდინარე მიიღეს. საზღვარგარეთ ეს ინსტიტუტი მოქმედებს. იქ მართლმსაჯულებაში მონაწილეობა დიდ პრივილეგიად მიიჩნევა. ჩვენი კანონმდებლობა კი ითვალისწინებს, რომ ეს პრივილეგია კი არა, ქვეყნისა და საზოგადოების წინაშე თითოეული მოქალაქის ვალდებულებაა. ვალდებულებისგან თავის არიდება კი გარკვეულ ჯარიმებს უნდა იმსახურებდეს.

ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი ჯერ მხოლოდ საპილოტე პროექტია და თბილისის მასშტაბით, მხოლოდ დამამძიმებელ გარემოებაში განზრახ მკვლელობის შემთხვევებს განიხილავს (109-ე მუხლი). რამდენიმე თვის შემდეგ გაირკვევა – არის თუ არა ეს ინსტიტუტი მისაღები ქართული საზოგადოებისთვის.

ჯილდო

სტიპენდიანტები ექვთიმე ღვთისკაცის გადარჩენილი ქართული განძის „ნაწილად“ იქცნენ

4 ოქტომბერს მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნულ სასახლეში საფრანგეთში მცხოვრებ ქართველთა სათვისტომოსთან არსებული ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის ფონდის დაარსების საზეიმო ცერემონიალი გაიმართა. ღონისძიებაზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფრანგული ფილოლოგიის მიმართულების სტუდენტებს სახელობითი სტიპენდიები გადაეცათ. ქეთევან ბიაშვილმა და თამარ ხეტაშვილმა სტიპენდიების მოპოვება მაღალი აკადემიური მოსწრების და ჟიურის მიერ შერჩეული თემის: „რას ნიშნავს შენთვის ექვთიმე თაყაიშვილის სტიპენდიატობა“ საუკეთესო შესრულებისთვის მოახერხეს.

შურთხია გეროშვილი

ექვთიმე თაყაიშვილის ფონდი საფრანგეთში მცხოვრებ ქართველთა სათვისტომოს ინიციატივით შეიქმნა. ფონდის მიზანია იმ სტუდენტთა ხელშეწყობა, რომლებიც დაინტერესებულნი არიან ფრანგული კულტურით. ყოველწლიურად ფონდი, ერთი წლის ვადით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარჩინებულ სტუდენტებს სტიპენდიებს მიანიჭებს.

თსუ-ის რექტორის მოვალეობის შემსრულებელი ალექსანდრე კვიტაშვილი და საფრანგეთში მცხოვრებ ქართველთა სათვისტომოს პრეზიდენტი ოთარ ზურაბიშვილი დაესწრენენ.

ღონისძიებაზე დამსწრე საზოგადოებამ კიდევ ერთხელ გაიხსენა თსუ-ის ერთ-ერთი დამაარსებლის, დიდი მეცნიერის, საქართველოს მეჭურჭლეთუხუცესად წოდებული და მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ წმინდანად შერაცხული — ექვთიმე ღვთისკაცის (თაყაიშვილის) ამაღელვებელი ისტორია და მისი სახელობის ფონდის დაარსების მნიშვნელობაზე ისაუბრეს.

როგორც ცნობილია, ბოლშევიკური რუსეთის წითელი არმიის მიერ საქართველოს ანექსიის შემდეგ 1921 წლის 11 მარტს ექვთიმე თაყაიშვილმა, საქართველოს პირველი რესპუბლიკის ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებთან ერთად, საქართველო დატოვა და პარიზში დასახლდა, შემდეგ კი ლევილში გადავიდა საცხოვრებლად. გახიზნულმა მთავრობამ თან წაიღო საქართველოსთვის ისტორიული მნიშვნელობის განძის ღირებული ნაწილი. განძის მესაკუთრედ, ოფიციალურად, საქართველოს მთავრობა ითვლებოდა, მაგრამ განძს ექვთიმე თაყაიშვილი მეურვეობდა.

მე-11 გვერდზე

ᲡᲢᲘᲞᲔᲜᲓᲘᲐᲢᲔᲑᲘ ᲔᲥᲕᲗᲘᲛᲔ ᲦᲕᲗᲘᲡᲙᲐᲪᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲠᲩᲔᲜᲘᲚᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲒᲐᲜᲫᲘᲡ „ᲜᲐᲬᲘᲚᲐᲓ“ ᲘᲥᲪᲜᲔᲜ

ᲛᲔ-10 ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

ქართველი საზოგადოებისთვის კარგად არის ცნობილი, თუ რა რთულ პირობებს გაართვა თავი საზღვარგარეთ გადახვეწილმა ექვთიმე თაყაიშვილმა იმისათვის, რომ განძი საქართველოში ხელუხლებლად დაებრუნებინა. მას საფრანგეთში მოუხდა მის წინააღმდეგ აღძრული საქმის გამო სასამართლოებში სირბილი, ნაცისტების ხელყოფისგან განძის დაცვის მიზნით მისი სარდაფში ჩატანა და ცივ, ნესტიან სარდაფში ხანგრძლივი მუშაობა, სხვადასხვა ქვეყნების მუზეუმებისგან მრავალმხრივი ზენოლისგან განძის დაცვა... თავად ექვთიმე თაყაიშვილი მოგვიანებით ამ ამბავს ასე იხსენებდა: „მუდმივ შიშსა და ტერორში ვიყავი, აღარც საარსებო საშუალება მქონდა... ასეთი გაჭირვების მიუხედავად, არამც თუ სახელმწიფო ნივთი, არამედ ჩემი საკუთარი ისტორიული ნივთებიც არ გამიყიდია... თუმცა მქონდა ისეთი ნუმიზმატიკური ერთეულები, რომ შემეძლო გავმდიდრებულიყავ... დაწყევლილი მყავდა ყოველი ქართველი, რომელიც ისტორიულ ნივთს სამშობლოს დაუკარგავდა“.

მრავალ ჭირგადანახად მეცნიერს სამშობლოში კიდევ უფრო მძიმე ბედი ელოდა. ერთადერთი ქალიშვილის დაპატიმრება, საზოგადოებისგან გარიყვა და შიდაპატიმრობაში გატარებული უკანასკნელი წლები...

როდესაც ექვთიმე გარდაიცვალა, მის სახლთან მდგომი „ჩეკისტები“ ხალხს პანაშვიდზე შესვლას უკრძალავდნენ. ზამთრის ცივ და ქარიან დღეს სამშობლოსათვის თავდადებული გმირი სასაფლაომდე მხოლოდ 50-მდე კაცმა მიაცილა.

უზენაესი სიკეთისკენ მიმავალი გზა ექვთიმე თაყაიშვილმა ღირსებით განვლო და დღეს იგი ზნეობრივ გმირად იქცა.

ქართულ საზოგადოებას, ქართველ ახალგაზრდებს, დღეს, ისე როგორც არასდროს, სჭირდებათ ასეთი ღირსეული, სამაგალითო პიროვნებების გახსენება. ამ მიზანსაც ემსახურებოდა მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნულ სასახლეში საფრანგეთში მცხოვრებ ქართველთა სათვისტომოსთან არსებული ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის ფონდის დაარსების საზეიმო ცერემონიალის გამართვა.

დიდი მეცნიერის საფრანგეთში მოღვაწეობაზე, ექვთიმე თაყაიშვილის ფონდის დაარსების მნიშვნელობასა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საფრანგეთის სათვისტომოს ურთიერთობებზე უნივერსიტეტის პროფესორმა, ფონდის დაარსების ერთ-ერთმა ინიციატორმა ნანა გუნცაძემ ვრცლად ისაუბრა. როგორც მან აღნიშნა, უკვე რამდენიმე წელია, რაც საფრანგეთში მცხოვრებ ქართველთა სათვისტომოსა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის დამყარებული მეგობრული ურთიერთობა და თანამშრომლობა მემორანდუმის სახით განმტკიცდა. მემორანდუმის ფარგლებში რამდენიმე საინტერესო პროექტი განხორციელდა. სიმბოლურია ისიც, რომ სათვისტომომ, ფრანგული ფილოლოგიის მიმართულების საუკეთესო სტუდენტებისთვის, საფრანგეთში მცხოვრები ქართველი ემიგრანტის, საქართველოს სახელოვანი შვილის ექვთიმე თაყაიშვილის სტიპენდია დააარსა.

მისი თქმით, ცოდნა და მაღალი ზნეობა ის ძირითადი კრიტერიუმებია, რაც ჯანსაღ საზოგადოებას უნდა დაედოს საფუძვლად. სწორედ ამიტომ, საფრანგეთში მცხოვრებ ქართველთა სათვისტომოს მიერ დაარსებული ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის სტიპენდია უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის არა მარტო დიდი პატივი, არამედ უზარმაზარი პასუხისმგებლობაცაა.

ექვთიმე თაყაიშვილის ფონდის საზეიმო გახსნაზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებელმა ალექსანდრე კვიტაშვილმა მადლობა გადაუხადა საფრანგეთის ქართველთა სათვისტომოს და მის ამჟამინდელ პრეზიდენტს ოთარ ზურაბიშვილს იმ განსაკუთრებული ზრუნვისათვის, რაც მათ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტების მიმართ გამოიჩინეს.

„სიმბოლურია, რომ ექვთიმე თაყაიშვილის ფონდის დაარსებას იმ დარბაზში ვზეიმობთ, სადაც გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა. უნივერსიტეტისთვის საამაყოა, რომ ჩვენმა სტუდენტებმა მოიპოვეს ასეთი მაღალი ჯილდო. იმედია, ჩვენი ურთიერთობა მომავალშიც გაგრძელდება“, — აღნიშნა ალექსანდრე კვიტაშვილმა.

საფრანგეთის ქართველთა სათვისტომოს ამჟამინდელი პრეზიდენტის ოთარ ზურაბიშვილის ინფორმაციით, ექვთიმე თაყაიშვილის ფონდის მიერ დაარსებული სტიპენდია — 1300 ევრო ყოველწლიურად გადაეცემათ უნივერსიტეტის სტუდენტებს, რომლებიც დაინტერესებულნი არიან საფრანგეთის ისტორიითა და ლიტერატურით. „სტუდენტობა ჩვენი მომავალია, ამიტომ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მათ დამოკიდებულებას ამ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის გაღრმავების კუთხით. სწორედ ამ მიზნით დავაარსეთ ფონდი, რომელიც ექვთიმე თაყაიშვილის სახელს ატარებს. მისი ცხოვრება თითოეული ჩვენგანისთვის სამაგალითოდ უნდა იქცეს“, — აღნიშნა ოთარ ზურაბიშვილმა.

ᲬᲘᲒᲜᲘᲡ ᲗᲐᲠᲝ

ᲡᲝᲪᲠᲔᲐᲚᲘᲖᲛᲘᲡ ᲩᲐᲠᲩᲝᲔᲑᲨᲘ ᲛᲝᲥᲪᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲚᲐᲙᲢᲘᲝᲜᲘᲪ ᲒᲐᲨᲘᲤᲠᲔᲡ

ᲗᲐᲛᲐᲠ ᲓᲐᲓᲘᲐᲜᲘ

საბჭოთა ლიტერატურის უპირველესი მისწრაფება იყო კომუნიზმის იდეების ძლევამოსილების, ყველა სხვა წყობილებასთან შედარებით საბჭოთა საზოგადოებრივი წყობილების უპირატესობის ჩვენება. ლიტერატურას მართლაც უმთავრესი ადგილი ეჭირა საბჭოთა ეპოქის ხელოვნებაში და სხვა დარგებთან შედარებით იგი ყველაზე პოლიტიზებული და საბჭოთა სისტემაზე დამოკიდებული იყო.

საბჭოთა პერიოდის სალიტერატურო პროცესებისა და საბჭოთა ლიტერატურის სიღრმისეული ანალიზი ჯერ არ გაკეთებულა, მაგრამ სულ ახლახან გამოცემულმა მონოგრაფიამ „სოციალისტური რეალიზმის თეორიული ისტორია“, რომლის ავტორები ნანა გაფრინდაშვილი, მარიამ მირესაშვილი და ნინო წერეთელი არიან, საინტერესოდ გააშუქა სოციალისტური რეალიზმის თეორიული ისტორია ქართული ლიტერატურის მაგალითზე.

მკითხველისთვის, ალბათ, საინტერესო იქნება მონოგრაფიის ერთ-ერთი ავტორის, ქალბატონ ნანა გაფრინდაშვილის პასუხები ლიტერატურის ისტორიის აქტუალურ საკითხებზე.

— მკითხველს დაინტერესებს, თუ რატომ არის, დღეს, აქტუალური სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურის შესწავლა და რატომ არის ამ მიმართულებით კვლევა მნიშვნელოვანი?

— სოცრეალიზმის პერიოდის ქართული ლიტერატურის კვლევა, ძირითადად, მიმდინარეობდა საბჭოთა პერიოდში, საბჭოთა ლიტერატურათმცოდნეობა კი ისევე იყო იდეოლოგიზებული, როგორც თავად საბჭოთა ლიტერატურა: სისტემატური ხასიათი ჰქონდა მხატვრულ-ესთეტიკური ფაქტებისა და მოვლენების ცალმხრივ გაშუქებას, ჭეშმარიტი ესთეტიკური ფასეულობების მიჩქმალვასა და საეჭვო ღირებულებების მქონე ნაწარმოებების პროპაგანდას. საბჭოთა იმპერიის დაშლის შემდეგ უკვე საკმაო დრო გავიდა, შეიცვალა როგორც მკვლევარ-ფილოლოგთა, ასევე, მკითხველთა თაობა, რომლებსაც მრავალი კითხვა უჩნდებათ საბჭოთა პერიოდის ლიტერატურის ნიმუშებთან, მათი ინტერპრეტაციის პრობლემებთან დაკავშირებით. როგორც წესი, ამ კითხვებზე ადეკვატური პასუხის პოვნა შეუძლებელია საბჭოთა ლიტერატურათმცოდნეობით ნაშრომებში, რომელთა უმრავლესობა დღეს უკვე ანაქრონიზმს წარმოადგენს.

ქართული ლიტერატურის ისტორიის ეს პერიოდი ჯერ კიდევ არ არის საფუძვლიანად შესწავლილი. არ არსებობდა ფუნდამენტური განმაზოგადებელი თანამედროვე გამოკვლევა სოცრეალიზმის ქართული ლიტერატურის თეორიული ისტორიის შესახებ. ზემოაღნიშნული პრობლემა აქტუალურია იმდენად, რამდენადაც, თუ ამ ეპოქის ლიტერატურას არ შევისწავლით მიუკერძოებლად და არ შევაფასებთ თანამედროვე პოზიციებიდან, ვერ შევქმნით ქართული ლიტერატურის ისტორიის სრულყოფილ სურათს.

ეს პრობლემა მარტო ქართული ლიტერატურათმცოდნეობის წინაშე არ დგას. მას დიდი მონდომებით იკვლევენ მეცნიერები როგორც პოსტსაბჭოურ სივრცეში, ასევე, დასავლეთშიც.

მადლობა უნდა გადავუხადო რუსთაველის ფონდს, რომელმაც დააფინანსა ჩვენი პროექტი.

— რა აქცენტებს შეიცავს თქვენი ნაშრომი — სოციალისტური რეალიზმის თეორიული ისტორიის თაობაზე? რამ უნდა მიიპყროს მკითხველის ყურადღება ამ წიგნში?

— მონოგრაფია წარმოადგენს სოციალისტური რეალიზმის თეორიული ისტორიის შესწავლის პირველ ცდას ქართული ლიტერატურის მაგალითზე. აქედან გამომდინარე, მასში გამოკვლეულია საბჭოთა პერიოდის ქართული სალიტერატურო პროცესები და, კერძოდ, სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურა არა ფაქტებისა და სახელების სისრულის თვალსაზრისით, არამედ კონცეპტუალურად: კრიტიკულად არის შესწავლილი სოციალისტური რეალიზმის პერიოდის ქართული ლიტერატურა; XXI საუკუნის მხატვრულ-ესთეტიკური პოზიციებიდან ახლებურად, დეიდეოლოგიზებულად არის შეფასებული 1921-1991 წლების სალიტერატურო პროცესები, მისი ძირითადი მახასიათებლები, გადასინჯულია ტრადიციული შეხედულებები ქართული და უცხოური ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე მიღწევების გათვალისწინებით.

ჩვენ გამოკვლევას წმინდა სამეცნიერო ღირებულებასთან ერთად სასწავლო-საგანმანათლებლო დანიშნულებაც აქვს, რადგან ახალი თაობისთვის სახელმძღვანელოდ ვეღარ გამოდგება მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიული პოსტულატებით გაჯერებული ლიტერატურათმცოდნეობითი გამოკვლევები, რომლებიც დღეს მოძველებულია მორალურად, მეცნიერულად და მეთოდოლოგიურად.

— საბჭოთა იმპერიის არსებობის ბოლო პერიოდში ისეთი ნაშრომებიც გამოჩნდა, რომელშიც სოციალისტური რეალიზმის ობიექტური შეფასება და მწვავე კრიტიკა იყო მოცემული, მაგალითად, აკაკი ბაქრაძის მონოგრაფია „მწერლობის მოთვინიერება“. მისი აზრით, საბჭოთა ხელისუფლებამ დაამკვიდრა ინტელექტუალური ექსპლუატაცია და, ამავე დროს, ინტელექტუალური მონობის ინსტიტუტის შემოღებით შექმნა მეტად საშიში პრეცედენტი. ამ მხრივ, რა ლიტერატურულ გამოცდილებაზე შეიძლება საუბარი?

— ინტელექტუალური მონობა და „მწერლობის მოთვინიერება“ არ იყო მხოლოდ საბჭოთა მოვლენა. დაახლოებით იმავე დროს, როდესაც სსრკ-ში სოციალისტური რეალიზმი ყალიბდებოდა, ნაცისტურ გერმანიაში დამკვიდრება დაიწყო მხატვრულმა სტილმა, რომელიც თავისი არსით სოციალისტური რეალიზმის ანალოგიას წარმოადგენდა. იგი, ბუნებრივია, ორიენტირებული არ იყო კომუნიზმის აშენებაზე, მას სხვა მიზნები ჰქონდა, კერძოდ, წმინდა არიული სახელმწიფოს შექმნა, რომელსაც ექსპლოატაცია უნდა გაეწია დამორჩილებული ხალხებისათვის. სტალინსა და ჰიტლერს შესანიშნავად ესმოდათ, როგორი ფასდაუდებელი სამსახურის გაწევა შეეძლოთ ლიტერატურისა და ხელოვნების „მოთვინიერებულ“ წარმომადგენლებს მათი რეჟიმებისთვის. ორივე დიქტატორი კარგად აცნობიერებდა, რომ ხელოვნებისა და ლიტერატურის წარმომადგენლებს უფრო ეფექტურად გამოიყენებდნენ და ჩააყენებდნენ რეჟიმის სამსახურში, თუ მათ შესაბამის ორგანიზაციებშიც გააერთიანებდნენ. 1933 წელს მაისში გებელსმა პირდაპირ განაცხადა, რომ ახალი რეჟიმის მოთხოვნების შესატყვისად კულტურული ცხოვრების ყველა მოვლენა დაკავშირებული უნდა ყოფილიყო გააზრებულ პოლიტიკურ-იდეოლოგიურ პროპაგანდასთან. ასე რომ, ყველა რეჟიმი ცდილობს „მწერლობის მოთვინიერებას“.

— საბჭოთა სინამდვილეშიც იყვნენ მწერლები, რომლებიც ეძებდნენ გამოსავალს შემოქმედებითი თავისუფლების საზღვრები ნელ-ნელა გაეფართოებინათ. მათი შემოქმედება უდიდესი მნიშვნელობის კულტურულ მოვლენად იქცა. რა ფაქტორებმა განაპირობა საბჭოთა მწერლის ასეთი თამამი წარმოჩენა ლიტერატურული ინდივიდუალურობის თვალსაზრისით?

— კომუნისტური რეჟიმი ავალდებულებდა მწერლებს: აბსოლუტურად დამორჩილებოდნენ პარტიის დირექტივებს, აღეზარდათ ახალი ადამიანი სოციალიზმისა და კომუნიზმის სულისკვეთებით, უარი ეთქვათ ჭეშმარიტ ფასეულობებზე, შემოქმედებით თავისუფლებასა და ინდივიდუალურობაზე. კომუნისტური პარტია აიძულებდა მწერლებს, ხოტბა შეესხათ კომუნიზმის იდეისათვის და არ გადაეხვიათ სოციალისტური რეალიზმის პრინციპებიდან, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მრავალი მათგანი იჩენდა შემოქმედებით და მოქალაქეობრივ გმირობას და ააშკარავებდა კომუნიზმის ცრუ იდეებს. ტოტალიტარიზმის რეჟიმის ოდნავი შემსუბუქების დროს მწერლები ცდილობდნენ, თავი შეეფარებინათ ირონიის, პაროდიისა და ქვეტექსტისათვის, შეეცვალათ ნაწარმოების დაწერის თარიღი ან სათაური, უფრო უშიშრად გამოეყენებინათ ეზოპეს ენა, ტროპული სახეები ანდა ეპიგრაფის, იგავის, თარგმანებისა თუ საბავშვო ლიტერატურის საშუალებით ეთქვათ თავიანთი სათქმელი.

სოციალისტური რეალიზმის მონოლითურობას შესამჩნევი ბზარები 50-იანი წლებიდან გაუჩნდა. მიუხედავად იდეოლოგიური წნეხისა, სულ უფრო ხშირად ჩნდებოდა ნაწარმოებები, რომლებიც არა თუ ბოლომდე არ უპასუხებდნენ, არამედ იგნორირებას უკეთებდნენ სოცრეალიზმის მთავარ მოთხოვნებს.

ᲛᲔ-15 ᲒᲕᲔᲠᲓᲖᲔ

დიდი ქიმიკოსის დღემდე განვლილი გზა

27 ოქტომბერს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სხდომათა დარბაზში ჩატარდება აკადემიკოს გიორგი ციციშვილის დაბადებიდან 95 წლისთავისა და მისი 70-წლიანი სამეცნიერო-საზოგადოებრივი მოღვაწეობის აღსანიშნავი იუბილე, რომელსაც საქართველოს უნივერსიტეტებიდან და აკადემიის ინსტიტუტებიდან სამეცნიერო წრის წარმომადგენლები დაესწრებიან.

გიორგი ციციშვილი გახლავთ პეტრე მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის საპატიო დირექტორი, აგრეთვე საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიური საბჭოს მრჩეველი. 1940 წლიდან იგი ათეული წლის განმავლობაში მუშაობდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და უანგაროდ ემსახურებოდა ქიმიკოსთა ახალგაზრდა თაობის აღზრდას. გიორგი ციციშვილი სათავეში ედგა საქართველოში ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიების განვითარებას. დიდია მისი წვლილი ნივთიერების აღნაგობის შესწავლასა და სორბციული პროცესების კვლევის დარგში. მის მიერ არის შექმნილი საქართველოში სორბციული პროცესების კვლევის სკოლა, რაც არაერთხელ აღნიშნა მსოფლიოში ცნობილმა მეცნიერმა, აკადემიკოსმა მიხეილ დუბინინმა.

რექტორის მოვალეობის შემსრულებლის ალექსანდრე კვიტაშვილის თაოსნობით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კოლექტივი და ქიმიის დეპარტამენტი ბატონ გიორგი ციციშვილს უსურვებს დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობასა და ნარმატებას კვლავაც სამეცნიერო მოღვაწეობაში.

„სიბერე შემომეპარა... ძნელი გადასატანია ადამიანისთვის, როცა გრძნობს, რომ მხედველობასა და მეხსიერებას კარგავს... ძნელია ჩემთვის იმის გაფიქრებაც, რომ სამეცნიერო საქმიანობის გასაგრძელებლად ენერგია და ჯანი აღარ მყოფნის. მე ქების დიდი მოყვარული არ ვარ, მაგრამ მაინც დიდი მადლობა მინდა გადავუხადო მათ, ვინც ჩემი იუბილის აღნიშვნა ითავა“, — გვითხრა ჩვენთან საუბრისას მხცოვანმა მეცნიერმა.

ვინ იყო გიორგი ციციშვილი და რა გზა გაიარა მან სამეცნიერო კუთხით, ამის შესახებ დაწვრილებით ცნობები მისმა კოლეგებმა მოგვაწოდეს.

გიორგი ვლადიმერის ძე ციციშვილი

გამოჩენილ ქართველ მეცნიერს, ცნობილ ქიმიკოსს, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსს, საქართველოს მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს გიორგი ციციშვილს დაბადებიდან 95 წელი უსრულდება.

გიორგი ციციშვილი დაიბადა თბილისში, ცნობილი ექიმის ლადო და მუსიკოსის ქსენია ციციშვილების ოჯახში 1915 წლის 24 ოქტომბერს, 1937 წელს წარმატებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიის ფაკულტეტი, ჩაირიცხა ასპირანტურაში, მიავლინეს ქ. მოსკოვში — ლ. კარპოვის სახელობის სამეცნიერო-კვლევით ფიზიკურ-ქიმიურ ინსტიტუტში, სადაც მოამზადა და დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. შემდეგ გააგრძელა კვლევები თეორიული და ექსპერიმენტული ქიმიის დარგში და 1947 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია.

1940 წლიდან გიორგი ციციშვილი მუშაობას იწყებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიის ფაკულტეტზე, 1941 წლიდან – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ქიმიის ინსტიტუტში, რომლის დირექტორად 1947 წელს დაინიშნა; მისი ხელმძღვანელობით ჩატარდა დიდი სამუშაო ინსტიტუტის სტრუქტურის და ძირითადი სამეცნიერო მიმართულებების დასახვეწად, ასევე, კვლევების ბაზის შესაქმნელად.

1950 წელს გიორგი ციციშვილი აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, 1960 წელს – აკადემიკოსად, ხოლო 1963 წელს – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წევრად და ამავე წელს ჩამოყალიბებული ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიის განყოფილების აკადემიკოს-მდივნად. თითქმის სამი ათეული წლის განმავლობაში გიორგი ციციშვილი სათავეში ედგა საქართველოში ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიების განვითარებას. 1989 წლიდან იგი არის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის მრჩეველი და პეტრე მელიქიშვილის სახელობის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის საპატიო დირექტორი.

ენციკლოპედიაში „მსოფლიოს გამოჩენილი ქიმიკოსები“ (მოსკოვი, 1991 წ.) აღნიშნულია გიორგი ციციშვილის ფუნდამენტური შრომები ნივთიერების აღნაგობის შესწავლაში – მოლეკულათაშორისი წყალბადური ბმის წარმოქმნის დროს წყალბადშემცველი ჯგუფის პოტენციური მრუდის ცვლილება და ვალენტური რხევების სიხშირის შემცირება (1939-1942 წწ.), ჰალოგენწყალბადების ასოციაციის თეორიული დასაბუთება და მათი ფიზიკურ-ქიმიური პარამეტრების გაანგარიშება (1942-1950 წწ.), მოლეკულებს შორის განზიდვაზე პოლარობის გავლენის შესახებ ამოცანის ჩამოყალიბება და მისი გადაწყვეტის კვანტურ-ქიმიური მეთოდის შემუშავება (1944-1947), ასევე შრომები სორბციული პროცესების კვლევის დარგში (1950 წლიდან). ცნობილი მეცნიერის, აკადემიკოს მიხეილ დუბინინის თქმით, „გიორგი ციციშვილმა შექმნა საქართველოს ადსორბციული სკოლა, რომელსაც მნიშვნელოვანი ადგილი უკავია“.

გიორგი ციციშვილის ხელმძღვანელობით აღიზარდა მაღალი კვალიფიციური კადრები და შეიქმნა ექსპერიმენტული ბაზა თანამედროვე ფიზიკურ-ქიმიური კვლევების ჩასატარებლად, გამოკვლეულია სორბციული პროცესების სტატიკა, კინეტიკა და ენერგეტიკა. გამოკვლევის ობიექტებს წარმოადგენს საქართველოს მონტმორილონიტური და სხვა თიხები, სინთეზური და ბუნებრივი ცეოლითები, ცეოლითმაგვარი და სხვა მასალები; მათი აღნაგობა და თვისებები გამოკვლეულია სორბციული, ქრომატოგრაფიული, სხვადასხვა სპექტრული, თერმოგრაფიული, კატალიზური და სხვა მეთოდებით; აგრეთვე ჩატარებულია მუშაობის დიდი ციკლი მოლეკულური საცრების – ადსორბენტების, იონმიმომცვლელებისა და კატალიზატორების მისაღებად, მიმდინარეობს მათი, განსაკუთრებით საქართველოს ბუნებრივი ცეოლითების გამოყენების შესაძლებლობების შესწავლა. გიორგი ციციშვილის პირველი მონოგრაფია — „სორბციული პროცესები“ (თბილისი, 1959), დღესაც არის სამაგიდო წიგნი დარგის სპეციალიტებისათვის, ხოლო „ბუნებრივი ცეოლითები“-ს ინგლისურმა თარგმანმა (1992 წ.) საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოების მაღალი შეფასება დაიმსახურა.

გიორგი ციციშვილის და მისი თანამშრომლების სამეცნიერო ნაშრომები დაჯილდოებულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პეტრე მელიქიშვილის (1965 წ.) და ალექსანდრე თვალჭრელიძის (1987 წ.) სახელობის პრემიებით, გიორგი ციციშვილის სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობა – მრავალი მედლით და ორდენით, მათ შორის საქართველოს „ღირსების“ ორდენით (1995 წ.).

გიორგი ციციშვილმა დიდი ძალა მოახმარა სამეცნიერო-ორგანიზაციულ მუშაობას – მისი ინიციატივით 1953 წლიდან ტარდებოდა საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის მეცნიერებათა აკადემიების ქიმიის ინსტიტუტების გაერთიანებული სამეცნიერო სესიები, 1963 წლიდან ხელმძღვანელობდა საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის ადსორბენტების სამეცნიერო საბჭოს ცეოლითების სექციას, 1975 წლიდან მისი ინიციატივით გამოდის ჟურნალი „საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ქიმიის სერია“, 1977 წელს არჩეულია ცეოლითების საერთაშორისო ასიციაციის საბჭოს წევრად, 1992 წელს მან ჩამოაყალიბა ცეოლითების საქართველოს ასოციაცია, რომელიც მისი თაოსნობით გახდა ევროპის ცეოლითების ასოციაციათა გაერთიანების წევრი 1998 წელს; 1992 წლიდან გიორგი ციციშვილი რედაქტორია ოთხენოვანი (ქართული, რუსული, ინგლისური, გერმანული) ქიმიური ლექსიკონის, რომელიც 2004 წელს დაიბეჭდა.

გიორგი ციციშვილი აქტიურ მონაწილეობას იღებს სამეცნიერო ფორუმების ორგანიზებასა და მუშაობაში, მათ შორის, აღსანიშნავია, თბილისში, სოხუმსა და საქართველოს სხვა ქალაქებში ჩატარებული კონფერენციები და სიმპოზიუმები, რომლებიც ეძღვნებოდა ცეოლითების კვლევებსა და გამოყენებას; ასევე UPAC-ის კონგრესი (მოსკოვი, 1965 წ.); საერთაშორისო კონფერენციები ზედაპირულ მოვლენებში (ბრისტოლი, 1969 წ.); მოლეკულურ საცრებში (ვუსტერი, აშშ, 1970 წ. ციურიხი, 1973 წ. და სხვ.); ადსორბციაში (ფლორენცია, 1971 წ.); პირველი საერთაშორისო კონფერენცია ბუნებრივ ცეოლითებში (ტუსონი, აშშ, 1976 წ.) და მრავალი სხვა.

გიორგი ციციშვილი ყოველთვის დიდ ყურადღებას უთმობდა პედაგოგიურ მოღვაწეობას. 1940 წლიდან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიის ფაკულტეტზე (გიორგი ციციშვილი ამ ფაკულტეტის პროფესორი 1949 წელს გახდა) მას წაკითხული აქვს ლექციების სხვადასხვა კურსი. აღსანიშნავია, რომ 1996 წელს თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობამ გამოაქვეყნა გიორგი ციციშვილის მონოგრაფია „კვანტური ქიმია“.

ვუღოცავთ სახელოვან უიბილეს ბატონ გიორგის, რომელმაც დიდი ღვაწლი დასდო საქართველოში ქიმიური მეცნიერების წინსვლას. იგი დღესაც შემოქმედებით ძიებაშია და კვლავაც მნიშვნელოვან საქმიანობას ეწევა ქართული მეცნიერების სასიკეთოდ.

როგორ გამოეხმაურება საქართველოს მთავრობა ევროპის ლექსიკოგრაფიული ასოციაციის მხარდამჭერ წერილს

თამარ დადიანი

თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ქართველმა ლექსიკოგრაფებმა დაარსეს ინგლისურ-ქართული ლექსიკოგრაფიის ცენტრი, რომელიც მალე თარგმნითი ლექსიკოგრაფიის ცენტრი გახდება. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა წელს პირველად გამოაცხადა მიღება სამაგისტრო პროგრამაზე: ენა და ლექსიკოგრაფია. ეს მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯია ლექსიკოგრაფიის, როგორც დარგის განვითარებისთვის. უნივერსიტეტისა და ენათმეცნიერების ინსტიტუტის სპეციალისტები (პროფესორების — თინათინ მარგალიტაძისა და ავთანდილ არაბულის ხელმძღვანელობით) მუშაობენ სადოქტორო პროგრამაზე ლექსიკოგრაფიაში, რომელზეც ახალი წლიდან დოქტორანტების მიღება გამოცხადდება. მათ უნივერსიტეტის აკადემიური საზოგადოებისა და ადმინისტრაციის სრული მხარდაჭერა აქვთ. აღნიშნული სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების მიზანია მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება სხვადასხვა ლექსიკოგრაფიული პროექტებისთვის.

ახალი ლექსიკონების პრეზენტაციების ციკლის შემდეგ, რომელიც მიმდინარე წლის აპრილში დიდი ინგლისურ-ქართული ონლაინ-ლექსიკონის პრეზენტაციით დასრულდა, მოვლენები ძალზედ საინტერესოდ განვითარდა. დაიწყო ახალი ეტაპი — ბრძოლა ლექსიკოგრაფიის, როგორც დარგის განვითარებისთვის საქართველოში.

მიმდინარე წლის მაისში ქართველი ლექსიკოგრაფები ბათუმში შეიკრიბნენ, სადაც გაიმართა „ბათუმის I საერთაშორისო სიმპოზიუმი ლექსიკოგრაფიაში“. სიმპოზიუმს ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი მასპინძლობდა. სიმპოზიუმის მუშაობაში სხვა ევროპელ მეცნიერებთან ერთად მონაწილეობა მიიღო დიდმა ინგლისელმა მეცნიერმა დონალდ რეიფილდმა, რომელმაც, ქართველ კოლეგებთან ერთად, 2006 წელს ლონდონში გამოსცა დიდი ქართულ-ინგლისური ორტომიანი ლექსიკონი.

სიმპოზიუმს წინ უძღოდა ქართველ ლექსიკოგრაფთა აქტიური საქმიანობა ამ მიმართულებით, რომლის შედეგადაც გამოიცა ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის ახალი რედაქციის I ტომი, დიდი ქართულ-ინგლისური ლექსიკონი (რომელიც ლონდონში გამოიცა 2006 წელს), დიდი ინგლისურ-ქართული ონლაინ-ლექსიკონი და სხვა დარგობრივი ლექსიკონები, ასევე მომზადდა ნიადაგი ელექტრონული ლექსიკოგრაფიის განვითარებისათვის ჩვენს ქვეყანაში.

მე-15 გვერდზე

რადიო „თავისუფლების“ პრეზიდენტი მხოლოდ სიმართლის ხმას უსმენს

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს რადიო „თავისუფალი ევროპა – რადიო თავისუფლების“ პრეზიდენტი, დოქტორი ჯეფრი გედმინი ეწვია. რადიო „თავისუფლების“ პრეზიდენტი თსუ-ში სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკის მიმართულების სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს შეხვდა. უცხოელი კოლეგა სტუდენტებს ესაუბრა თემაზე — „თავისუფალი მედიის როლი დემოკრატიის განვითარებაში“. თსუ-ის აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით, ბატონ ჯეფრი გედმინს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის წოდება მიენიჭა.

ნატო ოგოლაძე

თსუ-ის საპატიო დოქტორის წოდების მინიჭების თაობაზე ინფორმაცია ბატონი ჯეფრი გედმინისთვის წინასწარ ცნობილი არ ყოფილა. მოულოდნელ საჩუქართან ერთად რადიო „თავისუფლების“ პრეზიდენტისთვის უნივერსიტეტში არსებული ვითარებაც მოსალოდნელზე უკეთესი და საინტერესო აღმოჩნდა.

„ჩემთვის დიდი პატივია აქ ყოფნა, რადგან ვიცი, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი დიდი ტრადიციებისა და ისტორიის მქონე უმაღლესი სასწავლებელია. ჯილდო, რომელიც თქვენ გადმომეცით, მინდა გავუზიარო ჩემს კოლეგებს, რომლებიც რადიო „თავისუფლებაში“ მუშაობენ. ამ ადამიანებს ერთი მიზანი აერთიანებთ: მათ უყვართ სიმართლე და უყვართ ჟურნალისტიკა. ჩემთვის ძალიან დიდი პატივია ქართველ კოლეგებთან ერთად მუშაობა. ბატონი დავით კაკაბაძე და ქალბატონი მარინა ვაშაყმაძე გამოირჩევიან მაღალი პროფესიონალიზმით და მე ვამაყობ, რომ მათთან ერთად მიწევს მუშაობა,“ — აღნიშნა ჯეფრი გედმინმა.

შეხვედრა რადიო „თავისუფლების“ პრეზიდენტთან ერთი საათის განმავლობაში მიმდინარეობდა. ჯეფრი გედმინმა თსუ-ის პროფესორ-მასწავლებლებსა და სტუდენტებს ის პრინციპები და მიზნები გააცნო, რითაც რადიო „თავისუფლების“ ჟურნალისტები ხელმძღვანელობენ. ამჟამად, რადიო „თავისუფლება“ რამდენიმე ქვეყანაში მაუწყებლობს. როგორც ჯეფრი გედმინმა აღნიშნა, მათთვის მთავარია — მოიცვან ყველა ის ქვეყანა, სადაც სანდო და სწორი ინფორმაციის მიღებაზე არსებობს მოთხოვნილება.

„დავით კაკაბაძისა და მარინა ვაშაყმაძის იდეა გახლავთ, რომ დავიწყოთ რუსულენოვანი მაუწყებლობა, რომელიც კონფლიქტურ ტერიტორიებს — აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს მოიცავს. ამ შემთხვევაშიც იგივე მიზანი გვამოძრავებს — გავავრცელოთ სწორი ინფორმაცია. გაგიმხელთ, რომ სწორედ ამ მიზნით ჩამოვედი საქართველოში,“ — განაცხადა ჯეფრი გედმინმა.

შეხვედრაზე რადიო „თავისუფლების“ პრეზიდენტმა დემოკრატიის განვითარებისთვის თავისუფალი მედიის დანიშნულებაზე ისაუბრა. მოკლე მიმოხილვის შემდეგ საუბარი კითხვა-პასუხის რეჟიმში გადაიზარდა. სტუდენტებმა სტუმართან ერთად ჟურნალისტური ეთიკის, ქართულ ჟურნალისტიკაში არსებული ვითარების, ზეწოლის პირობებში ჟურნალისტების საქმიანობისა და, ზოგადად, დემოკრატიის ხარისხის გაუმჯობესების შესახებ იმსჯელეს.

„დემოკრატია, უპირველესად, ეს არის ჩვევები, ფასეულობები, რომელზე მოთხოვნილებაც საზოგადოებაში უნდა არსებობდეს. მათ უნდა სურდეთ, რომ ეს ფასეულობები დაიცვან. რა თქმა უნდა, ამ კუთხით დემოკრატიულ ინსტიტუტებსაც დიდი მნიშვნელობა ენიჭებათ, თუმცა მიმაჩნია, რომ უმთავრესი როლის შესრულება თავისუფალ მედიას ეკუთვნის,“ — განაცხადა რადიო „თავისუფლების“ პრეზიდენტმა.

ჯეფრი გედმინი თბილისში ქართველი ჟურნალისტების მხარდასაჭერად და საქართველოში არსებული ვითარების გასაცნობად ჩამოვიდა. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს იგი 7 ოქტომბერს ეწვია. როგორც თავად აღნიშნა, მისთვის საკმაოდ საინტერესო იყო საქართველოს დედაქალაქში ვიზიტი, რადგან ქართველ კოლეგებთან შეხვედრისას ბევრი ახალი და საინტერესო ინფორმაციის მიღება მოახერხა.

„ჩვენთვის დიდი პატივია ბატონი ჯეფრი გედმინის სტუმრობა. იგი ძალიან საინტერესო ადამიანი გახლავთ. ჯეფრი გედმინი 2007 წლიდან გახლავთ რადიო „თავისუფლების“ პრეზიდენტი. ეს საკმაოდ ძლიერი მედია-საშუალებაა, რომელიც დიდ გავლენას ახდენს ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკაზე. აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით, იგი თსუ-ის საპატიო დოქტორად ავირჩიეთ. მასთან შეხვედრა ძალიან საინტერესო გახლდათ,“ — განაცხადა თსუ-ის რექტორის მოვალეობის შემსრულებელმა ალექსანდრე კვიტაშვილმა.

რადიო „თავისუფლების“ პრეზიდენტი სხვადასხვა დროს სათავეში ედგა ასპენის ინსტიტუტს (ბერლინი, გერმანია), American Enterprise Institute-ის (ვაშინგტონი, აშშ) ახალი ატლანტიკური ინიციატივის პროგრამას. იგი არის ათობით პუბლიცისტური და ანალიტიკური სტატიის ავტორი აშშ-ის საგარეო პოლიტიკისა და სახალხო დიპლომატიის თემებზე, ასევე, თანამედროვე საზოგადოებაში მასმედიის როლზე. მისი წერილები იბეჭდება აშშ-ისა და ევროპის ავტორიტეტულ პერიოდულ გამოცემებში. ჯეფრი გედმინი გახლავთ წიგნის „ფარული ხელი: გორბაჩოვი და აღმოსავლეთ გერმანიის დასასრული“ ავტორი. მისი რედაქტორობით გამოიცა ესეების კრებული „ევროპის ინტეგრაცია და ამერიკის ინტერესი“.

„სწავლა სიკვდიმდე შენია!“ – თსუ-ის აკადემიური განვითარებისა და უწყვეტი განათლების ცენტრის მთავარი მესიჯი

თანამედროვე მსოფლიოში, როდესაც შრომითი ბაზრის მოთხოვნები მუდმივად ცვალებადია, განსაკუთრებული მოთხოვნები გაჩნდა განათლების სისტემის მიმართ. ადამიანს ნებისმიერ ასაკში მარტივად უნდა შეეძლოს საჭირო კვალიფიკაციის ან გადამზადების მიღება მისთვის ხელსაყრელ დროს. სწორედ ამის გამო ბოლონიის პროცესმა გარდამტეხი ცვლილებები შეიტანა განათლების სფეროში და დაიწყო უწყვეტი განათლების კონცეფციის დანერგვა. ბოლონიის პროცესის თანახმად, უწყვეტი განათლების პრინციპების დანერგვა უნივერსიტეტების მისიისა და სტრატეგიების მნიშვნელოვანი ნაწილი უნდა გახდეს. ამ მიზნით უკვე წელიწადზე მეტია, რაც თსუ-ში შექმნილია აკადემიური განვითარებისა და უწყვეტი განათლების ცენტრი, რომელსაც 2010 წლის ივლისიდან ქეთევან ცინცაძე ხელმძღვანელობს.

ბოლო წლებში საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში განხორციელებული ცვლილებების გამო თსუ საკმაოდ კონკურენტულ გარემოში აღმოჩნდა, როგორც აკადემიური, ასევე, ფინანსური თვალსაზრისითაც. შესაბამისად, გაჩნდა მოთხოვნა, რომ გარდა საუნივერსიტეტო განათლებისა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა უზრუნველყოს საზოგადოების ფართო ფენების - სხვადასხვა სოციალური და ასაკობრივი ჯგუფების მომსახურება, მათთვის „მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის“, უწყვეტი განათლების პირობების შექმნის გზით. გარდა იმისა, რომ უწყვეტი განათლების სისტემის დანერგვით შესაძლებელი გახდება უნივერსიტეტის როლისა და მნიშვნელობის გაძლიერება, უწყვეტი განათლების პროგრამების საშუალებით შესაძლებელი გახდება დამატებითი ფინანსების მოზიდვაც უნივერსიტეტის ბიუჯეტში.

დღეისათვის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ჩართულია ევროპის უნივერსიტეტთა და მისი პარტნიორი ორგანიზაციების მიერ ორგანიზებულ პროექტ “SIRUS“–ში (ინკლუზიური და შესაბამისი საუნივერსიტეტო სტრატეგიების ფორმულირება), რომელიც ითვალისწინებს პროექტში მონაწილე უნივერსიტეტებისათვის უწყვეტი განათლების სტრატეგიების შემუშავებისა და იმპლემენტაციის პროცესში ხელშეწყობას. პროექტში მონაწილეობს 18 ქვეყნის 29 უნივერსიტეტი.

როგორც თსუ-ის აკადემიური განვითარებისა და უწყვეტი განათლების ცენტრის ხელმძღვანელი ქეთევან ცინცაძე აღნიშნავს, აკადემიური განვითარებისა და უწყვეტი განათლების პროგრამები შეიძლება ორ ძირითად კატეგორიად გავყოთ: შიდასაუნივერსიტეტო უწყვეტი განათლება და უწყვეტი განათლება ფართო საზოგადოებისათვის.

„შიდასაუნივერსიტეტო უწყვეტი განათლება მიზნად ისახავს თსუ–ის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის, სამსახურში ახლადაყვანილი თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლებაზე, მათ პიროვნულ და პროფესიულ ზრდაზე ზრუნვას, რისი შედეგიც სწავლებისა და კვლევის ხარისხის ამაღლება, მომსახურების გაუმჯობესება იქნება. ხოლო უწყვეტი განათლება ფართო საზოგადოებისათვის ითვალისწინებს გარკვეული დარგობრივი ან ზოგადი უნარების განვითარების კუთხით მოკლე და გრძელვადიანი კურსების, ტრენინგების, პროგრამების, საზაფხულო სკოლების, დისტანციური სწავლების კურსების და სხვ. ორგანიზებას, რომელთა სპექტრი, შესაძლოა, საკმაოდ მრავალფეროვანი იყოს უნივერსიტეტის სპეციფიკიდან გამომდინარე. ამჯერად, მაგალითად, გამოცხადებული გვაქვს მიღება მასწავლებელთა პროფესიული განვითარების 13 აკრედიტებულ პროგრამაზე. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტურიზმის საერთაშორისო სკოლასთან მჭიდრო თანამშრომლობის ბაზაზე გამოვაცხადეთ მიღება ტურიზმის ოთხ სასერთიფიკატო პროგრამაზეც, რომელთაგან სამი ერთწლიანია (ტურის მეგზური, ტურიზმის მენეჯმენტი, კურორტებისა და სასტუმროს მენეჯმენტი), ერთი კი 10 დღიანი (ტურისტული დანიშნულების ადგილების მენეჯმენტი და ტურიზმის პოლიტიკა). ახლო მომავალში ჩვენს მიერ საზოგადოებისათვის შეთავაზებული პროგრამები საგრძნობლად გამრავალფეროვნდება“ – აღნიშნა ქეთევან ცინცაძემ.

ცნობისთვის: ცენტრს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ელექტრონული ფოსტის საშუალებით: tsuLLL@tsu.ge ან მიაკითხოთ მისამართზე: ი. ჭავჭავაძის გამზირი 3, თსუ II კორპუსი, ოთახი - 320, ტელ: 22 36 52

პროგრამის პრეზენტაცია მკვლევრების სტიმულირებისთვის

1 ოქტომბერს ღია საზოგადოების აკადემიური მხარდაჭერის პროგრამის ორგანიზებით ფონდ „ღია საზოგადოება-საქართველოში“ გაიმართა პროგრამა „ცენტრალური აზიისა და კავკასიის კვლევისა და სწავლების ინიციატივის“ პრეზენტაცია. პრეზენტაციას უძღვებოდნენ პროგრამის უფროსი მენეჯერი ოლექსანდრ სტოკვიჩი და ჰარვარდის უნივერსიტეტის ცენტრალური აზიისა და კავკასიის პროგრამის დირექტორი ჯონ შობერლაინი. პრეზენტაციას ესწრებოდნენ განათლების სამინისტროს წარმომადგენლები, საქართველოს უნივერსიტეტების პროფესორ-მასწავლებლები, მკვლევრები და სტუდენტები.

„პროგრამა „ცენტრალური აზიისა და კავკასიის კვლევისა და სწავლების ინიციატივა“ ქართველ მკვლევრებს სთავაზობს სტიპენდიებს სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებებში კვლევის წარმოებისათვის. პროგრამის ხელმძღვანელობა კონკურსის საფუძველზე შერჩეულ მკვლევრებს დაუნიშნავს კვლევის საერთაშორისო ხელმძღვანელს, დაუფინანსებს კვლევისათვის საჭირო მასალებს და, ასევე, ერთი სემესტრის განმავლობაში სტაჟირებას იმ ხელმძღვანელთა მიწვევით, რომლებიც კვლევაში მათ ეხმარებიან“, — აღნიშნავს პრეზენტაციის ორგანიზატორი, აკადემიური მხარდაჭერის პროგრამის ხელმძღვანელი კავკასიის რეგიონში მაგდა მაღრაძე.

ცენტრალური აზიისა და კავკასიის კვლევისა და სწავლების ინიციატივის პროგრამისათვის საბუთების წარდგენის ბოლო ვადაა 2010 წლის 10 ნოემბერი. დამატებითი ინფორმაციის მისაღებად იხილეთ: http://oas.soros.org/oas/.

იტალიელმა სტუმრებმა საქართველოს გაცნობა თსუ-დან დაიწყეს

„ქართული კულტურის ცენტრი“ ქალაქ მილანში ქართველი ემიგრანტი პროფესორის, ან გარდაცვლილი ნინო ყაუხჩიშვილის ინიციატივით 2006 წელს დაარსდა და დღესაც აქტიურად ეწევა ქართული კულტურის პოპულარიზაციას.

დელეგაციის წევრების — იტალიელ პროფესორ-მასწავლებელთა საქართველოში ვიზიტს ტურისტულ-შემეცნებითი ხასიათი ჰქონდა.

„დღეს იმდენად დიდია ინტერესი საქართველოს კულტურის, ეთნოსის მიმართ, რომ იტალიელ პროფესორ-მასწავლებელთა დიდმა ნაწილმა სურვილი გამოთქვა — მონაწილეობა მიეღო ამ მოგზაურობაში. იტალიელ პროფესორთა ჯგუფი შეხვდა პროფესორ რისმაგ გორდეზიანს, რომელიც აქტიურად თანამშრომლობს იტალიაში „ქართული კულტურის ცენტრთან“. დელეგაციის წევრების უმეტესობისათვის ეს საქართველოში პირველი ვიზიტია და მათ ქვეყნის გაცნობა უნივერსიტეტიდან დაიწყეს“, — აღნიშნა ნუნუ გელაძემ.

შეხვედრაზე პროფესორმა რისმაგ გორდეზიანმა საინტერესოდ ისაუბრა საქართველოს ისტორიისა და ხელოვნების საკითხებზე, სულიერი კულტურის განვითარების მნიშვნელოვან ეტაპებზე, ქართული კულტურის პროპაგანდის აუცილებლობაზე.

იტალიელმა პროფესორმა ფრანჩესკა მელციმ მადლობა გადაუხადა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტის კოლექტივს, მის ხელმძღვანელს, პროფესორ რისმაგ გორდეზიანს გულთბილი მიღებისა და საინტერესო საუბრისთვის.

შეხვედრაზე ისაუბრეს ორ მხარეს შორის თანამშრომლობის განვითარების პერსპექტივასა და კულტურულ გაცვლით პროგრამებზეც, რათა გაგრძელდეს ის ტრადიციები, რომელსაც ათეული წლის წინ ჩაუყარა საფუძველი პროფესორმა ნინო ყაუხჩიშვილმა.

„დარწმუნებული ვარ, რომ იტალიელი პროფესორები ქართული კულტურის გაცნობის შემდეგ დიდ პროპაგანდას გაუწევენ ჩვენი ქვეყნის ისტორიას, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ევროპულ სივრცეში ღირსეულად დამკვიდრებისთვის“, — აღნიშნა პროფესორმა რისმაგ გორდეზიანმა.

ვიზიტის ფარგლებში იტალიელმა პროფესორებმა მოინახულეს მცხეთა, ქუთაისი, უფლისციხე, დავით გარეჯას სამონასტრო კომპლექსი, ყაზბეგი და სხვა ღირსშესანიშნავი ადგილები.

გერმანულ-კავკასიური საზაფხულო სკოლა ევროპულ სამართალს ეძებს

26 სექტემბრიდან 3 ოქტომბრამდე, ბათუმში, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შენობაში გაიმართა ღონისძიება სახელწოდებით — „გერმანულ-კავკასიური საზაფხულო სკოლა — „ევროპული სისხლის სამართალი“. ღონისძიების გამართვა ჯერ კიდევ გასული წლის დეკემბერში ბერლინის ჰუმბოლდტის უნივერსიტეტის პროფესორების მარტინ ჰეგერისა და ბერნდ ჰაინრიხის თსუ-ში ვიზიტის დროს დაიგეგმა, როდესაც მათ მონაწილეობა მიიღეს რუსთაველის ფონდის სამეცნიერო საგრანტო პროექტის — „ევროპული სისხლის სამართლის განვითარებისათვის საქართველოში“ ფარგლებში ჩატარებულ სამეცნიერო კონფერენციაში. ღონისძიების ორგანიზებაში მონაწილე ქართული მხარე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი გახლდათ. პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელი იყო პროფესორი მერაბ ტურავა. კონფერენცია მიეძღვნა ევროპული სისხლის სამართლის საკითხებს. გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახურმა ფინანსური მხარდაჭერა გაუწია საზაფხულო სკოლის ჩატარებას, სადაც ქართველებთან ერთად სამხრეთ კავკასიის ორივე სახელმწიფოს – აზერბაიჯანისა და სომხეთის წარმომადგენლებიც მონაწილეობდნენ.

როგორც ბათუმში გამართულ ღონისძიებაზე აღინიშნა, გერმანულ-კავკასიური საზაფხულო სკოლის მიზანია სამხრეთ კავკასიის სამივე სახელმწიფოს ახალგაზრდებს შორის სამეცნიერო კავშირის გაღრმავება და მონაწილეების მიერ სისხლის სამართლის სფეროში ევროპის კავშირის ნორმებისა და სამართლებრივი მექანიზმების შესწავლა. ღონისძიების ორგანიზატორთა აზრით, მართალია, სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოები არ არიან ევროკავშირის წევრები, მაგრამ მის მოქალაქეებს მჭიდრო ურთიერთობები აქვთ ევროკავშირის სახელმწიფოებთან. ეს ურთიერთობები წარმოშობს დანაშაულის ჩადენის შემთხვევებს, ამიტომ ამ სამივე სახელმწიფოში იურისტები ისე უნდა მოემზადონ, რომ მათ სისხლის სამართლის სფეროში სამართლებრივიურთიერთთანამშრომლობაშეძლონ.

კონფერენციის მონაწილეებმა მოისმინეს ბერლინის ჰუმბოლდტის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორების ლექციები ევროპულ სისხლის სამართალზე ევროპის საბჭოს ფარგლებში. ლექციებს ესწრებოდნენ ბერლინის ჰუმბოლდტის უნივერსიტეტში გაგზავნილი, წინასწარი კონკურსის წესით შერჩეული სამართლის მაგისტრატურის სტუდენტები და პრაქტიკოსი იურისტები საქართველოდან, სომხეთიდან და აზერბაიჯანიდან. აუდიტორიისათვის მნიშვნელოვანი იყო, თეორიულ მასალასთან ერთად, სტრასბურგისა და ლუქსემბურგის სასამართლოების პრეცედენტული სამართლის შესწავლა.

„ევროპული სისხლის სამართლის“ საზაფხულო სკოლის ორგანიზატორის დავით ჩიხლაძის ინფორმაციით, ევროპული სისხლის სამართალი იყოფა ორ ნაწილად: ევროპის საბჭოს ფარგლებში და ევროპის კავშირის ფარგლებში. პირველი ეფუძნება ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას, რომლის დარღვევაც იწვევს სტრასბურგის სასამართლოს იურისდიქციის ამოქმედებას, ხოლო მეორე ეფუძნება ლისაბონის ევროკავშირის ხელშეკრულებას, რომელიც 2009 წლის 1 დეკემბერს შევიდა ძალაში. ასევე, ამოქმედდა ევროპის კავშირის ძირითად უფლებათა ქარტია, რომლითაც ევროკავშირის ლუქსემბურგის სასამართლო გარანტირებული უფლებების დაცვას უზრუნველყოფს. იგი ქართული სისხლის სამართლის გამოცდილებისგან იმით განსხვავდება, რომ ქართული სისხლის სამართალი შედგება არა მარტო წმინდა ეროვნული ნორმებისაგან, არამედ განიცდის ევროსაბჭოს ნორმების ზემოქმედებას. ასევე, ევროკავშირთან საქართველოს აქვს „სამეზობლო პოლიტიკიდან“ გამომდინარე ურთიერთობები, რის გამოც ჩვენმა ქვეყანამ ევროკავშირის სტანდარტები უნდა გაითვალისწინოს. ასე რომ, ქართული სისხლის სამართალი არის ეროვნული, ხოლო ევროპული სისხლის სამართალი შეიცავს ზესახელმწიფოებრივ სუპერნაციონალურ ნორმებს.

ევროპული სისხლის სამართლის შესახებ გამოცდილების გაზიარება, ბათუმში გამართული ღონისძიების მსმენელთათვის, მიზნად ისახავდა ევროპულ სისხლის სამართალში თეორიული ცოდნა-განათლების მიღებას, რასაც მონაწილეები პრაქტიკულ საქმიანობასა და მომავალ სამეცნიერო მუშაობაში გამოიყენებენ.

კლაუს ჰოპტი თსუ-ის საპატიო დოქტორია

5 ოქტომბერს გერმანელ პროფესორს კლაუს ჰოპტს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის წოდება მიენიჭა.

მაქს-პლანკის სახელობის კერძო სამართლისა და საერთაშორისო კერძო სამართლის ინსტიტუტის ყოფილი დირექტორი კლაუს ჰოპტი ამჟამად აღნიშნული უნივერსიტეტის ემერიტუსია. პროფესორი სამეცნიერო და პედაგოგიურ საქმიანობას გერმანიის, შვეიცარიის, ბელგიის, საფრანგეთის, იტალიის, იაპონიის, ჰოლანდიისა და ამერიკის შეერთებული შტატების უნივერსიტეტებში ეწეოდა. არის ბრიუსელის თავისუფალი უნივერსიტეტის (1997 წ.), ლიუვენის კათოლიკური უნივერსიტეტის (1997 წ.), პარიზის დეკარტის უნივერსიტეტის (2000 წ.), ათენის ეროვნული უნივერსიტეტის (2007 წ.) საპატიო დოქტორი. აგრეთვე ლეოპოლდინას მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრი (გერმანია), შედარებითი სამართლის საერთაშორისო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (ნიდერლანდები), შვეიცის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი და ჰამბურგის მეცნიერებათა აკადემიის უხუცესი წევრი.

საპატიო დოქტორის წოდების მინიჭებას თსუ-ის რექტორის მოვალეობის შემსრულებელი ალექსანდრე კვიტაშვილი, თსუ-ის ადმინისტრაციისა და აკადემიური საზოგადოების წევრები და სტუდენტები ესწრებოდნენ.

„ჩვენთვის დიდი პატივია დოქტორ კლაუს ჰოპტის სტუმრობა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. მას უზარმაზარი წვლილი მიუძღვის თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის განვითარებაში. თსუ-ის თანამშრომლობა ისეთი დიდი წარმატების მქონე ინსტიტუტთან, როგორც მაქს-პლანკის სახელობის კერძო სამართლისა და საერთაშორისო კერძო სამართლის ინსტიტუტია, ჩვენთვის, ქართველი მეცნიერებისთვის, ფრიად საპატიოა. აღსანიშნავია, რომ ასეთი მაღალი რანგის პროფესიონალი, როგორიც დოქტორი კლაუს ჰოპტია, დღეს ჩვენი უნივერსიტეტის მხარდამჭერი და გულშემატკივარია.

დამეთანხმებით, პირველი ქართული უნივერსიტეტი ასეთ მაღალ წოდებას მხოლოდ გამორჩეულებს ანიჭებს. ჩვენი თანამშრომლობა და მეგობრობა მომავალში უფრო ნაყოფიერი გახდება“, — განაცხადა თსუ-ის რექტორის მოვალეობის შემსრულებელმა ალექსანდრე კვიტაშვილმა.

დოქტორ კლაუს ჰოპტის პიროვნულ ღირსებებზე შთამბეჭდავად ისაუბრა პროფესორმა ლადო ჭანტურიამ, რომელმაც ხაზგასმით აღნიშნა პროფესორ ჰოპტის დამოკიდებულება საქართველოს მიმართ.

დოქტორმა კლაუს ჰოპტმა მადლობა გადაუხადა თსუ-ის აკადემიურ საზოგადოებას საპატიო დოქტორის წოდების მინიჭებისთვის. მან სიამოვნებით გაიხსენა ნიუიორკში ქართველ მეცნიერებთან ერთად გატარებული წლები და აღნიშნა ქართველი კოლეგების მაღალი კომპეტენციის დონე.

„მე და ბატონმა ალექსანდრე კვიტაშვილმა დიდხანს ვისაუბრეთ თსუ-ის განვითარების სამომავლო გეგმებზე და გამოვკვეთეთ ის მნიშვნელოვანი ფაქტორები, რომელიც იურიდიული ფაკულტეტის განვითარებისთვის მიზანშეწონილი იქნება,“ — აღნიშნა კლაუს ჰოპტმა.

პროფესორმა ჰოპტმა თსუ-ის იურიდიულ ფაკულტეტს აჩუქა გერმანიის სამოქალაქო სჯულდების შტაუდინგერის კომენტარი, რომელიც 100 ტომისაგან შედგება.

დოქტორის საპატიო წოდების მინიჭების შემდეგ პროფესორმა კლაუს ჰოპტმა წაიკითხა ლექცია, რომელზეც გამოთქმული საკითხების ირგვლივ საინტერესო დისკუსია შედგა. შეხვედრის ბოლოს სტუმარმა იმედი გამოთქვა, რომ ქართველ კოლეგებთან შეხვედრები და გამოცდილებების გაზიარება ნაყოფიერ და აქტიურ ხასიათს შეიძენს.

გამოცდილებას გვიზიარებენ

24 სექტემბერს თსუ-ის მაღლივ კორპუსში გაიმართა შვეიცარიის ტექნიკური უნივერსიტეტის სასწავლო პროგრამების პრეზენტაცია. თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტებს პროგრამა უშუალოდ შვეიცარიის ტექნიკური უნივერსიტეტის ქართველმა დოქტორანტმა – ფატიმა მამარდაშვილმა გააცნო. მიუხედავად საქართველოში ხანმოკლე ვიზიტისა, მიკროეკონომიკის კათედრის თხოვნით, ქალბატონი ფატიმა უნივერსიტეტს მაინც ეწვია და როგორც ინგლისურ, ასევე გერმანულენოვან სტუდენტებს ციურიხის უნივერსიტეტის სასწავლო პროგრამების შესახებ ესაუბრა.

აღსანიშნავია, რომ ციურიხის უნივერსიტეტში, როგორც ბაკალავრიატის, ასევე მაგისტრატურის დონეზე სწავლის საფასურის 90-99%-ს სახელმწიფო, ასევე, კერძო სტრუქტურები და საერთაშორისო ფონდები ფარავენ. დოქტორანტებისთვის კი უნივერსიტეტი სწავლის პარალელურად მათ დასაქმებაზეც ზრუნავს.

ციურიხის უნივერსიტეტი სტუდენტებს მრავალპროფილურ და ინტერნაციონალურ სპეციალობებსა და ფაკულტეტებს სთავაზობს. არჩევანი ნამდვილად დიდია. ციურიხის უნივერსიტეტის სტუდენტებს შეუძლიათ გაწევრიანდნენ სხვადასხვა შემეცნებით, მეცნიერულ თუ სპორტულ კლუბშიც; ასევე გაიარონ ისეთი ფსიქოლოგიური კურსებიც, რომლებიც მათ დროის განაწილებას, გამოცდებისათვის მომზადებას, სტრესის თავიდან აცილებას თუ უბრალოდ სასწავლო მასალის ათვისების ეფექტურ ხერხებს ასწავლის.

ქალბატონი ფატიმას თქმით, ციურიხის უნივერსიტეტში ქართველი სტუდენტების ჯერ მხოლოდ მცირე ნაწილი სწავლობს, თუმცა ინტერესი და სურვილი ძალიან დიდია. შვეიცარიიდან ციურიხის უნივერსიტეტის წარმომადგენელთა ვიზიტი თსუ-ში ყოველწლიურად ეწყობა. ამჯერად კი სტუდენტები გაეცვნენ უნივერსიტეტის სასწავლო პროგრამას, რამაც კიდევ უფრო მეტად დაახლოვა ისინი ციურიხის უნივერსიტეტის მუშაობის პრინციპებს.

„ჩვენი სურვილია ციურიხის უნივერსიტეტსა და თსუ-ს შორის კავშირი რაც შეიძლება მჭიდრო გახდეს, რათა შემდგომ სტუდენტებს საშუალება ჰქონდეთ მონაწილეობა მიიღონ გაცვლით პროგრამებსა თუ საერთაშორისო სემინარებში; დააგროვონ ის სათანადო ცოდნა თუ უნარ-ჩვევები, რომლებიც მათი კარიერისა და პიროვნული ზრდისათვის გადამწყვეტია“ — განაცხადა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მიკროეკონომიკის კათედრის გამგემ, პროფესორმა ეთერ ხარაიშვილმა.

თინათინ ახვლედიანი,
თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის III კურსის სტუდენტი

ᲠᲝᲒᲝᲠ ᲒᲐᲛᲝᲔᲮᲛᲐᲣᲠᲔᲑᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐ ᲔᲕᲠᲝ�პᲘᲡ ᲚᲔᲥᲡᲘᲙᲝᲒᲠᲐᲤᲘᲣᲚᲘ ᲐᲡᲝᲪᲘᲐᲪᲘᲘᲡ ᲛᲮᲐᲠᲓᲐᲛᲭᲔᲠ ᲬᲔᲠᲘᲚᲡ

ᲛᲔ-12 ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

„ლექსიკონი ერის კულტურული სახის გამომხატველი ნაშრომია, რომ აღარაფერი ვთქვათ ლექსიკოგრაფიის მნიშვნელობაზე სასკოლო და საუნივერსიტეტო განათლებისათვის, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებისთვის და სხვა. დღეს ლექსიკონების თვალსაზრისით ბევრად ჩამოვრჩებით ევროპის ქვეყნებს. უნდა ითქვას, რომ მძიმეა თანამედროვე ქართული ლექსიკოგრაფიის მდგომარეობა. დღეს ჩვენს ქვეყანაში აღარ არის ის ვითარება, რომ დარგი ამ საქმეს შეწირული ენთუზიასტების ამარა დავტოვოთ. სამწუხაროდ, საქართველოში ლექსიკოგრაფია სამეცნიერო დისციპლინად არ მიაჩნიათ, ლექსიკოგრაფებს აკადემიური (სამეცნიერო) ხარისხი არ ენიჭებათ... ლექსიკოგრაფი, დარგის სირთულიდან გამომდინარე, თვითშეწირული ადამიანია. თუ ამ ადამიანებს მუშაობის ელემენტარული პირობები არ შევუქმენით, თუ მათი დიდი ერუდიცია, მაღალი პროფესიონალიზმი ჯეროვნად არ დავაფასეთ, ვშიშობ, ახალმა თაობამ მოინდომოს პედაგოგების ეკლიანი გზით სიარული“, — განაცხადა დიდი ინგლისურ-ქართული ონლაინ-ლექსიკონის მთავარმა რედაქტორმა და გამომცემელმა, პროფესორმა თინათინ მარგალიტაძემ.

ბათუმში გამართული სიმპოზიუმის მონაწილეებმა მეტად მნიშვნელოვანი დოკუმენტი მიიღეს თანამედროვე ქართული ლექსიკოგრაფიის ისტორიაში — ეს გახლავთ ქართველი ლექსიკოგრაფების მიმართვა საქართველოს მთავრობისა და აკადემიური საზოგადოებისადმი. ამ დოკუმენტში ძალზე ლაკონურადაა წარმოდგენილი ლექსიკოგრაფიის მნიშვნელობა ეროვნული სახელმწიფოებრიობისთვის, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებისათვის, სასკოლო და საუნივერსიტეტო განათლებისათვის. მასში წარმოდგენილია, ასევე, ის სირთულეები, რომლებიც აფერხებს ამ მეტად მნიშვნელოვანი დარგის განვითარებას საქართველოში.

ამ მიმართვის მიღების შემდეგ ლექსიკოგრაფები შეხვდნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას, აკადემიური საბჭოს წევრებს და მათგან სრული მხარდაჭერა მიიღეს. შეხვედრა შედგა, ასევე, საქართველოს პარლამენტის წევრთან ხათუნა ოჩიაურთან, რომელმაც ქართველ ლექსიკოგრაფებს საქართველოს მთავრობის თანადგომა და მხარდაჭერა აღუთქვა.

მიმდინარე წლის ივლისში, ჰოლანდიაში ევროპის ლექსიკოგრაფიული ასოციაციის (EURALEX) XIV საერთაშორისო კონგრესი გაიმართა. კონგრესზე გამგზავრებამდე პროფესორმა თინათინ მარგალიტაძემ კონგრესის საორგანიზაციო კომიტეტს გაუგზავნა ქართველი ლექსიკოგრაფების მიმართვის ტექსტი საქართველოს მთავრობისა და აკადემიური საზოგადოებისადმი და ბათუმის სიმპოზიუმის ორგანიზატორების სახელით სთხოვა — საკუთარი პოზიცია გამოეხატათ მიმართვაში დასმული საკითხების თაობაზე.

EURALEX-ის მმართველმა საბჭომ მიმართვა განიხილა და ქართველი ლექსიკოგრაფებისთვის მხარდაჭერის გადაწყვეტილებას შეუერთდა. EURALEX-ის პრეზიდენტმა ჯეფრი უილიამსმა 10 აგვისტოს მეტად საყურადღებო წერილი გამოგზავნა, რომლის ადრესატი საქართველოს მთავრობა და აკადემიური საზოგადოებაა.

„ევროპის ლექსიკოგრაფიული ასოციაციის კომპეტენციაში არ შედის რაიმე პოლიტიკურ საკითხებში ჩარევა, მაგრამ ჩვენი ვალია ლექსიკოგრაფიის, როგორც ლექსიკონის შედგენის ხელოვნებისა და სამეცნიერო დისციპლინის, განვითარების აქტიური მხარდაჭერა. სწორედ ამ მიზეზმა განაპირობა ჩვენი ასოციაციის (EURALEX) მმართველი საბჭოს გადაწყვეტილება, ჩვენი ხმაც შევუერთოთ საქართველოს მთავრობისათვის გაგზავნილ მიმართვას, რათა ლექსიკოგრაფიამ და ქართველმა ლექსიკოგრაფებმა, რომლებიც აქტიურად იღვწიან როგორც მშობლიური ენისა და კულტურის, ისე საერთო ევროპულ ღირებულებათა ხელშესაწყობად, მიიღონ სრული აღიარება და მხარდაჭერა საკუთარ ქვეყანაში“. – აღნიშნულია წერილში.

ქართველ ლექსიკოგრაფებს იმედი აქვთ, რომ საქართველოს მთავრობა და სამეცნიერო საზოგადოება დიდი ყურადღებით მოეკიდება ლექსიკოგრაფიის წინაშე არსებულ პრობლემებს და იზრუნებს თანამედროვე ლექსიკოგრაფიის განვითარებაზე ჩვენს ქვეყანაში.

ᲡᲝᲪᲠᲔᲐᲚᲘᲖᲛᲘᲡ ᲩᲐᲠᲩᲝᲔᲑᲨᲘ ᲛᲝᲥᲪᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲚᲐᲙᲢᲘᲝᲜᲘᲪ ᲒᲐᲨᲘᲤᲠᲔᲡ

ᲛᲔ-11 ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

მაგალითად, ჭ. ამირეჯიბის, გ. დოჩანაშვილის, რ. ინანიშვილის, მ. მაჭავარიანის, გ. რჩეულიშვილის, ლ. სტურუას, ო. ჩხეიძის, ტ. ჭანტურიას, ო. ჭილაძის, ბ. ხარანაულისა და სხვათა ქმნილებები. თავიანთი ტალანტის წყალობით, მათ შეძლეს ჭეშმარიტი მხატვრული ღირებულების მქონე ნაწარმოებების შექმნა.

— საქართველოს ისტორიაში როდის დადგა ლიტერატურისთვის ის მძიმე პერიოდი, როდესაც რეჟიმისთვის ანგარიშის გაწევა იქცა ამოსავალ წერტილად და რა მაგალითები არსებობს მისი დაკნინებისა?

— ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ მთელი საბჭოთა ხელოვნება და ლიტერატურა ძალიან მალე მოექცა კომუნისტური პარტიის მკაცრი „მეურვეობის“ ქვეშ. ზეწოლა განსაკუთრებით გაძლიერდა 30-იანი წლების ბოლოდან. ამ დროს დაჯაბტიმრეს და დახვრიტეს უამრავი მწერალი და ხელოვანი, რომლებიც ვერ ეგუებოდნენ საბჭოთა რეჟიმსა და სოცრეალიზმის იდეოლოგიას. შემოქმედთა ერთი ნაწილი დისიდენტი გახდა. ხელოვნებისა და ლიტერატურის პარტიული ხელმძღვანელების პარტიული მიკერძოებულობა განსაკუთრებით თვალნათლივ ჩანდა პრესტიჟული პრემიების მინიჭების დროს, რომლებსაც აძლევდნენ სუსტ, კონიუნქტურულ ნაწარმოებებს. მათი პოპულარიზაციისთვის მთელი საბჭოთა იდეოლოგიურ-აგიტაციური მანქანა მუშაობდა, მაგრამ საბჭოთა ლიტერატურის ეს მდარე, უნიჭო ნაწარმოებები ხალხმა სრულიად დაივიწყა და დღეს ამ მწერლებს მკითხველი ნაკლებად ან საერთოდ არ ჰყავს. მაგალითად, 1936 წელს პოემისთვის „შრომადღეები“ ნიკოლოზ ფხაკაძეს (მისი ლიტერატურული ფსევდონიმი იყო *ურაგანი*) რუსთაველის პრემია მიენიჭა. მეტიც, იგი ამ პრესტიჟული პრემიის პირველი ლაურეატი გახდა. მასვე გადაეცა იაკობ ნიკოლაძის მიერ დამზადებული ოქროს მედალი. სწორედ ასეთი ფაქტები ჰქონდა მხედველობაში ტარიელ ჭანტურიას, როდესაც მოსწრებულად ამბობდა: „პრემია ზოგს მიანიჭეს და ზოგს მიაუნიჭოესო“.

დიდი შემოქმედნიც იძულებულნი იყვნენ, ანგარიში გაეწიათ რეჟიმის მოთხოვნებისთვის, თუმცა, ზოგჯერ თამამ პაროდიასაც არ ერიდებოდნენ. ამ კოდირებული ტექსტების გაშიფვრა მკითხველთა დიდ ნაწილს არ შეეძლო. გალაკტიონის არქივში მივაკვლიე მის ორ ხელნაწერს, რომლებიც დათარიღებულია 1958 წლის 3 ენკენისთვით. აქ 2 ლექსია წარმოდგენილი: „1500 წელი“ და „ლენინის დროშით“.

პირველი ლექსი ასე იწყება: „თბილისმა იცის, იცის,/ ძალა ზეცის და მიწის./ ისმის ვით ძალა ფიცის:/ წინ, წინ თბილისო, წინ, წინ!“;

მეორე ლექსის პირველი სტროფი კი ასეთია: „ლენინის დროშამ იცის,/ ძალა ზეცის და მიწის./ ისმის ვით ძალა ფიცის:/ წინ, წინ, სამშობლოვ, წინ, წინ!“;

— ასეთი ორმაგი კოდირების პრინციპით დაწერილი უამრავი ნაწარმოები გვხვდება ქართულ სოცრეალისტურ მწერლობაში.

— საბჭოთა იდეოლოგია იყო საზოგადოებრივი ცხოვრების წესის განმსაზღვრელი და მისი რეგულატორი, რამაც ხელოვნებისა და კულტურის იდეოლოგიზება გამოიწვია. ესთეტიკური ღირებულებები იდეოლოგიურმა შეცვალა. დღეს ასეთი საშიშროება ხელოვნებას არ ემუქრება, მაგრამ ფაქტია, რომ ღირებული ლიტერატურით თავს მაინც და მაინც ვერ მოვიწონებთ. რით აიხსნება ხელოვნებაში, იგივე ლიტერატურაში, ასეთი არასასურველი ტენდენცია?

— საქართველოს განვითარების დღევანდელ ეტაპზე, როდესაც უპირველეს ფასეულობად მიჩნეულია დემოკრატიული ღირებულებები, მხატვრული ნაწარმოებების იდეურ-ესთეტიკურ კრიტერიუმებს აღარ განსაზღვრავს ცენზურა. მაგრამ, სამწუხაროდ, ხელოვნების ყველა დარგში მოიმატა მდარე პროდუქციამ, იკლო გემოვნებიანი მკითხველისა თუ მსმენელის რაოდენობამ. ეს პრობლემა დგას არა მარტო ჩვენთან, არამედ მთელ მსოფლიოში. იგი მრავალი მიზეზით არის განპირობებული. ცივილიზაციის განვითარება, დროის მუდმივი დეფიციტი, დაჩქარებული კულტურული ციკლები, ინფორმაციის მოზღვავება ადამიანებს თითქოს უფრო განაწყობს მასკულტურის „ქმნილებებისადმი“.

ᲘᲜᲘᲪᲘᲐᲢᲘᲕᲐ

ᲣᲤᲐᲡᲝ ᲔᲥᲡᲙᲣᲠᲡᲘᲔᲑᲘᲡ ᲪᲘᲙᲚᲘ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ᲜᲐᲢᲝ ᲝᲒᲝᲚᲐᲫᲔ

თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის ორგანიზებით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის ექსკურსიების ციკლი დაიგეგმა. სემესტრის განმავლობაში სულ 30 ექსკურსია მოეწყობა. სტუდენტებს საშუალება მიეცემათ ქართლისა და კახეთის ტერიტორიაზე მდებარე ისტორიული ძეგლები მოინახულონ და დრო სასიამოვნოდ გაატარონ. ამ ღირსშესანიშნაობების ნახვას ისინი უფასოდ შეძლებენ. სტუდენტური თვითმმართველობის ტურიზმის დეპარტამენტი ექსკურსიების საორგანიზაციო საკითხების მოსაგვარებლად აქტიურად მუშაობს.

„თითო ექსკურსიაზე 150 სტუდენტი წავა. I და II კურსელებს ორჯერ, ხოლო III და IV კურსელებს ერხელ მოგზაურობის შანსი ეძლევათ. მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტებისთვის 3-4 ექსკურსია ცალკე მოეწყობა. მათ აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიის დალაშქვრა შეეძლებათ. მარშრუტი უკვე შედგენილია“, — გვითხრა თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის კულტურის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა გიორგი კარტოზიამ.

ახალ სასწავლო წელს პირველი ექსკურსია, რომელიც 9-10 ოქტომბერს გაიმართა, სტუდენტურმა თვითმმართველობამ თსუ-ის პირველკურსელებისთვის მოაწყო. მარშრუტი ასეთი იყო: ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტები მწვანე მონასტრის მოსანახულებლად გაემგზავრნენ, იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებმა — გრემი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტებმა — სიღნაღი, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტებმა დმანისი და ბოლნისი, ხოლო ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტებმა — დავით გარეჯა მოინახულეს.

სტუდენტებმა, რომლებსაც ექსკურსიებში მონაწილეობის სურვილი აქვთ, რეგისტრაცია საკუთარ ფაკულტეტებზე არსებული სტუდენტური თვითმმართველობის ოთახში უნდა გაიარონ. ინფორმაცია ექსკურსიების მოწყობის შესახებ თსუ-ის კორპუსებში განთავსებულ სტენდებზე გამოიკვრება. გასართობ-შემეცნებით გასვლებს მთლიანად თვითმმართველობა აფინანსებს, მგზავრობისთვის აუცილებელ პირობებს, ნაწილობრივ, თბილისის მერია უზრუნველყოფს.

წელს, ექსკურსიებთან დაკავშირებით, თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის კულტურის დეპარტამენტმა ახალი პროექტი წამოიწყო: თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის რამდენიმე კურსდამთავრებული სპეციალურად შერჩეულ სტუდენტებს გიდის მოსამზადებელ ტრენინგებს ჩაუტარებენ, რის შემდეგაც ექსკურსიაზე წასულ სტუდენტებს, ამა თუ იმ ისტორიული ძეგლის შესახებ, გაცილებით მეტი და საინტერესო ინფორმაციის მიღება შეეძლებათ.

ჟურნალში ,,ntiquity" არქეოლოგთა ჯგუფმა სენსაციური სტატია გამოაქვეყნა. ცნობილი პროექტის, Google Earth-ის დახმარებით, ბრაზილიისა და ბოლივიის საზღვარზე, მათ უცნობი ცივილიზაციის ნაშთები აღმოაჩინეს.

ტყეების გაკაფვამ, რაც ეკოლოგიას დიდად აზიანებს, ამჯერად კარგი საქმე გააკეთა: მეცნიერებმა დაინახეს გზების მთელი ქსელი, რომელიც დაახლოებით 250 კილომეტრზეა გადაჭიმული და ზუსტად მართკუთხედის ფორმა აქვს, რაც მის ხელოვნურ წარმოშობას ადასტურებს. მკვლევართა აზრით, ამ რეგიონში ჩვენს წელთაღრიცხვამდე II საუკუნიდან ჩვენი წელთაღრიცხვის XIII საუკუნემდე, დაახლოებით, 60 ათას კაცს შეიძლებოდა ეცხოვრა. სენსაციების მოყვარულმა ჟურნალისტებმა მაშინვე გამოაცხადეს, რომ ეს „იდუმალი ელდორადოს ნაშთებია". ანუ ეს არის ნაშთები ოქროთი და ძვირფასი ქვებით სავსე იმ იდუმალი ქვეყნისა, რომელსაც მრავალი წლის მანძილზე უშედეგოდ ეძებდნენ კონკისტადორები. შეგახსენებთ, რომ სულ ცოტა ხნის წინ, ოკეანის ფსკერზე ასეთივე მართკუთხედი აღმოაჩინეს, რომელსაც ყვითელმა პრესამ მაშინვე „ატლანტიდის ნაშთები" უწოდა. მაშინ მეცნიერებმა კატეგორიულად განაცხადეს, რომ ეს მხოლოდ არტეფაქტიაო. ამჯერად კი აზრის გამოთქმას არავინ ჩქარობს, თანაც სტატია ყვითელ პრესაში კი არა, სოლიდურ სამეცნიერო ჟურნალში გამოქვეყნდა.

მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ხანგრძლივ სიცოცხლეს არა მხოლოდ „მაფუსაილის" გენი, არამედ გენების მთელი ჯგუფი განაპირობებს. „მაფუსაილის" გენი მეცნიერებმა დაახლოვებით 8 წლის წინ აღმოაჩინეს, როცა ზუსტად განსაზღვრეს იგი დნმ-ის რომელ მონაკვეთში იყო. ეს გენი ხანგრძლივი სიცოცხლის აბსოლუტური გარანტიაა, განურჩევლად იმისა, ადამიანი ჯანმრთელი ცხოვრების წესით ცხოვრობს თუ არა. იგი მოწევის ან სხვა მავნე ჩვევების

შედეგებს ბლოკავს და ადამიანი მრავალი წლის მანძილზე ჯანმრთელი რჩება. ახალმა კვლევებმა დაადასტურა, რომ ჯანმრთელობას მხოლოდ ერთი გენი კი არა, გენების მთელი კომპლექსი იცავს, რომელიც სხვადასხვა დაავადებების წარმოშობასა და დაბერებას ამუხრუჭებს. The Sunday Times-ში გამოქვეყნებულ სტატიაში მეცნიერებმა დაადასტურეს, რომ ხანგრძლივი სიცოცხლის უნარი მემკვიდრეობით გადაეცემა. ასეთ ადამიანებს განსხვავებული ფიზიოლოგია აქვთ: არ არიან გულ-სისხლძარღვთა დაავადებებისკენ მიდრეკილი და სხვაგვარად ითვისებენ გლუკოზასა და ცხიმებს.

იაპონურმა კომპანიამ Brother Industries შეიმუშავა დენის კომპაქტური, ვიბრაციული გენერატორი,

რომელიც ბატარეების სტანდარტულ კორპუსში ეტევა და იმ მოწყობილობებზეა გათვლილი, რომელსაც ენერგიის მცირე და ეპიზოდური გამოყენება ახასიათებთ. ასეთი გენერატორი შეიძლება, ვთქვათ, ტელევიზორის პულტში ან პატარა ფანარში მოთავსდეს. მომხმარებელს ელემენტების პერიოდული შეცვლა აღარ დასჭირდება. საკმარისია პულტი ოდნავ გააქანოს, რომ გენერატორი საჭირო ენერგიით თავად მოამარაგებს. მას დაახლოებით 100 მგვ. ენერგიის გამომუშავება შეუძლია. შემქმნელთა აზრით, უმთავრესი ღირსება ის არის, რომ იგი მნიშვნელოვნად შეამცირებს ნახმარი ელემენტების ეკოლოგიურად მავნე ნარჩენების რაოდენობას. მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ ენერგეტიკის საკითხი მსოფლიოში დღეს იმდენად მძაფრად დგას, რომ ალტერნატიული კვების წყარო უდავოდ მასობრივ მომხმარებელს მიიზიდავს, თუ მისი ფასი დღევანდელ სტანდარტებს დაუახლოვდება.

ნასას კოსმოსური ობსერვატორიის „კეპლერის" ტელესკოპმა მზის სისტემის მიღმა 140 პლანეტა აღმოაჩინა, რომელზედაც თეორიულად სიცოცხლე შეიძლება არსებობდეს. ასტრონომ დიმიტრი სასელოვის განცხადებით, ეს პლანეტები ჩვენს გალაქტიკაში გიგანტურ ირმის ნახტომს ქმნის და თავისი პარამეტრებით დედამიწას ძალიან ჰგავს. ბრიტანელ ასტრონომს მიაჩნია, რომ გალაქტიკაში 100 მილიონი ისეთი პლანეტა შეიძლება მოიძებნოს, რომელზედაც, თეორიულად, სიცოცხლე შესაძლებელია. მეცნიერები თვლიან, რომ უახლოესი 2 წლის მანძილზე 60-მდე ეგზოპლანეტას შეარჩევენ, სადაც სიცოცხლის არსებობის შესაძლებლობა დადასტურებული იქნება. კოსმოსური ობსერვატორია „კეპლერი" კოსმოსში 2009 წლის დასაწყისში გაიყვანეს. ამ პროექტის მიზანი, მზის სისტემის მიღმა, ჩვენს გალაქტიკაში დედამიწის მსგავსი პლანეტების აღმოჩენა იყო. პროექტი 3,5 წელიწადზე იყო გათვლილი და პირველივე

წელს მან 700-ზე მეტი კოსმოსური ობიექტის მონაცემები გადმოსცა, რომელიც თავისი პარამეტრებით დედამიწას უახლოვდებოდა. ნასასა და ევროპული კოსმოსური სააგენტოს მეცნიერებმა, ასევე, დაადასტურეს, რომ „კეპლერს" არა მხოლოდ პლანეტების, მათი თანამგზავრების აღმოჩენაც შეუძლია. მათივე განცხადებით, აღმოჩენილ პლანეტათა უმეტესობა უზარმაზარი გაზისებრი გიგანტებია, ამიტომ „კეპლერის" მონაცემებს კიდევ ერთხელ სჭირდება გადამოწმება.

ამერიკელმა ფსიქოლოგებმა ორიგინალური აღმოჩენა შემოგვთავაზეს. მათი აზრით, თუ ჯგუფში ერთი ადამიანი მაინც გრძნობს თავს მარტოსულად, ეს გრძნობა დანარჩენებსაც შეიძლება „გადაედოთ". ექსპერიმენტი 10 წლის მანძილზე გრძელდებოდა და ფსიქოლოგებმა 5100 ადამიანი და მათი სოციალური კონტაქტები შეისწავლეს. როგორც გაირკვა, მარტოსული ადამიანები კავშირებს კარგავენ და სოციალურ ქსელებს შორდებიან. „პერიფერიაში ადამიანებს ცოტა მეგობრები ყავთ და უკანასკნელსაც კი კარგავენ", — განაცხადა ჩიკაგოს უნივერსიტეტის პროფესორმა ჯონ კაჩიოპომ. სანამ უკანასკნელ ურთიერთობებსაც კი გაწყვეტენ, ასეთი ადამიანები თავის მარტოობას მეგობრებსაც „გადასდებენ" და ისინიც მარტოსულები ხდებიან. ექსპერიმენტის პერიოდში, მონაწილეთა მეგობრობის ისტორიისა და მარტოობის განცდის შესწავლისას, მეცნიერებმა აღმოაჩინეს პატერნი, რომელიც სავარაუდოდ „გადადების" მიზეზი ხდე-

ბა. ასევე, ცალსახად აღინიშნა სოციალური ქსელებისგან მათი დაშორება. მარტოსული ადამიანების მეზობლები თავადაც „ავადდებიან", რასაც მეგობრებსაც გადასცემენ და მათი პატერნი კიდევ უფრო სწრაფად ვრცელდება. საზოგადოება ასეთ ადამიანებს თავიდან იშორებს. კვლევამ დაადასტურა, რომ მარტოობის განცდით „დაავადებული" ადამიანები უნდობლები ხდებიან და ახალ მეგობრულ კავშირებს ველარ ამყარებენ. „საზოგადოება მოიგებს, თუკი პერიფერიაზე მყოფ ადამიანებს დაეხმარება. ამით იგი მთელ ქსელს იხსნის დარღვევისგან", — განაცხადეს მეცნიერებმა.

ამერიკელმა არქეოლოგმა კ. რენფრიუმ გადაწყვიტა შლიმანის კვალს გაჰყოლოდა და ჰომეროსის „ილიადას" მინიშნებების მიხედვით ანტიკური ნაგებობები მოეძებნა. მეცნიერს გაუმართლა. კუნძულ მილოსზე მან უშუალოდ

ტროას ომის წინ აგებული პატარა ტაძარი აღმოაჩინა. ტაძარი ძალიან დანგრეული აღმოჩნდა, მაგრამ სწავლულმა აღმოსავლეთის კედელთან ღვთაებების, ჩიტებისა და ხარების რიტუალურად შეფერადებული ფიგურები აღმოაჩინა. ყველაზე ფასეული მათ შორის ღვთაების 45 სანტიმეტრიანი ნაცრისფერი ფიგურა აღმოჩნდა, რომელიც ნითელი ზოლებითა და წერტილებით იყო დაფარული. სპეციალისტების აზრით, ეს ქალის ყველაზე ლამაზი ქანდაკებაა, რომელიც ჩვენს წელთაღრიცხვამდე XII საუკუნეში შეიქმნა. ფიგურა იმ ადგილის ახლოს მოიძებნა, სადაც თავის დროზე კლასიკური ვენერა აღმოაჩინეს, ამიტომ მას მეორე ვენერა მილოსელი უწოდეს.

ჟურნალში ,,Sience" საინტერესო სტატია გამოქვეყნდა. ამერიკელმა მეცნიერებმა ახალი ტიპის ბიოსაწვავი შექმნეს იმ ბაქტერიების დახმარებით, რომელიც სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო ნარჩენებზე „იმუშავებს". ასეთი „ბიობენზინის" ერთი ბარელის ფასი, ალბათ, 50 დოლარს არ ასცდება. იგი კლასიკური ბენზინისგან თითქმის არაფრით განსხვავდება. მკვლევართა ჯგუფმა გენური ინჟინერიის გზით შეძლო ის, რომ უვნებელ ბაქტერიებს. E.coli მათთვის უცხო ქიმიური ნაერთის, ე.წ. ალკანების გამომუშავება „ასწავლა". ავტორთა განცხადებით, მათ ბაქტერიებს თივისა და



საჭმლის ნარჩენების ნახშირწყლების გამოყენებაც კი შეუძლიათ. ეს კი სრულიად აუქმებს მარცვლეული კულტურების ბიოსაწვავისთვის გამოყენების საშიშროებას, რაც, თავის მხრივ, პროდუქტების არნახულ გაძვირებას გამოიწვევდა.

წყნარი ოკეანე გადასერა ორიგინალურმა ხომალდმა, რომელიც 12,5 ათასი პლასტიკური ბოთლით აიგო. ხომალდს სახელად „პლასტიკი" უწოდეს. სან-ფრანცისკოდან სიდნეიმდე მისასვლელად მის ეკიპაჟს 128 დღე დასჭირდა. მეორადი მასალისგან ხომალდის შექმნის იდეა როტშილდების ოჯახის წარმომადგენელს — დევიდ როტშილდს ეკუთვნის. მისი განცხადებით, ეს იდეა, 2006 წელს, გაეროს მოხსენების წაკითხვის შემდეგ გაუჩნდა. მოხსენებაში აღნიშნული იყო, რომ ნაგავი, კერძოდ, პლასტიკური ბოთლების

რაოდენობა, მსოფლიო ოკეანეს სერიოზულ საფრთხეს უქმნიდა. როტშილდმა მაშინვე გადაწყვიტა, რომ პლასტიკური ბოთლებით ხომალდის აგება სერიოზულად დაადასტურებდა ნაგვის ეფექტურად გამოყენების შესაძლებლობას და ენთუზიასტების ჯგუფთან ერთად ასეთი ხომალდი ააგო. მან ბოთლების შესაწებებლად ორგანული წებო გამოიყენა. ენერგიას ხომალდი მზის ბატარეებისა და ქარის წისქვილებისგან იღებს, რომელიც ხომალდზევეა დამონტაჟებული. გარდა ამისა, ხომალდზე პატარა ბოსტანიც მოაწყვეს, რათა ახალი ბოსტნეული არ მოკლებოდათ. მოგზაურობის დასრულების შემდეგ კი ხომალდს ადგილი ავსტრალიის საზღვაო მუზეუმში მიუჩინეს.

გვერდი მოამზადა: მანანა მიქელაძემ

მთავარი რედაქტორი	**ნინო კაკულია**	რედკოლეგიის წევრები:	მისამართი:
მთავარი სპეციალისტი	**მაია ტორაძე**	**რისმაგ გორდეზიანი, ნოდარ ბელქანია, იაგო კაჭკაჭიშვილი, ლადო მინაშვილი, დიანა ძიძიგური, ნოდარ ხადური, მარინე ჩიტაშვილი, ბესარიონ ზოიძე, ნინო ჩიხლაძე, თემურ ნადარეიშვილი, ნანა ჭიღლაძე, თეა ჯუღელი**	ილია ჭავჭავაძის გამზ. 11ª **(თსუ-ის მე-3 კორპუსი)**
ტექნიკური რედაქტორი	**მანანა ჯურხაძე**		
ფოტოკორესპონდენტი	**ლიკა პეტრიაშვილი**		
კომპიუტ. უზრუნველყოფა	**გიორგი წიქარიშვილი**		**22 36 62**